№211
(12 281)

7 სექტემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგის ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის არაფერს დავუთმობთ!

საფრანგეთი მიესალმება საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს

დღეს საფრანგეთში მსოფლიო თასის გათამაშება საფრანგეთ-ირლანდიის მატჩით იწყება. საქართველოს ნაკრები პირველად 11 სექტემბერს არგენტინის წინააღმდეგ თამაშობს. ჩვენი გუნდი ლიონთან ახლოს, ბოჟოლეშია დაბინავებული. გუშინ, ქართულ დელეგაციას ქალაქის მუნიციპალიტეტში გაუმართეს შეხვედრა. ეს ფოტოებიც ბოჟოლეშია გადაღებული.

ფრანგული სააგენტო "ფრანს პრესის" (AFP) წარმომადგენელმა ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ **დავით ჩავლეიშვილსა** და კაპიტან **ილია ზედგინიძეს** მცირე ინტერვიუები ჩამოართვა.

- საქართველოს ნაკრებმა შეიძლება მისთვის მეორე მსოფლიო თასზე სიურპრიზი შემოგვთავაზოს. მსოფლიო რაგბის ჯუჯები 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიო თასზე ჯგუფური ეტაპიდან გამოვარდნენ, თუმცა ქართველთა მწვრთნელ დავით ჩავლეიშვილს სჯერა, რომ მის გუნდს სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო "სიკვდილის ჯგუფად" შერაცხულ D პულშია: *"ყოველთვის გაცილებით საინტერესოა ძლიერ გუნდებთან თამაში. თითქმის მთელი ჩვენი შემადგენლობა, 27 კაცი 30-დან, საფრანგეთში თამაშობს, სადაც ერთ-ერთი საუკეთესო საკლუბო ლიგაა მსოფლიოში. ბიჭებმა კარგად იციან, როგორ ეთამაშონ ტოპკლასის მორაგბეებს, მით უფრო, რომ ბევრი მათგანისთვის კარიერაში ეს უკვე მეორე მსოფლიო თასია. მოსამზადებელ ეტაპზე ნაჩვენები ცუდი შედეგების მიუხედავად, ჩვენი გუნდი არც ერთ მეტოქეს შეეპუება. ჩვენ პატივს ვცემთ მომავალ მეტოქეებს, მაგრამ დარწმუნებულიი ვართ, რომ სენსაციის მოსახდენად ძალები გაგვაჩნია".*

AFP-ს არანაკლები ენთუზიაზმით ესაუბრა ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე: *"ჩვენ ჯგუფის აუტსაიდერები ვართ, ასე რომ, დასაკარგი არაფერი გვაქვს, კარგი თამაშის შემთხვევაში კი ძალიან ბევრს მოვიხვეჭთ. დარწმუნებული ვარ, რომ შერკინებასა და დერეფანში მეტოქეებს გოჯსაც არ დავუთმობთ ".*

საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ერთი სერიოზული ტრავმა აქვს - **ოთარ ელოშვილმა** მუხლის მყესები დაიზიანა და საუკეთესო შემთხვევაში, ბორდოში, 15 სექტემბერს ითამაშებს ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები არგენტინასთან მატჩის შემადგენლობას კვირას დაასახელებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

12-13

ხვალ. 19:00. საქართველო-უკრაინა

ჭოპმიოლერმა დაცვა და შუახაზი დაალაგა

ასათიანი დაცვაში იქნება?

გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გლდანში, "ამერის" სტადიონზე მორიგი ღია ვარჯიში გამართა. ტრიბუნებზე ხუთასამდე გულშემატკივარი შეგროვდა. წვრთნა საღამოს ექვს საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა.

კარგი განწყობა, ღიმილი - ჩვენ ბიჭებს ეს არ აკლდათ და დადებითი ფსიქოლოგიური ფონი უკრაინასთან მატჩის წინ მართლაც მნიშვნელოვანია.

გლდანში რამდენიმე უკრაინელი ჟურნალისტიც გამოჩნდა. ერთ-ერთმა აქაურმა ტელეარხმა ვარჯიშის შემდეგ არც თუ მცირე ინტერვიუც ჩამოართვა ჩვენი გუნდის მთავარსარდალ **კლაუს ტოპმიოლერს**, ვინც გუშინ 22 ფეხბურთელი გაიყვანა მოედანზე.

მეკარეები: **გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი და გიორგი მაკარიძე;**

მცველები: **გიორგი შაშიაშვილი, ლექსო კვახაძე, კახა კალაძე, ზაალ ელიავა, მათე ღვინიანიძე, ლაშა სალუქვაძე, ილია კანდელაკი, ოთარ ხიზანეიშვილი;**

ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, მალხაზ ასათიანი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ყენია;**

თავდამსხმელები: **ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე იაშვილი, დავით სირაძე, ოთარ მარცვალაძე, დიმიტრი ტატანაშვილი და გიორგი დემეტრაძე.**

სახალისო მოთელვითი ვარჯიშები, კვადრატი და ყველაზე საინტერესო - ორკარა ტაქტიკური აქცენტით.

საქმეს ისეთი პირი უჭირავს, ტოპი უკრაინასთან 4-4-2-ს აირჩევს და დაცვაში ასეთი ოთხეული ეყოლება - ხიზანეიშვილი, კალაძე, ასათიანი და შაშიაშვილი. მეორე კართან, სხვა ოთხეული იყო, ხოლო ნახევარდაცვაში ისეთი კვარტეტი, რომელიც ორივე კარისკენ უტევდა - ნახევარდაცვაში იყვნენ მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ყენია და კობიაშვილი, რომლებიც ბურთთან ორი შეხებით მოქმედებდნენ.

მოკლედ, გუშინდელი ვარჯიშით დაცვისა და ნახევარდაცვის სავარაუდო შემადგენლობა ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდა.

...სკონტროლმა ელიავამ მარცხენა მხარზე ოპერაცია რამდენიმე თვის წინათ გაიკეთა და ლატვიის ჩემპიონატში მხოლოდ ბოლო ორი ტურის თამაში შეძლო, გუშინდელ ვარჯიშზე კი მარჯვენა მხარი დაუზიანდა და მოედნიდან გაიყვანეს. ელიავას მხარი ამოუვარდა და ჩაუსვეს, თუმცა ნაკრებმა ის მაინც მოისაკლისა - ზაალი შეკრებიდან წავიდა, რამეთუ უკრაინასთან თამაშს ვერ შეძლებს.

ისევ სათუოა კობიაშვილის თამაში. მას ბარძაყთან შიდამიმზიდველი კუნთი აქვს დაჭიმული.

დავით თავართქილაძე
ნუგზარ სუარიძის ფოტოები

"მკვდარი საათი". კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე

მარცვალაძე, შაშიაშვილი და ასათიანი გუშინდელ ვარჯიშზე

?! უცნაური სურათი ნაკრების ბაზაზე. თავად დაასათაურეთ...

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ბლოხინმა გეკენბაუერს ბურთი მარცხნივ გაუგდო, მარჯვნიდან შემოურბინა, მეკარესთან ინახით დარჩა და მიუნხენის "ბაიერნს" ევროპის სუპერთასზე გოლი გაუტანა. ბევრს არ უნახავს ის მატჩი და გოლი, მაგრამ ამბავი გადმოცემით იცის - ოლეგ ბლოხინი ძალიან სწრაფად დარბოდა და ძალიან ღონიერი იყო, ის საბჭოთა ფეხბურთის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი გახლდათ.

უკრაინის ნაკრებიც თითქოს ბლოხინს ჰგავს, მოუღლელად დარბის და იბრძვის, იმპროვიზაცია-ფანტაზიით კი, ცოტა არ იყოს, ღრჯუ გუნდია. ასეთ მეტოქეს ხვალ კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი საქართველო დაუხვდება უგუნდო და უთამაშებელი ფეხბურთელებით, ოდნავ გადახალისებული შემადგენლობითა და შეუცვლელი სლოგანით - ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

უკრაინიდან ოთხ დღეში საქართველო აზერბაიჯანს გაეჯიბრება და ტოპმიოლერმა ამ ორი მატჩისთვის ჯერ ექვსი ფეხბურთელი გამოიძახა ეროვნული ჩემპიონატიდან, მერე კი - ოთხი. ასეა, ტოპი ნელნელა სახალხო კაცი ხდება საქართველოში. "ვიტ ჯორჯია"-"ოლიმპის" მატჩზე მასთან მისვლა ჯამბაზ-იმიტატორმაც გაბედა და ვიტჯორჯიელი ლექსო კვახაძის ნაკრებში აყვანა ურჩია. ტოპიმ მართლაც გამოიძახა კვახაძე.

შედეგზე ორიენტირებული გუნდის ჩამოსაყალიბებლად სამი წელია საჭიროა, თქვა ტოპმიოლერმა ამასწინდელ პრესკონფერენციაზე. უკრაინასთან კი ხვალაა თამაში და ერთი მატჩის შედეგი გვინდა, რამეთუ კარგა ხნით ადრე შევეგუეთ იმას, რომ ჯგუფიდან ვერ გავალთ.

საქართველოს ნაკრებს აქვს ამის შნო და ტრადიცია, რომ შემოდგომაზე, შესარჩევის ბოლოს კუდი, ასე თუ ისე, მოიქნიოს. თუნდაც ის გავიხსენოთ, 1995 წლის 11 ოქტომბერს ბულგარეთს 2:1 რომ მოვუგეთ; 1997 წლის 10 სექტემბერს არიგო საკის იტალისთან 0:0-ს გამოვრჩით და "სკუადრას" საფრანგეთი 98-ზე მოსახვედრად პლეიოფში რუსებთან მოუწია შეხლა; იმავე წლის ოქტომბერში პოლონეთს შინ სამი უპასუხო ბურთი მივართვით. 2001 წლის სექტემბერში უნგრეთს 3:1 მოვუგეთ, ლიტვას 2:0, ოქტომბერში კი რუმინეთთან სტუმრად 1:1-ს მივაღწიეთ. 2003 წლის სექტემბერში, როცა საქართველოს ნაკრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია წვრთნიდა, ალბანეთი შინ 3:0 დავამარცხეთ.

ახლა ბლოხინის გუნდის დაჟღლეტვის დრო უნდა დადგეს - ამ იმედით მივა ხვალ ხალხი ეროვნულზე.

წინა კვირაშიც ჩქეფდა სიცოცხლე. ვეტერანები მოსკოვში ჩავიდნენ და კოტე მახარაძისა და ნიკოლაი ოზეროვის ხსოვნის ტურნირზე ითამაშეს. ზოგს ეხამუშა, რატომ ჩავიდნენ ჩვენები რუსეთში და რატომ დაითაფლეს პირი რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე. ჯერ ერთი, იმპერია ისეთი ტკბილია, ნოსტალგიური რეციდივები იცის, მეორე კი ის, რომ ჩვენთან ახლა ორმაგი სტანდარტები ძაან მოდაშია და რაღა მაინც და მაინც ვეტერან ფეხბურთელებს უნდა გავუწყრეთ?

34 წლის შოთა არველაძე კი ისევ წვალობს, ასჯერ დაშავებულ და დამსხვრეულ მუხლზე ზედიზედ მეორე ოპერაციას იკეთებს.

გიორგი ლომაიას ლვოველებმა "კარპატი" დაატოვებინეს. ამის მერე ალბათ, მაინც იჭმუნვებენ, ევროპაში სჯობს წასვლა თუ ახლო უცხოეთში, სადაც, რა დროს როგორ მოექცევიან ფეხბურთელს, განმკითხავი არავინაა.

ფორმალურად, ტოპისა და ბლოხინს ერთი მრწამსი აქვთ. ბლოხინიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია, ოღონდ უკრაინულის. 2002 წელს ის რადას დეპუტატიც კი შეიქნა, თუმც ბოლო დროს პოლიტიკურად აქტიური აღარ არის.

შარშან, თებერვალში ბლოხინმა www.Sport.com.ua-სთან ინტერვიუში ისეთი დაბრეხვა, დასავლურმა გამოცემებმა ყბად რომ იღეს. იმ ინტერვიუში ბლოხინი ამბობს: *''რაც უფრო მეტი უკრაინელი ითამაშებს უკრაინის ეროვნულ ჩემპიონატში, მით უფრო მეტი კარგი მაგალითი იქნება ეს ახალი თაობისთვის. ახალგაზრდებს უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ შევჩენკოსგან ან ბლოხინისგან ისწავლონ და არა ვილაც ზუმბა-ბუმბასგან, ვინც ორი ბანანის საფასურად ითამაშებს უკრაინაში. როცა ფეხბურთელი ვიყავი, თუ თამაშს წავაგებდი, არ იყო ადვილი კიევის ქუჩებში გასვლა, სადაც ბევრი იყო ისეთი, რომელსაც შენი მიტყეპვა შეეძლო წაგებული თამაშის გამო. მაგრამ აქვს კი აზრი უცხოელის ცემას? კარგი, შენ ის გალახე, მაგრამ ამას ის მოჰყვება, რომ ბარგს ჩაალაგებს და წავა.''*

ჰერ კლაუს, ძალიან გთხოვთ, ასწავლეთ ჭკუა ასეთ...

დავით თავართქილაძე





ნოდარ ახალკაცი და გიორგი გაბაშვილი

საქართველო-უკრაინა

ყველაფერი გამარჯვებისთვის!

ახალკაცი უკრაინასთან ისტორიულ მოგებას ელის

გუშინ, 17 საათზე ტექნიკურ ცენტრ "ბასას" სპორტისა და კულტურის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი** ეწვია. ნაკრების ბაზაზე მას **ნოდარ ახალკაცი** დაუხვდა. მათ მალევე **კლაუს ტოპმიოლერიც** შეუერთდა. სამთა შორის საუბარმა ხუთიოდე წუთს გასტანა. მერე საპრესკონფერენციო დარბაზში ფეხბურთელები შეიკრიბნენ, მასმედიაც მიგვიპატიჟეს...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გაბაშვილს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

"ბოლო ხანს ეროვნულის წარუმატებელი თამაში ერთმანეთს მიეწყო. სანაკრებო მატჩები ყოველთვის მნიშვნელოვანია. ფეხბურთში ყველაფერი ხდება მოგებაც, ფრეცა და წაგებაც. თუმცა ერთი რამ ნამდვილად უნდა იყოს და ალტერნატივა არ აქვს, სასურველი შედეგის მისაღწევად, გულიანად ბრძოლა და ბოომდე დახარჯვა მოედანზე. ჩვენს გუნდს უნდა ეტყობოდეს, რომ მოედანზე მებრძოლი გუნდია – საქართველოს ეროვნული ნაკრები. კარგად ვიცი ჩვენი ნაკრების განწყობა, ხასიათი, მოტივაცია. როგორც გავიგე ზოგი ამბობს, ნაკრებს მოტივაცია არ აქვსო. ჩვენი ნაკრები სულაც არაა უმოტივაციოდ და 8 სექტემბრის მატჩს საკმაო დატვირთვა აქვს. არ შეიძლება უკრაინისთან მატჩში გუნდს მოტივაცია არ ჰქონდეს. არაფერი დაეჯერებათ იმ სპორტულ ანალიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ, რომ ნაკრებს მოტივაცია, ჟინი არ აქვს და ბრძოლა არ შეუძლია.

ქომაგებს მოვუწოდებ, მოვიდნენ სტადიონზე და ერთგულად დაუჭირონ მხარი ჩვენს საყვარელ გუნდს. მჯერა, ჩვენი ნაკრების სახით შაბათს 11 მებრძოლი გავა მოედანზე და გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებს', - განაცხადა გაბაშვილმა.

ამის შემდეგ, 10-15 წუთის განმავლობაში საუბარი დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა. საუბრის დამთავრების შემდეგ კი გაბაშვილმა აღნიშნა: "დახურულ კარს მიღმა ნაკრების წევრებს ფეხბურთისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ვესაუბრე. ჩვენი გეგმები გავაცანი, რომელიც უეფას სტანდარტის მიხედვით, რამდენიმე სტადიონის რეაბილიტაციასა და სხვა კარგ პროექტებს მოიცავს. ყოველივე ამას კი მოტივაცია, გამარჯვების განცდა, ხალხის გახარება ესაჭიროება და მე ვთხოვ ფეხბურთელებს ქომაგები, უბრალო ხალხი გაახარონ...

ჩამოვა თუ არა უკრაინიდან სამთავრობო დელეგაცია და პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო? ჯერჯერობით, ოფიციალური ინფორმაცია არ გვაქვს. ალბათ, უკრაინიდან მთავრობის რამდენიმე წევრი მაინც ჩამოვა".

"ფეხბურთში თითოეულ დეტალს გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს... როცა სპორტის მინისტრი მნიშვნელოვან მატჩამდე ეროვნულ გუნდთან მიდის, ნაკრებს ამხნევებს და მხარდაჭერას აფიქსირებს, ძალზე მნიშვნელოვანია. მჯერა, თითოეული ფეხბურთელი მაქსიმუმს გაიღებს, რათა უკრაინის ნაკრებთან გამარჯვებას მივაღწიოთ. სხვათა შორის, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში უკრაინის ნაკრები ჯერ არ დაგვმარცხებია და ამ გამარჯვებას გულშემატკივარი 18 წელიწადია ელის. დარწმუნებული ვარ, შაბათის მატჩი ისე დამთავრდება, როგორც ჩვენ გვინდა", - ეს უკვე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სიტყვებია.

დავით ცაბაძე

საქართველოს თასი

ჯგუფურის მთავარი ინტრიგა: დინამო–ვიტ ჯორჯია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გუშინ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა მოეწყო. ჯგუფები მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი რომ გამოსულიყო, პფლ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა ისინი ოთხ კალათად განთესა. თექვსმეტეული ასე დაჯგუფდა:

I ჯგუფი
- ამერი (თბილისი)
- მესხეთი (ახალციხე)
- სპარტაკი (ცხინვალი)
- ტორპედო (ქუთაისი)

II ჯგუფი
- დინამო (თბილისი)
- ვიტ ჯორჯია (თბილისი)
- ლოკომოტივი (თბილისი)
- მაღარელი (ჭიათურა)

III ჯგუფი
- ოლიმპი (რუსთავი)
- ბორჯომი (ბორჯომი)
- გათუმი (გაგრა)
- მერანი (მერანი)

IV ჯგუფი
- ზესტაფონი (ზესტაფონი)
- გგლეხი (ზუგდიდი)
- დილა (გორი)
- კახეთი (თელავი)

დაგვეთანხმებით, თანაბრად დაბალანსებული ჯგუფებია. ყველაზე საინტერესო, ალბათ, "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებები იქნება. ჯგუფური ტურნირის კალენდარი ამ დღეებში შედგება, ის კი უკვე ცნობილია, რომ პირველი ტური 17 და 18 სექტემბერს გაიმართება. შეგახსენებთ, მეოთხედფინალში თამაშის უფლებას ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები მოიპოვებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

მეტოქე

რა შემადგენლობით გვეთამაშება უკრაინა?

უკრაინული მედია ბოლო დღეებში ნაკრებზე ისეთ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს აქვეყნებს, სიმართლეში გასარკვევად ღამის შერლოკ ჰოლმსობაა საჭირო.

ზოგიერთ ინფორმაციებში **ოლეგ ბლოხინთან** კონსულტაციების კვალი იკითხება. თუკი ვინმე ამგვარ სტატიებს ენდობა, გვარიანად მოტყუვდება. ანუ, ჩვენ საქმე ერთ გუნდთან გვაქვს, რომელიც დეზინფორმაციით მეტოქის დაბნევას ცდილობს.

ზოგიერთი ჟურნალისტის ცნობით, **ანდრეი რუსოლის** ტრავმამ უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოლეგ ბლოხინს დაცვის ცენტრში სერიოზული პრობლემა შეუქმნა. "დნეპრის" მოთამაშე ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და უცნობია, 8 სექტემბერს თბილისში ითამაშებს თუ არაო.

რუსოლის ტრავმამ ბლოხინს ჩამოწერილი **სერგეი ფიოდოროვი** გაახსენა. კიევის დინამოელს პერსონალურ მეურვეობაში ვერავინ შეედრება, მაგრამ ნაკრებში დიდი ხანია აღარ ათამაშებენ.

ტრავმის გამო, მან მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა და მართალია, რუსოლს რამდენიმე ცნობილი მცველი შეუწყვილეს (ვაშჩუკი, სვედერსკი, გუსინი, ეზერსკი, კუჭერი, შერშუნი, ჩიგრინსკი), ფიოდოროვის ღირსეული შემცვლელი ვერავინ აღმოჩნდა. თუმცა ფიოდოროვი არც ახლა გამოიძახეს, ბლოხინმა დინამოელი ისე გაიხსენა, როგორც იხსენებენ სტალინისტები "დვა დვადცატიანი" ძეხვის დროს - რა დრო იყოო!

ბლოხინი მარჯვენა მცველის პრობლემასაც შეეხო: *"ხუთი წელიწადია ნაკრებში ვმუშაობ და არც ადრე იყო დაცვის მარჯვენა ფლანგ ზე ძლიერი მოთამაშე და ახლაც არ გამოჩენილა".*

უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებს ახლა შესარჩევი ციკლის შეხვედრა ელის და **ალექსეი მიხაილიჩენკომ** რამდენიმე მოთამაშე ეროვნულიდან წაიყვანა. ბლოხინმა მხოლოდ "შახტიორის" კაპიტანი **დმიტრი ჩიგრინსკის** დატოვება დაიჟინა, მას ნაღდად არ გავუშვებო. არაა გამორიცხული, გუნდიდან კრავჩენკო გაუშვან. თუმცა ეს მარჯვენა ნახევარმცველ **ოლეგ გუსევზეა** დამოკიდებული. მას კოჭ-წვივის სახსარზე სურათს გადაუღებენ და ექიმები იტყვიან, საშიშია ტრავმა თუ, არა. თუმცა გუსევი აქტიურად ვარჯიშობდა და მისი თბილისში თამაში, წესით, საეჭვო არ უნდა იყოს.

ბლოხინს ძლიერ ადარდებს **მაქსიმ კალინიჩენკოს** მდგომარეობა. თუმცა მასზე დაყრდნობა მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია. შაშინ, ვინ იქნება თბილისში უკრაინელთა ფლეიმეიქერი? უკრაინული პრესა ამტკიცებს, თითქოს, **ალექსეი ბელიკი** და **სერგეი ნაზარენკო** ტრავმის გამო, სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობენ. ერთადერთი **რუსლან როტანია** უპრობლემოდ, ჯანზეა და თამაშსაც შეძლებსო.

თუმცა ჩვენს უკრაინელ კოლეგებს შევეხმიანეთ და არ დაუმალავთ, რომ სინამდვილეში როტანი და ნაზარენკო ტრავმირებულები არ არიან და აშკარაა, რომ ბლოხინი მათ ტრავმებზე ხმებს შეგნებულად, **კლაუს ტოპმიოლერის** მოსატყუებლად ავრცელებს. უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" გათქვა კიდეც თავისიანები - სინამდვილეში, მწვრთნელმა დნეპროპეტროვსკელებს "ბელხატოვთან" უეფას მატჩის შემდეგ, დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალება მისცა.

ანატოლი ტიმოშჩუკის საუბრიდან ირკვევა, ტრავმების გამო შეკრება **ვორობეიმ, მიხალიკმა** და **ნესმაჩნიმ** რომ დატოვეს.

აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, ბლოხინის ხელქვეითებში რეალურად ვინ რა მდგომარეობაშია, ვინაა დაშავებული და ეროვნულის მოედანზე ვის ვიხილავთ.

რუსლან როტანი მოახლოებულ შეხვედრაზე "სპორტ-ექსპრესს" ესაუბრა: *"საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად საგანგებო კრებები იმართება. თუმცა ამ კუთხით პრობლემები ისედაც არ გაგვაჩნია. თბილისში თამაში ყოველთვის რთულია... ბლოხინმა თქვა, რომ ჩიგრინსკისთან წყვილში თამაში მიჭირს. ამის მიზეზი უფრო ჩვენი შეუთამაშებლობაა, რაც ცენტრალური მცველებისთვის მნიშვნელოვანია... პრობლემა არც კუჩერთან და ეზერსკისთან შეწყვილებით შემექმნება... ასე მგონია, ქართველები ბურთით იბადებიან, ისეთი ტექნიკურები არიან და ძალიან უყვართ შეტევა... არველაძე ნაკრებიდან წავიდა, მაგრამ ბურთის გატანა სხვებსაც შეუძლიათ. თანაც, ქართველებს ტოპმიოლერი წვრთნის, რომელიც ნელნელა გუნდში წესრიგს ამყარებს".*

ანატოლი ტიმოშჩუკი იმუქრება, ქართველებისგან ქვას ქვაზე არ დავტოვებო: *"წინა თბილისური შეხვედრისგან განსხვავებული ვითარებაა. ჩვენ მოგება ჰაერივით გვჭირდება... ქართველებს გერმანელი წვრთნის და ორგანიზებული გუნდი უნდა ჰყავდეთ. თუმცა მათი სამხრეთული ტემპერამენტიც გავითვალისწინოთ, უყვართ ბურთის თრევა, განსხვავებით ძალისმიერი ბრძოლებისგან და ყოველთვის არ არიან ორგანიზებულები. ჩვენ კი ბოლო წუთამდე ბრძოლა გვახასიათებს. ჩვენ მოგება აგრესიული თამაშით შეგვიძლია. მათ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ჰყავთ, ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ტოპმიოლერმა ძლიერი ნაკრები ჩამოაყალიბა, თუმცა ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ".*

მერაბ მამულაშვილი

ᲘᲐᲓᲝᲠᲐ

ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲓᲠᲝ 21. ᲔᲕᲠᲝ 2009. ᲞᲔᲢᲐᲠ ᲡᲔᲒᲠᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

მთავარი ქულებია

ახალგაზრდული შემტევ ფეხბურთსა და მოგებას გვპირდება

გუშინ, დილით ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი** და მისი თანაშემწე **გელა შეყილაძე** მასმედიის წინაშე წარდგნენ. რაღა თქმა უნდა, პრესკონფერენცია ყაზახეთთან დღევანდელ მატჩს შეეხო.

პეტარ სეგრტი:

- მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ. ყაზახეთის ნაკრები ენერგიული და მოძრავი გუნდია. მეტოქე ფეხბურთელები კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან. ყაზახეთი უმეტესად 4-4-2 სქემით თამაშობს, მაგრამ ზოგჯერ 4-4-1-1 განლაგებასაც ირჩევს. ვნახეთ ყაზახეთ-რუსეთის მატჩის ვიდეოფირი და შემიძლია გითხრათ, რომ რუსებს ძალიან გაუმართლათ, რომ 1:0 მოიგეს. ჩვენ ძალიან მონდომებულები ვართ, მოგება გვწყურია და მჯერა, შევძლებთ კიდეც. სამწუხაროდ, ბოლო დღეებში არაერთი პრობლემა შეგვექმნა, ზოგი ფეხბურთელი ავად გახდა, ზოგი დაშავდა... **ლორია, წინამძღვრიშვილი, ბენაშვილი, ბჟალავა, ჩიმაკაძე, მახარაძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია** – სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ ფეხბურთელთა თამაში გამორიცხულია. **ყენია, მაკარიძე** და **ღვინიანიძე** ეროვნულ ნაკრებში არიან.

გვეამაყება რომ იმ გუნდიდან, რომელმაც პოლონეთში ითამაშა, 5 ფეხბურთელია ეროვნულ ნაკრებში. ეს მომენტი ახალგაზრდებისთვის ყურადსაღები სიგნალი უნდა იყოს. ყველამ კარგად უნდა გაითავისოს, რომ მონდომების შემთხვევაში ახალგაზრდულიდან ეროვნულ ნაკრებამდე გზა ძალიან მოკლეა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ **ჯაბა კანკავა** ჩვენს ნაკრებში ითამაშებს. ის ეროვნულში დისკვალიფიცირებულია და ჩვენს გუნდში საკანძო ფიგურა იქნება.

გუნდში საბრძოლო განწყობა და კარგი ატმოსფეროა. დღეს ბიჭებმა, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეკლესიაში წასვლა მთხოვეს და, რაღა თქმა უნდა, დავთანხმდი. იმედი გვაქვს, ყაზახეთთან მატჩის შემდეგ ტრავმირებულები არ გვეყოლება და უკვე ესპანეთთან მატჩზე გადავერთვებით.

ბუნებრივია, გოლების გატანაზე ვიქნებით აქცენტირებულნი, პირველივე წუთებიდანვე შევუტევთ. ესპანეთთან და პოლონეთთან წაგებული მატჩების მერე ქების სიტყვები დავიმსახუროთ, მაგრამ სამწუხაროდ, ქულები ვერ მოვიპოვეთ. ახლა ქულები გვინდა, ქება უკვე ნაკლებადაა მნიშვნელოვანი.

ჩვენი გუნდი ყოველთვის გულიანად და მონდომებით თამაშობს. მჯერა, ხვალინდელ შეხვედრაში გულთან ერთად გონებითაც ვითამაშებთ. დარწმუნებული ვარ, ხვალ მოედანზე 11 მეომარ ფეხბურთელს ვიხილავთ, რომელიც ბოლომდე დაიხარჯება, იბრძოლებს და ქვეყნის სახელს არ შეარცხვენს. ამის თაობაზე ჯაბა კანკავამაც მითხრა – მეამაყება რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ვითამაშებო. ის ხვალ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იქნება.

დავით ცაბაძე

მერებაშვილისთვის ახალგაზრდულიც სათუოა

ნაკრებს კახელიშვილი გამოაკლდა

გუშინ, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყაზახეთან მატჩამდე, ბოლო ვარჯიში გამართა. წვრთნამ, რომელიც რუსთავში, "ფოლადის" სტადიონზე 15 საათზე დაიწყო, საათს გასტანა. ვარჯიშში "ოლიმპის" ფორვარდი **გიორგი კახელიშვილი** არ მონაწილეობდა, რომელსაც მაღალი სიცხე ჰქონდა და **პეტარ სეგრტმა** ის მოსამზადებელი შეკრებიდან გაუშვა. 21-წლამდელებში ნამატიცაა, ნაკრები გუნდების სამწვრთნელო შტაბის მოთათბირების შედეგად, **ჯაბა კანკავა, გიორგი მერებაშვილი** და **სანდრო კობახიძე** ეროვნულიდან ახალგაზრდულში გადაიყვანეს. თუმცა გუშინდელ ვარჯიშში ახალგაზრდულს თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილიც დააკლდა. მერებაშვილი დაშავდა, თუმცა ნაკრების მწვრთნელებს იმედი გადაწურული არ აქვთ. **გელა შეყილაძის** თქმით, კიდევაა შანსი, რომ მერებაშვილმა ყაზახებთან თამაში შეძლოს და ექიმები საამისოდ ყველაფერს აკეთებენ. საყაზახეთოდ ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (მერანი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).

მცველები: უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), გიორგი ელაქიძე (ამერი), გულვარდ თომაშვილი (დინამო).

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), სანდრო კობახიძე, ირაკლი ჩირკაშვილი (ორივე დინამო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), თემურ აფრამაშვილი (მესხეთი).

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი), ვახტანგ კვარაცხელია (ვეტრა, ლიტვა), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია).

გვიან ღამით შევიტყვეთ, რომ **ბექა გოცირიძეს** სიცხემ აუწია. ვითარება საგანგაშო არ იყო, მაგრამ მისი თამაში მაინც საეჭვოა.

დაბოლოს, დღეს, რუსთავში, საქართველოსა და ყაზახეთის 21-წლამდელთა მატჩი 16 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა.

დავით ცაბაძე

ვის წამოიყვანს ბლოხინი თბილისში?

გიორგი მერებაშვილი

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ილია კანდელაკი

ინტერვიუ ილია კანდელაკთან

კარლ ცაისი საქართველოს ნაკრებს ჰგავს

ოდესის ჩერნომორეციდან იენის "კარლ ცაისში" გადასულ ილია კანდელაკს უკრაინელი ჟურნალისტები შეხმიანენ და ინტერვიუ ჩამოართვეს. საუბარი საქართველო-უკრაინის მოახლოებულ დაპირისპირებასა და უშუალოდ, კანდელაკის კარიერას შეეხო.

- როგორი გუნდია საქართველოს ნაკრები?

- ძალიან კარგი გუნდია, რომელიც შედეგს ვერ აღწევს.

- რატომ?

- არ ვიცი.

- რატომ ვერ შეძელით თქვენი შესარჩევი ჯგუფის ფავორიტებისთვის თუნდაც ერთი ქულის ართმევა?

- იტალიას, უკრაინასა და შოტლანდიას საკმაოდ ნორმალურად ვეთამაშეთ, მაგრამ სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა.

- როგორ ფიქრობთ, სწორი ნაბიჯი იყო საქართველოს ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის მიწვევა?

- სწორი იყო თუ არა, ეს ჩემი გასარჩევი არაა. ისე კი, ტოპმიოლერი კარგი მწვრთნელი და ადამიანია. ფეხბურთელებს თბილად და მეგობრულად ეპყრობა.

- რომელ ენაზე ურთიერთობს იგი ქართველ ფეხბურთელებთან?

- გერმანული თითქმის ყველამ ვიცით.

- ნაკრებში ბევრი მატჩი არ ჩაგიტარებიათ, სამაგიეროდ, უკვე არაერთი გრანდის წინააღმდეგ ითამაშეთ. რომელ მეტოქესთან შეხვედრამ დაგიტოვათ საუკეთესო მოგონება?

- ამაზე არასდროს მიფიქრია. ჩემთვის ნებისმიერი სანაკრებო მატჩი მნიშვნელოვანია, თუნდაც ეს ლიხტენშტაინთან თამაში იყოს.

- თქვენი აზრით, ჩვენი ჯგუფიდან ვინ მოიპოვებს ევრო 2008-ის საგზურს?

- პროგნოზისგან თავს შევიკავებ. გულწრფელად მინდა, რომ ევროპაზე უკრაინა გავიდეს და ეს საკმაოდ რეალურია.

- "კარლ ცაისის" ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე დამკვიდრდით. თქვენი ახალი გუნდის შესახებ რას იტყვით?

- გერმანიაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ისე, "კარლ ცაისი" რაღაცით საქართველოს ნაკრებს ჰგავს - კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ჯერჯერობით, სახარბიელო შედეგი არ გვაქვს.

- ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ ფრანკ ნოიბარტთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

- ნორმალური. სამწუხაროდ, ჯერ გერმანულს კარგად ვერ ვფლობ და მასთან ხან ინგლისურად ვსაუბრობ, ხან თარჯიმნის საშუალებით.

- მოდით, ერთმანეთს გერმანიის მეორე ბუნდესლიგა და უკრაინის უმაღლესი ლიგა შეადარეთ...

- ძნელია შედარება. უკრაინელებს თავისი სათამაშო სტილი აქვთ, გერმანელებს - თავისი. ერთი ეგაა, რომ გერმანიაში უფრო საფეხბურთო ატმოსფეროა.

- "ჩერნომორეცი" რატომ დატოვეთ?

- ამ გუნდში ორი წელიწადი ვითამაშე და უბრალოდ, სიტუაციისგამოცვლა გადავწყვიტე. თანაც, ბოლო დროს "ჩერნომორეცის" ძირითადში ვეღარ ვხვდებოდი, ხელმძღვანელობა ჩემს პრობლემას გაგებით მოეკიდა და მოქმედი კონტრაქტისგან გამათავისუფლა. არავისზე ნაწყენი არ ვყოფილვარ, გუნდის მაშინდელ მთავარ მწვრთნელთან, სემიონ ალტმანთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ოდესაში ორი დაუვიწყარი წელიწადი გავატარე და ბევრი მეგობარი შევიძინე. როცა დრო მექნება, ოდესაში აუცილებლად დავისვენებ.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

თეზისი

ცხადაძე კახაბერი. დაიბადა 07.09.1968, რუსთავი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა რუსთავის "მეტალურგში" (1984-87), თბილისის "დინამოში" (1988-91), მოსკოვის "სპარტაკში" (რუსეთი, 1992), მოსკოვის "დინამოში" (რუსეთი, 1992), ფრანკფურტის "აინტრახტში" (გერმანია, 1993-96), ვლადიკავკაზის "ალანიაში" (რუსეთი, 1997), "მანჩესტერ სიტიში" (ინგლისი, 1998-2000), თბილისის "ლოკომოტივსა" (2000-02) და მაჰაჩყალის "ანჟიში" (რუსეთი, 2003-04). ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე (1992). დსთ-ის ნაკრებში ჩაატარა 6 მატჩი (1 გოლი), საქართველოს ნაკრებში 25 (1)), სსრკ უმასლეს ლიგაში - 41 (1), საქართველოს უმაღლეს ლიგაში - 66 (2). საქართველოს ნაკრების კაპიტანი პირველ ოფიციალურ მატჩში (1994 წელს მოლდოვასთან). საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1990, 91), რუსეთისა (1992) და გერმანიის (1993) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი, სსრკ/დსთ-ის თასის მფლობელი (1992). თბილისის "ლოკომოტივის" (2002-02) "დინამოსა" და ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელი.

ევრო 2008. იტალია-საქართველო

ნახე იტალია, უქომაგე ნაკრებს

საქართველოს ეროვნულ ნაკრები 11 ოქტომბერს იტალიას სტუმრად ეთამაშება. გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია სწორედ იტალიაში ქომაგთა გამგზავრების საკითხებს შეეხო.

- იტალია-საქართველოს მატჩი 11 ოქტომბერს, გენუაში გაიმართება. ჩვენი სააგენტო ეროვნული ნაკრების თამაშზე დასწრების მსურველებს, ამჯერად ნოვაციას სთავაზობს. მსურველებს ახლა უკვე დატვირთულ პროგრამას შევთავაზებთ. ჩვენი ძირითადი ჯგუფი იტალიაში 5 ოქტომბერს გაემგზავრება და უკან 13-ში საღამოს ან 14-ში დილით გამოფრინდება. ჩვენს ტურისტულ პაკეტში გათვალისწინებულია იტალიის თითქმის ყველა ღირშესანიშნაობის ნახვა. საექსკურსიო ტურები შედგება რომსა (4 დღე) და ფლორენციაში (2 დღე). ამასთან, ჩვენს ტურისტულ ჯგუფს რუსულენოვანი გიდი მოემსახურება, - აღნიშნა სააგენტოს ხელმძღვანელმა **სოფიო თავართქილაძემ** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და GFF TRAVEL-ი 5 ჟურნალისტს იტალიიდან ჩარტერული რეისით, უფასოდ წამოიყვანს.

ჩარტერულ რეისში ჩვენ 50-დან 60 ადგილამდე გვექნება. როგორც ხედავთ რაოდენობა შეზღუდულია და მსურველებმა უნდა იჩქარონ. თუმცა არცერთ მსურველს უკან არ გავუშვებთ.

სოფიო თავართქილაძე

იტალიაში გამგზავრების მსურველებს მცირე პაკეტებსაც ვთავაზობთ. კერძოდ, ყველას შეეძლება მთავარ ჯგუფს შეუერთდეს ფლორენციაში ან გენუაში და ნებისმიერ დროს გავამგზავრებთ იტალიაში.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა მსურველები 7 ოქტომბერს "სტადიო ოლომპიკოზე" "რომა"-"მილანის" მატჩს დაესწრონ.

ტურისტული პაკეტის ფასი ორშაბათს უკვე ცნობილი იქნება. ორშაბათიდან 10 სექტემბრიდან დაიწყება საბუთების მიღება და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

დავით ცაბაძე

დავით თარგამაძე

სექტემბერი დაიწყო, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და "ფრაიბურგის" ნახევარმცველი დავით თარგამაძე კი თბილისშია.

- აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან ხელი მოვიტეხე და სამკურნალოდ თბილისში დავრჩი.

- გერმანიაში ვერ იმკურნალებდი?

- ეს არ იყო პრობლემა. მთავარი ისაა, რომ გერმანიის სამუშაო ვიზას ველოდებოდი. აქამდე სამთვიანი ვიზით ვიმყოფებოდი, ახლა კი ერთწლიანი მჭირდება. ამას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

- მოკლედ, უნდა ვიფიქროთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, "ფრაიბურგში" შენი ჩარიცხვა გადაწყდა?

- ყველაფერი შეთანხმებულია. სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. უკვე ოფიციალურად შემომთავაზეს. ვიზას მივიღებ და "ფრაიბურგში" ჩავირიცხები.

- ფინკესთან დაკავშირებული იმედები წარსულს ჩააბარე?

- არც ვიცი, სად არის.

- ნაკრების თამაშებამდე სად ვარჯიშობ?

- 35-ე სკოლაში, იქ გავიზარდე და ყველანაირად ხელს მიწყობენ. გოჩა ავსაჯანიშვილმა გამზარდა და ახლა ის მეხმარება ფორმის შენარჩუნებაში.

ინტერვიუ დავით თარგამაძესთან

თარგამაძეს ფრაიბურგი სამი წლით იჭოვებს

- "ფრაიბურგში" ჩარიცხვას სხვა კლუბების იმედად არ ჩქარობდი. ახლა დასამალი აღარაფერია. კიდევ რომელი გუნდი გიწვევდა?

- ფინკეს "ციურიხში" იწვევდნენ და მეც მითხრა წამოდიო, ამას გარდა, მეორე ბუნდესლიგის "ჰოფენჰაიმში" უნდა წავსულიყავი. სხვათა შორის, ეს ის გუნდია, შარშან გერმანელმა მილიარდელმა რომ იყიდა და ტოპმიოლერს იწვევდა. რომ დავფიქრდი, გადასვლა არ მიღირდა. "ფრაიბურგს" მივეჩვიე და რაც მთავარია, ეს არის ქართველების გუნდი. აქ ნათამაშებმა ჩვენებურებმა ხალხს თავი შეაყვარეს და მეც კარგად მიმიღეს. გუნდში ოთარ ხიზანეიშვილი დარჩა და მარტოობას არ ვგრძნობ. "ჰოფენჰაიმში" ასე ნაღდად არ იქნებოდა. თავის დამკვიდრება უფრო გამიჭირდებოდა.

- ახალ სეზონს "ფრაიბურგის" დუბლებში დაიწყებ თუ ძირითადში?

- ჯერ მეორე გუნდში, თუმცა დუბლებში დარჩენას არ ვაპირებ. უცხოელმა ძირითადში უნდა ითამაშოს და ეს კარგად მესმის. მე გარკვეული მიზანი და გეგმა მაქვს. ძირითადში რომ მოვხვდე, წელიწადია ფიზიკურად მოძლიერებაზე უნდა ვიმუშაო, წონა, კუნთები ავკრიფო. უცებ ძირითადში არავინ ჩამსვამს, ჩემ დროს უნდა დაველოდო.

- ფინკეს წასვლით შენთვის არაფერი შეცვლილა?

- ის ყველასთვის ავტორიტეტია და ჩემი ჩაყვანაც მისი დამსახურებაა. პირადად მე მერჩივნა, "ფრაიბურგში" დარჩენილიყო. თუმცა დამოკიდებულება მას შემდეგაც არ შეუცვლიათ და კონტრაქტიც ამიტომ შემომთავაზეს.

- შენი აზრით, იაშვილის წასვლამ "ფრაიბურგზე" რა გავლენა მოახდინა?

- ჩემი აზრის კითხვა არცაა საჭირო. ყველა ამბობს, რომ ძალიან დაგვაკლდა, თუმცა ისევ ბუნდესლიგაში გადასვლას ვაპირებთ და მგონი, წლევანდელ "ფრაიბურგს" ამის პოტენციალიც გააჩნია.

- ახალგაზრდულ ნაკრებში ჯერ არ გიპირებენ გადაყვანას?

- ჯერ მხოლოდ 19-წლიანებში ვითამაშებ. ახლა ამხანაგურად რუმინეთს შევხვდებით, ოქტომბერში კი თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ვუმასპინძლებთ. ნორვეგიას, ჰოლანდიასა და ლიტვას ვხვდებით.

- ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს და რისი იმედი უნდა გვქონდეს?

- რომ იცოდეთ, ჩვენც ძლიერი გუნდი გვყავს. პორტუგალიის ტურნირზე მასპინძლებს 1:0 მოვუგეთ. ეს იცით, როგორი სენსაცია იყო? ხომ იცით, მაგარ თაობას ზრდიან პორტუგალიელები და საქართველოსთან წაგებას რას წარმოიდგენდნენ. ჩვენი ვახტანგ ბლაგიძე ამ ქვეყანაში, "გიმარაეშში" თამაშობს. მისი თანაგუნდელი პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და თამაშამდე იტრაბახა, თავს არ მოვიკლავთ და 3:0-ს ისე მოვიგებთო. მწვრთნელიც დარწმუნებული იყო. 1:0 მოვიგეთ და ის მწვრთნელი გადაირია.

იცით, რატომ მოვიგეთ? მაგარი განწყობით ვითამაშეთ. პორტუგალიის ტურნირზე ირლანდიასთან 1:3 კი წავაგეთ, მაგრამ უაზრო ბურთები გავუშვით, იქით კი უამრავი გავაფუჭეთ. ბელგიას 3:0 მოვუგეთ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ მთავარია, მოედანზე როგორ გავდივართ.

რადგან პორტუგალიაში ორ ძლიერ ნაკრებს მოვუგეთ, გამოდის, თამაში და მოგებაც შეგვიძლია. საერთოდ, ძალიან მეგობრული და ბრძოლისუნარიანი ბიჭები შეიკრიბნენ 19-წლამდელთა ნაკრებში.

მერაბ მამულაშვილი

საჩუქარი ფანებს

გუშინ, ნაშუადღევს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ეროვნული ნაკრების ფანკლუბის წევრები შეიკრიბნენ და უკრაინასთან მატჩის მსვლელობისას საყვარელი გუნდის ქომაგობაზე ითათბირეს. ფანებთან ერთად იყვნენ წყნეთის ბავშვთა სახლისა და "მომავლის" სახლის" მიუსაფარი ბავშვებიც. მათ ფეხბურთის ფედერაციამ და კომპანია "ბეკომ" საჩუქარი გაუკეთა. წყნეთის ბავშვთა სახლს "ბეკოს" ტელევიზორი გადასცეს, ხოლო "მომავლის" სახლის" ბინადრებმა საჩუქრად საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთები მიიღეს.

დავით ცაბაძე

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ისტორია

რუსთავში ბუფონიც გაგვიწბილებია

1995 წელი. 28 მარტი. რუსთავი. საქართველო-გერმანია 0:2. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მარცხნიდან: გიორგი ანჩაბაძე, დავით ჯანელიძე, გიორგი ლუდუშაური, სანდრო ბურნაძე, მამუკა ბუცურეიშვილი, დავით კარიაული, ვახტანგ იაგორაშვილი, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე იაშვილი, ზვიად ჯელაძე, ზვიად პაპიძე

ამ ბოლო დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთაგან სპორტულ მედიას მხოლოდ საყვედურები ესმის. მათი მტკიცებით, ჟურნალისტები ქართულ ფეხბურთში ნაკლოვანებებს ხედავენ, აი, "პროგრესს" კი, თურმე, ვერ ამჩნევენ. არც თავის მართლებას დავიწყებთ, არც მტყუან-მართალის გარჩევას; მხოლოდ იმას ვიტყოდით, რომ "საქმე" დაგვანახონ და მათ მიმართ ქების სიტყვებსაც არ დავიშურებთ. აი, ახლაც, ვთვლით, რომ კარგი ჩანაფიქრი იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ოფიციალური მატჩის სხვა ქალაქში დანიშვნა. მით უმეტეს, რომ რუსთავის სტადიონი სულ მოკლე ხანში ისე შეიცვალა, საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ნაგებობადაც შეიძლება დავასახელოთ. ისიც პლუსად უნდა ჩავუთვალოთ ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებს, საქართველო-ყაზახეთის მატჩზე დასწრება უფასო რომ იქნება. იმედია, დღეს "ფოლადზე" თავისუფალი ადგილები არ იქნება და რუსთაველი თუ თბილისელი გულშემატკივარი ერთგულად უქომაგებს **პეტარ სეგრტის** დამოძღვრილ ბიჭებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები არსებობის 13-წლიან ისტორიაში რუსთავში მესამე მატჩს ჩაატარებს. აღსანიშნავია, რომ დღევანდელის მსგავსად წინა ორიც ოფიციალური იყო და ორივეჯერ რუსთავის სტადიონის ტრიბუნები გადაჭედილი იყო. პირველ თამაშზე, საქართველოსა და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებები რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, 10000-იანმა სტადიონმა... 15 000 ქომაგი დაიტია!

საქართველო-გერმანია 0:2

1995. 28 მარტი. რუსთავი. ფოლადი.
15 000 მაყურებელი

0:1 ციკლერი (27), 0:2 ციკლერი (88)

საქართველო: **ჯანელიძე, პაპიძე, ბურნაძე, კარიაული, ბუცურეიშვილი (ცქიტიშვილი), კიკნაძე, ლუდუშაური, ზ. ჯელაძე, იაგორაშვილი, ანჩაბაძე, იაშვილი (ხომერიკი).**

სათადარიგოებში: გვარამაძე, გოგიტაძე, ასპინძელაშვილი.

გერმანია: ფიდლერი, ერბელი, ელერსი, რ. შნაიდერი, ნოვოტნი (ბოიხელი), შრიდტი, ფელდჰოფი, რამელოვი, ციკლერი, ნერლინგერი, ნოიენდორფი (რიდლევიჩი).

სათადარიგოებში: იენცში, ბრაიტენრაიტერი, მაისნერი

გაფრთხილება: **ჯელაძე;** ბოიხელი, ერბელი, ციკლერი, ფელდჰოფი.

არბიტრი: **ზ. ციობერი (ჰოლონეთი)**

საქართველოს ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრებისთვის ის შესარჩევი ციკლი სადებიუტო იყო. ჯგუფის უპირობო ფავორიტთან - გერმანიის ნაკრებთან გამარჯვებას ჩვენ ახალგაზრდებს ვერავინ მოსთხოვდა, თუმცა ქართველი ქომაგი მაინც იმედით ელოდა ამ მატჩს. სამწუხაროდ, მოედანზე ძალები აშკარად უთანაბრო იყო: ბუნდესლიგის წამყვანი კლუბების ("ბაიერნი", "ლევერკუზენი", "ჰერტა", "კარლსრუე") უკვე ძირითადში დამკვიდრებულმა გერმანელმა ახალგაზრდებმა მასპინძელ თანატოლებს თანამედროვე ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს. კი, შესაძლოა, არც ის იყო უმნიშვნელო, **შოთა ჭეიშვილის** გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (**არჩილ არველაძე, ზაზა ჯანაშია, დავით ჭიჭვეიშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი**) რომ აკლდა, მაგრამ, როგორც გვახსოვს, გერმანელთა მწვრთნელს **ჰანს ლიორსაც** არ ჰყოლია რუსთავში ოპტიმალური შემადგენლობა. მაგრამ, ვინც ჩამოიყვანა, მათი თამაშიც საკმარისი აღმოჩნდა - მიუნხენის "ბაიერნის" 20 წლის ცენტრფორვარდმა **ალექსანდერ ციკლერმა** ჯერ პირველ ტაიმში ისარგებლა ჩვენი მცველების უხეში შეცდომით; მატჩის მიწურულს კი იშვიათი სილამაზის გოლით გადაჭედილი ტრიბუნებისგან ალალი ტაშიც დაიმსახურა! ციკლერზე ვსაუბრობთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ეს ფეხბურთელი დღესაც მაღალ დონეზე ასპარეზობს და ავსტრიის ჩემპიონის "ზალცბურგის" კაპიტანი და სიმბოლო გახლავთ. იმ ნაკრებიდან მის გარდა რამდენიმეს, მართლაც, ჩინებული კარიერა ჰქონდა. ცენტრალური მცველი **იენს ნოვოტნი** წლების განმავლობაში იყო "ლევერკუზენის" კაპიტანი და გერმანიის ნაკრების წევრი; მოედნის ცენტრში ორ დაუღალავ ნახევარმცველს მაშინვე ეტყობოდათ, მომავალში დიდი ფეხბურთი რომ უნდა ეთამაშად და ასეც მოხდა: **კრისტიან ნერლინგერი** "ბაიერნშიც", "დორტმუნდშიც", "გლაზგო რეინჯერსშიცა" და გერმანიის ნაკრებშიც ყოველთვის წამყვან ფიგურად ითვლებოდა; **კარსტენ რამელოვი** კი დღესაც "ლევერკუზენის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია; კვლავაც ბუნდესლიგაში თამაშობენ **კრისტიან ფიდლერი, მარკუს ფელდჰოფი, რენე რიდლევიჩი, ანდრეას ნოიენდორფი** და **სიმონ იენცში.** აი, ჩვენი ახალგაზრდულიდან კი ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება მხოლოდ **ალექსანდრე იაშვილმა, დავით გვარამაძემ** და **ლევან ცქიტიშვილმა** მოახერხეს; ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ იმ შემადგენლობიდან მხოლოდ ეს სამეული აგრძელებს კარიერას პლუს ყაზახეთში მოასპარეზე **ზვიად ჯელაძე.** დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებად **გიორგი კიკნაძე** და ალექსანდერ ციკლერი დაასახელეს.

ზღაპრული გამარჯვება

იმ შესარჩევი ციკლის დასრულების მერე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ვლადიმერ გუცაევი** დაინიშნა. სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის სამწვრთნელო დებიუტი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩს დაემთხვა. იმ დროისთვის იტალიის ახალგაზრდული ნაკრები ევროპაშიცა და მსოფლიოშიც საუკეთესოდ ითვლებოდა, მწვრთნელიც უაღრესად გამოცდილი ჰყავდა (**ჩეზარე მალდინი**), მაგრამ, მთავარი მაინც ნიჭიერი ფეხბურთელების მთელი პლეადა იყო. ჰო, უკვე 1996 წელს ყველა თვლიდა, რომ 19-20 წლის **ჯან ლუიჯი ბუფონს, ალესიო ტაკინარდის, კრისტიან ლუკარელის, ნიკოლა ვენტოლას, ფრანჩესკო კოკოს, რობერტო ბარონიოს, ალესანდრო პისტონეს, ტომას ლოკატელის, მასიმო ამბროზინისა** და **სტეფანო ფიორეს** მომავალში დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. ასეც მოხდა და ნიშანდობლივია, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა ფეხბურთელი კვლავაც უმაღლეს დონეზე აგრძელებს ასპარეზობას. აი, ასეთ ვარსკვლავურ გუნდთან წააგო საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა არეცოში; წაგებას, რა თქმა უნდა, შეგუებული ვიყავით, მაგრამ ანგარიში (0:6) მაინც ნამეტნავად მტკივნეული და შეურაცხმყოფელი იყო. თუმცა, ვლადიმერ გუცაევმა იმ კოშმარული მარცხისგან სწორი დასკვნები გამოიტანა, შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები მოახდინა და ყველასთვის მოულოდნელად, ერთობ ოპტიმისტურად ელოდა იტალიელებთან საპასუხო შეხვედრას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ნოდარ ახალკაცის** (უფროსის) გადაწყვეტილებით კი ამ მატჩის მასპინძლობა რუსთავს დაევალა.

საქართველო-იტალია 2:0

1997. 10.09. რუსთავი. ფოლადი.
8000 მაყურებელი

1:0 კიკნაძე (59), 2:0 ქებაძე (64)

საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, ცქიტიშვილი, დიდავა, ხუჯაძე, ზირაქიშვილი (ქებაძე), კიკნაძე, დ. მუჯირი (გოგობერიშვილი), ალექსიძე (მ. საჯაია), ფოცხვერია, აშვეთია.

იტალია: ბუფონი, სარტორი, გრანდონი, პისტონე (პეზარეზი), კოკო, ბაკინი, ტაკინარდი, ამბროზინი (გორეტი), ფიორე, ლუკარელი, ბელუჩი (ვენტურა).

გაფრთხილებები: ზირაქიშვილი, ფოცხვერია; ტაკინარდი, სარტორი, მორეტი.

გაძევება: ფოცხვერია; კოკო, ბაკინი.

არბიტრი: ბ. როლანდო (შვეიცარია)

...მატჩის დასაწყისი იტალიელი ახალგაზრდების უპირატესობით აღინიშნა. განსაკუთრებით სტეფანო ფიორე აქტიურობდა, რომელმაც ჩვენი მარჯვენაფლანგელები აშკარად დაჯაბნა. ვლადიმერ გუცაევის მიერ პირველ ტაიმშივე გაკეთებული ცვლილება დროულიც იყო და ეფექტიანიც; **ლევან ქებაძე** თამაშშიც კარგად ჩაერთო და მერე, ერთ-ერთი გმირიც გახდა. ტაიმის მიწურულს მოედანზე არსებული სურათი შეიცვალა და ჩვენი ახალგაზრდები უფრო თამამად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. მეორე ტაიმის დასაწყისში კი რუსთაველმა ქომაგებმა ზღაპრული ხუთწუთიანი მონაკვეთი იხილეს: **მიხეილ ფოცხვერიასა და მიხეილ აშვეთიას** წამოწყებულ კომბინაციას ჩინებული გაგრძელება მოუძებნა ჩვენი ნაკრების კაპიტანმა **გიორგი კიკნაძემ** და ბუფონის კარში ეფექტური გოლი გაიტანა. მერე ისევ ფოცხვერიამ იყოჩაღა (წინა ეპიზოდის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ალესანდრო პისტონე დაჩაგრა), აშვეთიამაც კარგად აუბა მხარი პარტნიორს და კუთხურის უფლებაც მოვიპოვეთ. ამ კუთხურს კი მეორე გოლი მოჰყვა - **რატი ალექსიძემ** საჰაერო დუელი მოუგო იტალიელ მცველებს, ბურთი კიკნაძეს დაუგდო, ამ უკანასკნელმა კი ქებაძეს არ დაუგვიანა პასი და ბუფონი ისევ უძლური აღმოჩნდა! თამაშში ხომ დავჯაბნეთ იტალიელები, მერე არც ვაუკაცობაში ჩამოვრჩით - ფრანჩესკო კოკომ ფოცხვერიას დაჩაგვრა მოინდომა და ჩვენი უნიჭიერესი ფორვარდისგან ისეთი პასუხი მიიღო, "ინტერის" მცველს, ალბათ, დღემდე ემახსოვრება. ჰო, მართლა, ის კი დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ იტალიელთა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში კი არა, საერთოდ, განაცხადში ვერ ხვდებოდა "რომას" იმ დროინდელი ამომავალი ვარსკვლავი **ფრანჩესკო ტოტი**!..

გია ტუხაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

8 სექტემბერს, საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთების გაყიდვა **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში, 11 საათიდან. ეროვნული არენის 10 სალარო 18 საათამდე იმუშავებს. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე მხოლოდ 4 სალარო იმუშავებს **გიორგი ცაბაძის** ქუჩაზე.

ბილეთის ფასი 5, 10 და 20 ლარია.

5 ლარი - ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.

10 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.

20 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი – მე-13, მე-14, მე-15, მე-16 სექტორები. აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – 23-ე, 24-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-7, მე-9, მე-10 სექტორები.

ნაკრების ქომაგთა საჭურადღებოდ!
ჩაიცვით წითელი და თეთრი

8 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკრაინას ვხვდებით. ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს მოუწოდებს თეთრ და წითელ (ეროვნული დროშის ფერებში) სამოსში ჩაცმულები მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და ერთგულად უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ქომაგთა საყურადღებოდ ერთ სიახლესაც გაცნობებთ. 8 სექტემბერს, ეროვნულ სტადიონზე, ეროვნული ნაკრების, "დიადორას" წარმოების ეკიპირება გაიყიდება.

მაისურა (წითელი, თეთრი) – 100 ლარი
გრძელმკლავიანი მაისურა (წითელი, თეთრი) – 110 ლარი
შორტი (წითელი, თეთრი) – 50 ლარი
გეტრები (წითელი, თეთრი) – 20 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია vs საფრანგეთი

ითამაშებს თუ არა ვიეირა?

შაბათს, იტალია საფრანგეთს ეთამაშება. ფრანგები **პატრიკ ვიეირას** ძირითად შემადგენლობაში დაყენებას აპირებენ. მისი კლუბი "ინტერი" კი, ამის კატეგორიული წინააღმდეგია. მილანელები ამბობენ, რომ ვიეირა ჯერ არ განკურნებულა. ამიტომ თამაშს შეიძლება ტრავმის გართულება მოჰყვეს. აი, რა განუცხადა "ინტერის" ფიზმომზადების მწვრთნელმა **ივან კარმინატიმ** "გაძეტა დელო სპორტს": *"სანაკრებო შეკრებაზე გამგზავრებამდე პატრიკი მხოლოდ ტრენაჟორების დარბაზში ვარჯიშობდა. ის ბურთს არ გაკარებია. ამიტომ შაბათს მისი მინდორზე გამოყვანა, შეიძლება, სარისკო იყოს. მჯერა იმ ადამიანების პროფესიონალიზმის, რომელთაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ."*

ვიეირამ "როტერის" მიმომხილველს განუცხადა, რომ ყველაფერს იღონებდა იტალიელთა წინააღმდეგ სათამაშოდ, მაგრამ არა საკუთარი ჯანმრთელობის რისკის საფასურად. თანაც ოთხშაბათს ფრანგებს შოტლანდიასთან მატჩიც ელით. თუ პატრიკი შაბათამდე გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, იმედოვნებს, რომ ოთხი დღის შემდეგ მაინც მწყობრში იქნება.

პატრიკ ვიეირა

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი** ირწმუნება: *"ვიეირას პრობლემები დღითიდღე უკან იხევს. პატრიკი თავს კარგად გრძნობს. ის თვითონ გადაწყვეტს, მზად არის თუ არა სათამაშოდ. მე ექიმი არა ვარ, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ფეხბურთელის ჯანმრთელობა ერთხელაც არ დამიყენებია რისკის ქვეშ."* აქვე შეგახსენებთ, რომ მოსიე დომენეკი დისკვალიფიცირებულია და ხვალინდელ შეხვედრას ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

ლემანი უელსთან ითამაშებს

იენს ლემანი გამოჯანმრთელდა. გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** ამბობს, რომ ის უელსთან ხვალინდელ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. იენსი მინდორზე ინგლისთან ამხანაგური შეხვედრის შემდეგ არ გასულა. "არსენალში" მისი ადგილი ესპანელმა **მანუელ ალმუნიამ** დაიკავა. ლემანმა სეზონი სუსტად დაიწყო. მისი შეცდომის გამო, "მეთოფეებმა" ორი ქულა გაანიავეს. ვარაუდობენ, რომ ლემანს ლონდონელთა ძირითადში დაბრუნება გაუჭირდება. იანვრის ტრანსფერებისას კი სულაც ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. იენსის სანაკრებო პოზიციები, ჯერჯერობით, მყარია. მას ბუნდესგუნდის თადარიგში მოხვედრა არ ემუქრება.

ვენგერი 2010 წლამდე

არსენ ვენგერი "არსენალთან" კონტრაქტს 2010 წლამდე გააგრძელებს. ამ ინფორმაციას "სანი" ავრცელებს. ტაბლოიდის ცნობით, მწვრთნელის ხელფასი ორჯერ გაიზრდება და კვირაში 75 ათას გირვანქას მიაღწევს. სოლიდური მომატების მიუხედავად, ვენგერი მაინც არ იქნება "არსენალის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი. ამ ტიტულს ფრანგი მცველი **ვილიამ გალასი** ფლობს. მისი კვირეული შემოსავალი 80 ათასი გირვანქაა. გასულ სეზონში უმდიდრესი არსენალელი **ტიერი ანრი** იყო. მას კვირაში 100 ათას გირვანქას უხდიდნენ.

ანრი: 70 ათასი გაყიდული მაისურა

"ეპიკის" ცნობით, "ბარსელონამ" ნაწილობრივ აინაზღაურა ის თანხა, რომელიც "არსენალს" **ტიერი ანრის** სანაცვლოდ მიუთვალა. გასულ ზაფხულს კატალონიელებმა ფრანგი თავდამსხმელი 13.5 მილიონ ევროდ შეიძინეს. ტრანსფერიდან სამი თვის განმავლობაში "ბარსამ" ანრის 14-ნომრიანი 70 ათასი მაისურა გაყიდა. შემოსავალმა 6 მილიონი ევრო შეადგინა. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამოუვარდება თავის დროზე რონალდინიოს მაისურების რეალიზაციის მაჩვენებელს. ტრანსფერიდან სამი თვის შემდეგ "ბარსელონას" ბრაზილიელის 100 ათასზე მეტი მაისურა ჰქონდა გაყიდული. მისი ეკიპირებით ვაჭრობა დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

მიხაილოვიჩი სერბეთის ნაკრებში

"ინტერის" მეორე მწვრთნელი **სინიშა მიხაილოვიჩი**, შეიძლება, სერბეთის ნაკრებში დაინიშნოს. იტალიური სააგენტოების ცნობით, სერბი სპეციალისტი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებს მართავს. ამჟამად სერბეთს ესპანელი სპეციალისტი **ხავიერ კლემენტე** უდგას სათავეში, მაგრამ მის გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის მცირე შანსი აქვს. თუ გუნდი შეეცაროისა და ავსტრიის საგზურს ვერ მოიპოვებს, კლემენტეს კონტრაქტს არ გაუგრძელებენ. მის სკამზე კი მიხაილოვიჩი დასკუპდება. სინიშა "ინტერიდან" აბარგებას არ აპირებს. სერბები თანახმანი არიან, მწვრთნელმა ორი პოსტი შეითავსოს. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რიჩარდსის ახალი კონტრაქტი

"მანჩესტერ სიტიმ" **მიკა რიჩარდსს** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ფეხბურთელი მის ხელმოწერას არ ჩქარობს. 19 წლის რიჩარდსი ამბობს, რომ შეთანხმება თითქმის მიღწეულია და რომ მისი გაფორმება მხოლოდ დროის საქმეა. მიკას დღევანდელი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. ყმაწვილს ინგლისურმა გრანდებმა დაადგეს თვალი. რიჩარდსმა ეროვნულ ნაკრებში უკვე 4 თამაშის ჩატარება მოასწრო. აქვე გეტყვით, რომ იანვრის ტრანსფერებისას **სვენ გორან ერიქსონი** ავსტრალიელი **მარკ ბრეშიანოს** შეძენას შეეცდება. ნახევარმცველი "პალერმოს" საკუთრებაა. ის 4 მილიონი გირვანქა ღირს. გარიგება აგვისტოშიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო, ჩაიშალა.

აერობუსი A380 აბრამოვიჩს

ფრანგული "ფიგაროს" ცნობით, "ჩელსის" ბოსმა **რომან აბრამოვიჩმა** კლუბის სატრანსფერო ბიუჯეტი იმიტომ შეამცირა, რომ გადაწყვეტილი აქვს, სხვა სურვილები აისრულოს. ფრანგული გამოცემა ირწმუნება, რომ აბრამოვიჩი პირველი კერძო პირია, რომელმაც კომპანია "აერობუსს" მისი ახალი თვითმფრინავი A380 დაუკვეთა. "აერობუსი A380" მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ლაინერია. კომპანია მის სერიულ წარმოებას უახლოეს მომავალში შეუდგება. თვითმფრინავი 820 მგზავრზეა გათვლილი და 300 მილიონი დოლარი ღირს. უცნობია, რაში სჭირდება რუს ოლიგარქს ასეთი გრანდიოზული საფრენი აპარატი. მას უკვე ჰყავს შედარებით მომცრო ორი თვითმფრინავი და რამდენიმე ვერტმფრენი.

მიხაელ ბალაკი

მოსალოდნელი ტრანსფერი

იუვენტუსმა ბალაკს თვალი დაადგა

იანვარში ნახევარწლიანი საინჯარო კონტრაქტი?

გრძელდება ვნებათაღელვა **მიხაელ ბალაკის** გარშემო. "ჩელსიმ" ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა. გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** მიმომხილველებს მიხაელთან საუბრის დეტალები გაანდო: *"მას (ბალაკს) თვითონაც უჭირს ლონდონელთა გადაწყვეტილების ახსნა. ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ მიხაელს ტრავმის მოსაშუშებლად ორი ან სამ თვე დასჭირდება. ფეხბურთელი უფრო მოკლე ხანში აპირებს მინდორზე დაბრუნებას. მეჩვენება, რომ "ჩელსიმ" ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო."*

ინგლისელი მიმომხილველები კვლავ ბალაკის გარდაუვალ ტრანსფერზე აკეთებენ მინიშნებას. "სანის" ცნობით, გერმანელი ვარსკვლავის გადაბირება "იუვენტუსს" სურს. ტაბლოიდი იუწყება, რომ ტურინელები მიხაელს ნახევარწლიან საინჯარო კონტრაქტს გაუფორმებენ. ხელფასის ნაწილს კვლავ ლონდონელები გადაიხდიან. სამაგიეროდ, სეზონის ბოლოს დღის წესრიგში დადგება ბალას ტურინში გაყიდვის საკითხი.

გასულ ზაფხულს "ჩელსიმ" მსგავსი კონტრაქტი გააფორმა ინტერთან და მას არგენტინელი თავდამსხმელი **ერნან კრესპო** დაუთმო. უფრო ადრე ანალოგიური პირობებით, ლონდონიდან მილანში გაემგზავრა არგენტინელი ნახევარმცველი **ხუან სებასტიან ვერონი**. გასათვალისწინებელია ისიც, რომ "იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს. ამიტომ გერმანელი ვარსკვლავის დათმობის შემთხვევაში "ჩელსი" კონკურენტს არ გააძლიერებს. წლევანდელ სეზონში ამ გუნდების გზები არსად იკვეთება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ადრიანო ჯილარდინოში იცვლება?

"მილანი" და "ინტერი" ფეხბურთელების გასაცვლელად ემზადებიან. ამ ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. იანვრის ტრანსფერებისას იტალიის ნაკრების თავდამსხმელი **ალბერტო ჯილარდინო,** შეიძლება, "ნერაძურიში" ჩაირიცხოს. "როსონერი" კი სანაცვლოდ ბრაზილიელ **ადრიანოს** მიიღებს. ჯილარდინოს პრობლემები აქვს. ის მილანელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ბოლო მატჩში ფანებმა თავდამსხმელს სტვენაც კი აუტეხეს.

"ინტერში" პრობლემები აქვს ადრიანოსაც. მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მისი გაშვება სურს. მილანელთა თავკაცი **კარლო ანჩელოტი** კი ადრიანოს თაყვანისმცემელია. აგვისტოს ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, ბრაზილიელი ვარსკვლავით "ვესტ ჰემის" დაინტერესების შესახებ. ადრიანომ კვირეული ხელფასის სახით 125 ათასი გირვანქა მოითხოვა. ამიტომ გარიგება არ შედგა. "კორიერე დელო სპორტი" იმასაც გვაუწყებს, რომ ჯილარდინოს, "ინტერის" გარდა, "ფიორენტინაც" ეპატიჟება. ფლორენციელების მთავარი მწვრთნელი ის **ჩეზარე პრანდელია**, რომელთანაც ალბერტო "პარმაში" მუშაობდა.

ალბერტო ჯილარდინო

მოსაზრება

ფერგი: ბექჰემი ამერიკას ვერ უშველის

ფეხბურთი, დიდი ვარსკვლავის ცხოვრების პატარა ნაწილი

სერ ალექს ფერგიუსონის აზრით, ამერიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის მარტო **დევიდ ბექჰემის** მოდომება საკმარისი არ არის. ამერიკელებმა ინგლისელ გალაქტიკოს ასტრონომიული კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ ფერგი მათ პროექტს სკეპტიკურად უყურებს: *"არ ვიცი, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს დევიდმა. ვფიქრობ, მას ძალიან გაუჭირდება. სამი ათწლეულის წინ ამერიკაში პელე, იოჰან კრუიფი და ფრანც ბეკენბაუერიც თამაშობდნენ, მაგრამ მათი მცელობიდანაც არაფერი გამოვიდა."*

ფერგიუსონის აზრით, ამერიკა სპეციფიკური ქვეყანაა. გუნდებს ერთმანეთისაგან ათასობით მილი აშორებს: *"ევროპაში და განსაკუთრებით, ბრიტანეთში ერთი ქალაქიდან მეორეში გამგზავრება ძალიან ადვილია, იქ კი, თუ ბოსტონში ცხოვრობ და შენი გუნდი ლოს ანჯელესში თამაშობს, ექვსი საათი თვითმფრინავში უნდა გაატარო. ფანები გუნდებთან ერთად არ მოგზაურობენ. ესე იგი, სტადიონზე სათანადო ატმოსფეროც ვერ იქმნება. ამერიკაში ფეხბურთს ფანების მეტოქეობა აკლია. უკეთესი იქნებოდა ამერიკული ფეხბურთის მოწყობა რეგიონური პრინციპით, მაგრამ ქვეყანაში არ არის საკმარისად ბევრი საფეხბურთო კლუბი, რომ რეგიონული ლიგები ჩამოაყალიბონ."*

ფერგი ამერიკული ფეხბურთის პრობლემად მიიჩნევს ნიჭიერი ახალგაზრდების გადინებასაც: *"ამერიკაში ფეხბურთს ბევრი თამაშობს, მაგრამ მათ წასასვლელი არსად აქვთ. საუკეთესო ამერიკელი ფეხბურთელები ახალგაზრდულ ასაკშივე ევროპაში მოდიან. ასე მოიქცნენ ფრიდელი (ბლექბერნი), მაკბრაიდი (ფულჰემი) და დემპსი (ფულჰემი). ეს გარემოება ამერიკული ფეხბურთის წისქვილზე არ ასხამს წყალს."*

კითხვაზე, როგორი ახსოვს **დევიდ ბექჰემი** "მანჩესტერში", ფერგიმ უპასუხა: *"მასთან პრობლემა არასოდეს მქონია, სანამ არ დაქორწინდა. მახსოვს, ისეთი ფანატიკოსი იყო, რომ გვიან ღამითაც კი ფიზმომზადების მწვრთნელებს იბარებდა და ვარჯიშობდა. მერე დაოჯახდა და შოუბიზნესის სამყაროში გადაეშვა. დღეს ის დიდი ვარსკვლავია, ფეხბურთი კი მისი ცხოვრების ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს."*

სერ ალექს ფერგიუსონი და დევიდ ბექჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის მოსაზრება

ბობი რობსონს მაკლარენის არ შურს

ინგლისელთა ყოფილი მწვრთნელი ისეთ ტაქტიკას ემხრობა, სადაც საყრდენი ნახევარმცველები დაცვასა და თავდასხმაში ერთმანეთს ცვლიან, მას არ მოსწონს რომბისებური განლაგება, სადაც საყრდენისა და ფლეიმეიქერის ფუნქციები გამიჯნულია...

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბობი რობსონი "დეილი მეილის" მესვეტეა. მოახლოებული სანაკრებო მატჩების გამო, მისი სტატია, რა თქმა უნდა, ინგლისელთა ეროვნულ გუნდსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა. სტატიაში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო გერმანიასთან ამხანაგური მატჩის ანალიზს. მისტერ რობსონმა, გერმანელებთან დამარცხების მიუხედავად, იმ შეხვედრაში ბევრი პოზიტიური მომენტი დაინახა და სტივ მაკლარენს მათზე ყურადღების გამახვილება ურჩია...



სერ ბობი რობსონი

გერმანიასთან დამარცხების მეორე დღეს გაზეთების მოწინავე სტატიები სამეკარეო კრიზისს ან **მიკა რიჩარდსის** საუცხოო თამაშს მიეძღვნა. **სტივ მაკლარენმა** ჟურნალისტების მოსაზრება შეიძლება არ გაიზიარა, მაგრამ რომ გაეცნო, წყალი არ გაუვა. იმაშიც დარწმუნებული გახლავართ, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მაკლარენი ყველაზე მეტს თავდასხმაზე ფიქრობდა. ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ისრაელსა და რუსეთთან საშინაო მატჩებში გოლებია საჭირო.

სხვა, უფრო ხელსაყრელ ვითარებაში ამოცანა ადვილი შესასრულებელი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, არც ისრაელია ბრაზილია და არც რუსეთი. მაგრამ მაკლარენის საუბედუროდ, დღევანდელი ვითარება სწორედ რომ არახელსაყრელია: **უეინ რუნი** დაშავებულია, **პიტერ კრაუჩი** ისრაელთან მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, **დინ ეშტონსა** და **მაიკლ ოუენს** ტრავმების გამო დიდი ხანი გაუცდათ, **ჯერმეინ დეფო** კი, ფაქტობრივად, არ თამაშობს. ხორვატიასთან, ისრაელსა და მაკედონიასთან უგოლო მატჩების შემდეგ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ უნდა გაიტანოს? თანაც მაშინ, როცა ზედიზედ ორი თამაში "უემბლიზე" იმართება.

დღესავით ნათელია, რომ ოუენი მაკლარენის უმთავრესი იმედია. მაკლარენამდე ის **სვენ გორან ერიქსონის** იმედიც იყო, მაგრამ "ნიუკასლის" თავდამსხმელს ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია. სხვა საქმეა, რომ ამის მიზეზი ტრავმებია და არა ფეხბურთელი. 22 აგვისტოს "უემბლიზე" ვიყავი და მის თამაშს დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი. ეს არ იყო ის მაიკლ ოუენი, რომელსაც ვიცნობთ და გვიყვარს. უკვე ცხრა წელიწადია, ის ჩვენი გუნდის მხსნელის ფუნქციებს ითავსებს. უდავოა ისიც, რომ მაკლი ძირითადში თამაშს იმსახურებს, მაგრამ...

თუ ოუენის დღევანდელ ფორმას გავითვალისწინებთ, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ ორ შეხვედრაში შეცდომის უფლება არ გვაქვს, მაიკლს პირველი წუთიდან არ გამოვიყვანდი. მას სამი წელია, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. მადრიდის "რეალში" დროის ნახევარზე მეტი გაუცდა, "ნიუკასლში" ორი წლის განმავლობაში უმძიმესი ტრავმები სტანჯავდა. ამ სეზონში ის პირველად "ასტონ ვილასთან" გამოჩნდა. მაიკლს ბურთი იშვიათად მისდიოდა. "მიდლსბროსთან" შეხვედრაში საგოლე მომენტი თვითონვე შექმნა და კინაღამ გაიტანა. "ვიგანთან" ბოლო ტურში შეაგდო კიდეც. ამ თამაშებს შორის იყო ამხანაგური მატჩი გერმანიასთან, სადაც ოუენს ორი მომენტი ჰქონდა, მაგრამ საერთო ჯამში მისთვის დამახასიათებელი აქტივობითა და გონივრული სვლებით არ გამოირჩეოდა.

ეს, როგორც აღვნიშნე, მაიკლის ბრალი კი არა, მისი პრობლემაა. ფორმის აღსადგენად მინიმუმ ექვსი სრული მატჩია საჭირო. მაკლარენის საუბედუროდ, ისრაელთან მატჩამდე "ნიუკასლმა" მხოლოდ სამი თამაში ჩაატარა. ამიტომ მწვრთნელმა რთული არჩევანი უნდა გააკეთოს: ენდოს თავდამსხმელს, რომელსაც იცნობს, მაგრამ იცის, რომ ფორმაში არ არის, თუ **ენდრიუ ჯონსონი** და **დარენ ბენტი** დააყენოს. ეს ფეხბურთელები ოუენს ოსტატობით იქნებ ვერც შეედარონ, მაგრამ პრემიერლიგაში თითო-ოროლა გოლის გატანა მაინც მოასწრეს. პირადად მე, მეორე ვარიანტს ავირჩევდი. ყოველ შემთხვევაში, ჯონსონი და ბენტი რომ ინგლისის მეტოქის ფეხბურთელები ყოფილიყვნენ, მშვიდად ვერ ვიქნებოდით. დარწმუნებული ვარ, მათი თამაშის შემთხვევაში მოწინააღმდეგესაც ანალოგიური გრძნობა შეიპყრობს.

ოუენს მთელ მსოფლიოში შეუბღალავი ავტორიტეტი აქვს. ის ერთ-ერთი იმთგანია, ვისი განაცხადს მიღმა დატოვება ძნელია. მაიკლის დარ ფეხბურთელს არაფრიდან შეუძლიათ გოლების შექმნა, მაგრამ დღეს, მაკლარენის ადგილზე, მას სათადარიგოდ შემოვინახავდი. ეჭვი არ მეპარება, რომ სეზონის გახურებასთან ერთად, ისიც ოპტიმალურ კონდიციებს აკრეფს. ეშტონზეც ამასვე ვიტყოდი. ის მრავალმხრივი თავდამსხმელია. სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გაუცდა.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ გერმანიასთან მატჩში თითქმის ყველაფერი მომეწონა შედეგის გარდა. საპატიო სტუმრების ლოჟა სავსე იყო სახელგანთქმული ადამიანებით. მათ შორის იყვნენ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **გორდონ ბრაუნი**, გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** და ჩემი ძველი მეგობარი და მეტოქე **ფრანც ბეკენბაუერი**. ვფიქრობ, იმ თამაშში მაკლარენმაც ბევრი პოზიტიური რამ დაინახა. ეს იყო მხოლოდ, რომ თავდასხმაში ოუენისა და **ალან სმიტის** დუეტს პოზიტიურთა ნუსხას ვერ მივაკუთვნებდი. მათ მიერ გაწეული სამუშაო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ გერმანელი მცველები მუდმივ დაძაბულობაში გვყოლოდა.

პოზიტიური შთაბეჭდილებებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო რიჩარდსის თამაში. ეს ბიჭი ინგლისური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავია. დაცვის მარჯვენა ფლანგზე ის შეუდარებელია, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ ამ პოზიციაზე **გარი ნევილის** ხილვა მირჩევნია, რა თქმა უნდა, როცა ის გამოჯანმრთელდება. "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ბურთით უკეთ თამაშობს. რიჩარდსს დაცვის ცენტრში გადავწევდი და როცა ის ცენტრალური მცველის პოზიციაზეც ყველას დაჩრდილავს, **ბობი მურის** შემდეგ ინგლისის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მცველად აღიარება გარანტირებული აქვს.

ხანგრძლივი საფეხბურთო ცხოვრების განმავლობაში არა ერთი დიდი მცველის გვერდით მითამაშია და მიმუშავია. მათ შორის, ყველაზე გამორჩეული **ტერი ბუჩერი** იყო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ტერის მონდომებამ გაგვიყვანა. რიჩარდსი ბუჩს სისწრაფეში ოდნავ, მაგრამ მაინც სჯობნის. მეორე სართულზე თამაშისას კი ბადალი არ ჰყავს. ვერ ამიხსნია, როგორ ახერხებს ეს ბიჭი ასე მაღლა ახტომას და ჰაერში ამდენ ხანს გაჩერებას. საერთოდ, სამი ცენტრალური მცველით - რიჩარდსით, **ტერითა** და **ფერდინანდით** თამაში კარგი იდეაა, მაგრამ სანამ გარი ნევილს ტრავმა აქვს, რიჩარდსი, ეტყობა, მარჯვნივ გვეყოლება, ამ ორ თამაშში მაინც.

გერმანიის შემდეგ ჩვენი გუნდი სასტიკად გააკრიტიკეს, მაგრამ თუ კარგად გავიხსენებთ, **პოლ რობინსონის** შეცდომამდე, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შანსი არ ჰქონია. მომეწონა მოწინააღმდეგის კარზე დაგეშილი **ფრენკ ლემპარდი**, რომელიც სამწუხაროდ, ვერ დაგვეხმარება. **მაიკლ ქერიკმა** კი ისევ იმედი გამიცრუა. ის საერთოდ არ ცდილობდა შეტევაში ჩართვას. შეიძლება, ასეთი იყო ტაქტიკური ჩანაფიქრი, მაგრამ ყოველთვის ისეთ ტაქტიკას ვემხრობი, სადაც საყრდენი ნახევარმცველები დაცვასა და თავდასხმაში ერთმანეთს ენაცვლებიან. სულაც არ მომწონს დღეს ასე პოპულარული რომბისებური განლაგება, სადაც საყრდენი ნახევარმცველისა და ფლეიმეიქერის ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია.

ჩემი აზრით, მეტოქის მცველები უფრო მეტად ნერვიულობენ, როცა არ იციან, რომელიც საყრდენი წაიწევს წინ. ქერიკიც ძალიან მომწონს და **ოუენ ჰარგრივსიც**, მაგრამ ისინი თავდასხმაში არ არიან ისეთი ეფექტურნი, როგორიც ლემპარდი ან **სტივ ჯერარდი**. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლემპარდისა და ჯერარდის დუეტს თავისი საუკეთესო მატჩი ჯერაც არ ჩაუტარებია.

დევიდ ბექჰემის სანაკრებო კარიერა დასრულებულად მიმაჩნია, მაგრამ გერმანიასთან მატჩში მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რამდენიმე პასმა და საჯარიმო დარტყმამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის ექსკლუზიურობას, ამიტომ მომავალ შეხვედრებში ბექჰემიც ძალიან დაგვაკლდება. მინდა გავიხსენო შეცვლაზე შესული **შონ რაიტ ფილიპსის** თავდაჯერებული თამაშიც.

გერმანიასთან მატჩის შემდეგ ყველაზე ბევრი რობინსონზე დაიწერა. ფაქტია, რომ მისმა შეცდომამ თამაშის ბედი გადაწყვიტა. მაგრამ მეკარეების ხვედრი ისეთია, რომ დღეს, შეიძლება, განტევების ვაცი იყო, რამდენიმე კვირის შემდეგ კი - მსოფლიოს მბრძანებელი. მაკლარენს გოლკიპერის საკითხის გადაწყვეტაც მართებს. ვფიქრობ, ისრაელთან იმან უნდა ითამაშოს, რომელიც იმ მომენტში უკეთეს ფორმაში იქნება.

უნდა მოგახსენოთ, რომ გერმანიასთან ნამატჩევს პირველად მომეცა ჩვენს ახალ პრემიერთან შეხვედრის საშუალება. საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. მომეჩვენა, რომ მისტერ ბრაუნი გულწრფელი იყო, როცა შოტლანდიური წარმომავლობის მიუხედავად, ინგლისის ნაკრების ხსენებისას თქვა "ჩვენ". ამიტომ არ გამიკვირდება, თუ მას კვლავ "უემბლიზე" ვიხილავ.

ოუენიც იქ იქნება, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, სად - ძირითად შემადგენლობაში თუ სათადარიგოთა სკამზე. მადლობა ღმერთს, სტივ, რომ ეს ჯოჯოხეთური არჩევანი შენ უნდა გააკეთო და არა მე.

ბობი რობსონი
დეილი მეილი

მაიკლ ოუენი, ინგლისელთა უმთავრესი იმედია

სტივ ჯერარდი

ინგლისი

ჯერარდმა ივარჯიშა

ჰოდლი მაკლარენს ლივერპულელი კაპიტნის შენახვას ურჩევს

სტივ ჯერარდმა ინგლისელთა შეკრებაზე პირველად ივარჯიშა. ლივერპულელი ნახევარმცველი მზადაა, შაბათს ისრაელის წინააღმდეგ ითამაშოს. ინგლისის ნაკრების თავკაცი **სტივ მაკლარენი** ამბობს, რომ ფეხბურთელი ექიმების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. გადაწყვეტილებას მისი შემადგენლობაში დაყენების შესახებ, თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღებენ. მაკლარენი არ გამორიცხავს, დაშავებულ ნახევარმცველს ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გაუკეთონ. "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

მაკლარენს ნახევარდაცვაში პრობლემები აქვს. ისრაელთან და სავარაუდოდ, რუსეთთანაც ვერ ითამაშებს **ფრენკ ლემპარდი**. დაშავებული **დევიდ ბექჰემი** შეკრებაზე არ ჩასულა. ისრაელთან შაბათის შეხვედრაში **ოუენ ჰარგრივსის** ასპარეზობაც გამორიცხა. საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ თუ ჯერარდი ფეხზე დგომას შეძლებს, მინდორზეც აუცილებლად გავა.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **გლენ ჰოდლი** მიიჩნევს, რომ ინგლისმა ისრაელი შინ ჯერარდის გარეშეც უნდა დაამარცხოს. ჰოდლის აზრით, რუსეთი გაცილებით ძლიერი მეტოქეა. ამიტომ მაკლარენმა "ლივერპულის" კაპიტანი რუსეთისთვის უნდა შემოინახოს. ისრაელთან თამაშის შემთხვევაში, ჯერარდმა ტრავმა შეიძლება გაირთულოს და ოთხშაბათის მატჩი გაუცდეს.

ინტერვიუ ფრანჩესკო ტოტისთან

ახალი ბომბარდირი? ვშიშობ, რომ შეიძლება ეს ჭრელზეც იყოს...

ტოტი ახლა ოქროს ბუცის ვნებებს

"რომა"-"სიენას" მატჩის წინ ფრანჩესკო ტოტის "ოქროს ბუცი" გადაეცა. გასულ ჩემპიონატში "პუპონემ" 26 გოლი გაიტანა და ევრობომბარდირებს შორის პირველობა არავის დაუთმო. ასე გარდაიქმნა ფლეიმეიქერი შედეგიან ფორვარდად. ამ სეზონის ორ ტურში ტოტის ერთი გოლი აქვს გატანილი. მაგრამ მას ახლა სხვა მიზანი აქვს. თუ რა, ამაზე ქვემოთ, ინტერვიუში, რომელიც ფრანჩესკოს ტელეკომპანია "სქაის" ჟურნალისტმა ჩამოართვა...

- ოდესმე წარმოიდგენდი, რომ კვალიფიციური გამთამაშებლიდან თავდამსხმელად გადაიქცეოდი?

- არა, არასდეს. ადრე მხოლოდ იმაზე ვზრუნავდი, რომ თანაგუნდელებისთვის პასები მიმეცა, მაგრამ მერე იძულებითი გადაადგილება მოგვიხდა. ცენტრფორვარდის პოზიციაზე სერიოზული პრობლემები იყო და მწვრთნელმა ამ როლის შესრულება მე დამავალა. მას შემდეგ უკვე საკუთარი გოლებით ვტკბები.

- ნამდვილ "ათიანებს" "ოქროს ბუცი" არასოდეს მოუგიათ. იტალიაში კი მეორე პლანის ფორვარდები მხოლოდ იმ წლებში გამოირჩეოდნენ, როცა გოლები მარადონასა და პლატინის გაჰქონდათ. რაღაც ანალოგიების გაკეთება ხომ არ მოგვიწევს?

- ანალოგია შეიძლება ბევრი იყოს. ფაქტი კი ისაა, რომ თავად ფეხბურთი შეიცვალა, თანაც ძალიან. თამაშიც გართულდა... დღევანდელ ცენტრფორვარდს გაცილებით მეტი ფიზიკური ძალა სჭირდება, ვიდრე ძველად იყო აუცილებელი.

- შენი აზრით, ვინ მოიგებს ამ სეზონში "ოქროს ბუცს"?

- მეშინია, რომ ეს შეიძლება ტრეზეგე იყოს, ან ტონი, რომელსაც "ბაიერნში" ბევრი გოლის გატანა შეუძლია. ისე, მეც სულაც არ ვაპირებ ამ ჯილდოს იოლად დათმობას.

- ხომ არ ფიქრობ, რომ "ოქროს ბუცმა" უფრო მაღალი ჯილდოსკენ შეიძლება გაგიხსნას გზა. "ოქროს ბურთი" ძალიან დიდი საქმე იქნება. როგორ ფიქრობ, ვინ იქნებიან შენი კონკურენტები?

- ალბათ, კაკა, კრისტიანო რონალდო, ვან ნისტელროი... მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა კრიტერიუმებით ადგენენ გამარჯვებულს. ახლა მე მაქვს ერთი ისეთი ტროფეი, რასაც ლაურეატის დასახელების წინ აუცილებლად გაითვალისწინებენ. შეიძლება, ეს ჩემი უპირატესობაცაა. ხოლო თუ "რომასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით გამოვალ, მაშინ სერიოზული შანსი მექნება...

- "რომამ" კარგად დაიწყო ჩემპიონატი. ორიდან ორი მოგება ბრწყინვალე სტარტია ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. შეიძლება სკუდეტოზე ფიქრი?

- სისულელე იქნება, რომ დავმალო: დიახ, ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გარდა კიდევ სამ გუნდს აქვს ამის პრეტენზია. ამ მომენტისთვის შესანიშნავი გუნდი გვყავს, მაგრამ ძალიან არ მინდა, რომ ქალაქში დღეიდანვე აჟიოტაჟი ატყდეს. კარგად ვიცი, ერთ საათში ეიფორიიდან შეიძლება დეპრესიაში აღმოჩნდე.

- რობერტო მანჩინიმ არაორაზროვნად შენიშნა, "რომა" კარგი გუნდია, მაგრამ გასულ სეზონში 22 ქულით გავუსწარითო...

- სტატისტიკას ვერ შეედავები, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მის განკარგულებაში 40 ფეხბურთელი იყო. ჩვენ კი მთელი სეზონი ლამის ერთი შემადგენლობით ჩავატარეთ.

- "ლაციოს" გარდა, კიდევ რომელი გუნდის დამარცხება მოგიტანდა განსაკუთრებულ სიამოვნებას?

- რა თქმა უნდა, "იუვენტუსის". ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში ყველასთვის განსაკუთრებული მოვლენაა, თან სკუტოსთვის ისინიც იბრძვიან.

- ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე არ გიფიქრია?

- ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ ნახეთ რა კონკურენტები გვყავს: "რეალი", "ჩელსი", "ლივერპული", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ბარსელონა"... სხვათა შორის, "ბარსას" თავისუფლად შეუძლია, მოედანზე თავისი ბრწყინვალე ოთხეული დააყენოს... მე მგონი, გაგეცით პასუხი...

- "მანჩესტერ იუნაიტედთან" შარშანდელი მარცხის გამო, რევანშის გრძნობა არ გამოძრავებს?

- ახლა ჩვენ 7:0 უნდა მოვიგოთ...

- ნაკრებზეც ვისაუბროთ. იტალია-საფრანგეთი ახლოვდება. ვინ მოიგებს?

- 1:0 "სკუადრა აძურის" სასარგებლოდ. გოლის ავტორსაც გეტყვით - ერთ-ერთი რომაელი, დე როსი ან პეროტა. მერე კი იტალია უპრობლემოდ მოიპოვებს 2008-ის საგზურს.

- უკვე ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა ნაკრებიდან შენს წასვლაზე. ისევ მარჩელო ლიპი რომ ყოფილიყო, დარჩებოდი?

- სწორად გამიგეთ, ძალიან გული დამწყდა ნაკრებიდან წასვლის გამო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. ლიპიც რომ ყოფილიყო, მაინც წავიდოდი, მწვრთნელს რა მნიშვნელობა აქვს.

ფრანჩესკო ტოტი ოქროს ბუცით და ვაჟთან ერთად

- "რომას" სატრანსფერო პოლიტიკას ექსპერტთა მხრიდან მაღალი შეფასება ეძლევა. ეს იმიტომ, რომ ლუჩანო მოჯი აღარ არის ფეხბურთში? ის ხომ ყოველთვის კვანტებს გიდებდათ...

- ერთი შეხედვით, ასეც შეიძლება მოგეჩვენოს კაცს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს უბრალო დამთხვევაა.

- მანჩინი, ანჩელოტი, რანიერი. რომელი სჯობია?

- ანჩელოტი.

- მოჯი თუ კარარო?

- არც ერთი.

- ნედვედი თუ დი კანიო?

- ჰმ... გამიჭირდება პასუხის გაცემა... ალბათ, არც ერთი.

- სპალეტი თუ ზემანი?

- ოო, ეს კი ძნელი ასარჩევია... ორივე კარგია.

- მატერაცი თუ კანავარო?

- მატერაცი.

- ფეხბურთს "რაიზე" უყურებ თუ "მედიასეტზე"?

- "სქაის" ვამჯობინებ.

- მზად ხარ ავტობიოგრაფიის დასაწერად?

- მზად ვიქნები მაშინ, როცა ფეხბურთს შევეშვები...



ადრიანო გალიანი

ახალი სკანდალები

იტალია დიდი გაფიცვის მოლოდინში

სერია B იმუქრება, სერია A აპროტესტებს...

იტალიის საფეხბურთო ლიგის სხდომა სკანდალით დასრულდა. სერია B-ს კლუბები გაფიცვით დაიმუქრნენ, გრანდების წარმომადგენლებმა კი დემარში მოაწყვეს, რაკი ლეგაკალჩომ მათ საბჭოში ადგილი არ მისცა...

საცარი ხალხია ეს იტალიელები. ერთი დღე წყნარად ცხოვრება არ შეუძლიათ. მოკალი და, კანონმორჩილებას ნუ მოსთხოვ (ამაში კი მაგრად ვგავართ იტალიელებს). ეს მათ ნატურას ეწინააღმდეგება. და შედეგად რა? სკანდალები, სკანდალები და ისევ სკანდალები... მაგალითად, დღემდე ვერ მოწესრიგდა პრობლემა, რომელიც სერია B-ს მატჩების ტელეტრანსლაციებს ეხება. არადა, ჩემპიონატის დაწყებიდან კი უკვე ორი ტურია გასული. რანგით მეორე იტალიური ლიგის კლუბებს სასაცილოდ არ ეყოთ ის თანხა, რაც მათ "სქაი იტალიამ" შესთავაზა. ტელეკომპანიას იმედი ჰქონდა, რომ "ლაივრეპორტაჟების" უფლებას 10.5 მილიონ ევროდ შეიძენდა. ისე, ეს პატარა კლუბები ნამეტანი გათამამდნენ. შარშან, როცა სერია B-ში "იუვენტუსიც" იყო, ჰონორარებიც სოლიდური გახლდათ. დღეს "იუვე" თავის ადგილზეა, მაგრამ კლუბები ძველი თანხის გაზრდას ითხოვენ. "სქაი იტალიის" მესვეურები, ცხადია, ამაში ლოგიკას ვერ ხედავენ. შესაბამისად, აშკარაა იმის საშიშროება, რომ სერია B-ს კლუბები მუქარას სისრულეში მოიყვანენ და გაიფიცებიან.

საკუთარი ძალის დემონსტრირებისთვის მათ უკვე გადადგეს საპასუხო ნაბიჯი და მომავალ ტურში, სერია B-ს ყველა მატჩი, ნაცვლად შაბათისა, გაიმართება კვირას, და დაიწყება იქაური დროით 15 საათზე. ანუ, რა გამოდის? დაემთხვევა სერია A-ს მორიგ ტურს. ასე რომ, ქვედა დივიზიონი უარს ამბობს იმ პრაქტიკაზე, როცა იქ ტური ელიტლიგისგან ცალკე, შაბათს ტარდებოდა, ხოლო ზოგიერთი ცენტრალური მატჩი პარასკევსა და ორშაბათს პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. იტალიური ლიგის პრეზიდენტმა **ანტონიო მატარეზემ** ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა:

"კლუბების პრეზიდენტებს მეტი თავშეკავებისკენ მოვუწოდებ. სიტუაცია მრავალმხრივად უნდა შევაფასოთ და ავწონ-დავწოროთ. დღეს ბევრს მიაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი სერია B-ს ჩემპიონატის შეჩერება იქნებოდა. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის გამოსავალი. მომავალ კვირას კლუბები მოედანზე გავლენ, მაგრამ მერე შევეცდებით, როგორმე, საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდეთ".

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პრობლემა არ იყო ერთადერთი, რამაც სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა და ვნებათაღელვა გამოიწვია. სკანდალით დასრულდა არჩევნები, რომელსაც ლიგის საბჭოს მეექვსე წევრი უნდა გამოევლინა. ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებდნენ "პარმის" პრეზიდენტი **სტეფანო გირარდი** და "იუვენტუსის" ბოსი **ჯოვანი კობოლი ჯილი**. მიმომხილველები გამარჯვებას უკანასკნელს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გირარდიმ ოპონენტზე მეტი ხმა მოაგროვა. ის შეუერთდა საბჭოს, რომელშიც მანამდე არჩეულები იყვნენ **ურბანო კაირო** ("ტორინოს" პრეზიდენტი), **კლაუდიო ლოტიტო** ("ლაციო"), **ჯამპაოლო პოცო** ("უდინეზე"), **ალდო სპინელი** ("ლივორნო") და **ივან რუჯერი** ("ატალანტა"). არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო კლუბების - "მილანის", "ინტერის", "იუვენტუსის", "რომასა" და "ნაპოლის" წარმომადგენლებმა სხდომა დემონსტრაციულად მიატოვეს. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** აღშფოთებას ვერ მალავდა:

"ჩვენ ვთვლით, რომ ამჟამინდელი საბჭო სერია A-ს ყველა კლუბის ინტერესებს არ გამოხატავს. 15 გუნდს გულშემატკივართა საერთო რაოდენობის მხოლოდ 16 პროცენტი ქომაგობს, დანარჩენ ხუთს კი 84. ამას გარდა, ხუთი კლუბის ხმის გარეშე დარჩა. გამოდის, როშ საბჭოში წარმომადგენელი არ გვყავს. როზელა სენსი ("რომას" გენერალური დირექტორი) ამ საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი კია, მაგრამ მას ხმის უფლება არ აქვს. ასევე არ გვაქვს ხმის უფლება მე და მასიმო მორატის, როგორც ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს. ასე არ შეიძლება, ეს არ არის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა".

გალიანიმ პირობა დადო, რომ გრანდები გულხელდაკრეფილები არ იქნებიან. მათ უკვე დაიწყებს კონსულტაციები, რათა ახლო მომავლისთვის ერთობლივი ტაქტიკა შეიმუშაონ და ფრონტის ხაზი სასამართლოში გადაიტანონ. გალიანის შეშფოთება "ინტერის" წარმომადგენელმა **ერნესტო პაოლილომაც** გაიზიარა: *"პატარა კლუბები ჩვენი ფეხბურთის საფუძვლებს ანგრევენ. მართლაც გასაოცარი სიტუაცია შეიქმნა - კლუბები, რომლებიც კალჩოში ინვესტიციებს აბანდებენ, ხმის უფლების გარეშე დარჩნენ".*

მოწინააღმდეგე ბანაკის ერთ-ერთი წევრი, "ატალანტის" პრეზიდენტი **ივან რუჯერი** გაკვირვებული მხრებს იჩეჩავდა: *"დიახ, ლიგის საბჭოში გრანდების წარმომადგენლები ვერ მოხვდნენ, სამაგიეროდ, მათ ფეხბურთის ფედერაციის საბჭოში ჰყავთ ორი წარმომადგენელი. მათ შეუძლიათ, გააკეთონ ყველაფერი, რაც უნდათ, მაგრამ როგორ შეიძლება არჩევნებში დამარცხების გამო ასეთი მოქცევა".*

მოკლედ, საინტერესო ამბებია და გაგრძელებაც უთუოდ იქნება. მაშ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხოაკინთან

არაფერია უფრო საამაყო, ვიდრე ნაკრების მაისურის მორგება

ვალენსიის ნახევარმცველი დარწმუნებულია, რომ სელექსიონი მომდევნო ორ თამაშს მოიგებს და მომდევნო ეტაპზე გავა

ესპანეთის ნაკრები ისლანდიისა და ლატვიის ეროვნულ გუნდებთან სასიცოცხლო მატჩებისთვის ემზადება. შაბათს "სელექსიონი" რეიკიავიკში ითამაშებს. ოთხშაბათს კი ოვიედოში ბალტიისპირელებს უმასპინძლებს. ლუის არაგონესმა რამდენიმე დღის წინათ ნაკრების 20-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა. ასაკოვანმა სპეციალისტმა სხვებთან ერთად ხოაკინიც გამოიძახა. "ვალენსიის" გარემარბისთვის ეს კიდევ ერთი შანსია, რომ მან შესაძლებლობები ბოლომდე გამოამჟღავნოს და ქვეყნის უმთავრეს გუნდში დიდი ხნით მოიკიდოს ფეხი. ხოაკინმა გამოწვევა, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ მიიღო. ესპანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სანჩესი დიდი მონდომებით ემზადება. ის მთავარი მწვრთნელის ყველა მითითებას ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს. მომდევნო ორ შეხვედრას ფეხბურთელი ძალიან ოპტიმისტურად ხვდება. ის 100 პროცენტითაა დარწმუნებული, რომ გუნდი ექვს ქულას მოიპოვებს, თუმცა, ამავდროულად, აღნიშნავს, ისლანდიელებთან სერიოზული ბრძოლის გამართვა მოგვიწევსო. პირნეელებმა წინასწარ იციან, რომ ჩრდილოელი მოწინააღმდეგე მათ იოლად არაფერს დაუთმობს. "სელექსიონს" კი ერთი ქულის დაკარგვის უფლებაც არ აქვს. მოგეხსენებათ, შესარჩევი ეტაპის დასაწყისში არაგონესის ბიჭებმა უმნიშვნელოვანესი ქულები გაფლანგეს...

- ლუის არაგონესი ხშირად საუბრობს ფეხბურთელების მენტალიტეტზე. ხომ არ დაგვიკონკრეტებთ, რა სურს მთავარ მწვრთნელს?

- ის გვიხსნის, რომ მუნდიალზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ რეაბილიტაციისთვის შესანიშნავი შანსი გვაქვს. მართლაც, ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ყველა პირობა გაგვაჩნია იმისთვის, რათა დავამტკიცოთ, რომ დიდი ფეხბურთელებისგან შემდგარი ნაკრები გვყავს. აი, სწორედ ეს არის, რაც არაგონესს სურს. მწვრთნელის თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენ ერთადერთები ვართ, ვისაც ევალება, გუნდის რეალური შესაძლებლობები წარმოაჩინოს.

- ნაკრების ყოველი ფეხბურთელი ერთხმად აღნიშნავს, რომ ისლანდიასთან ურთულესი დაპირისპირება გველის. რაშია საქმე, მოწინააღმდეგის ხომ არ გეშინიათ?

- არა, შიში არაფერ შუაშია. უბრალოდ, რეალობას აღვნიშნავთ. ვიცით, რომ ისლანდიას მაღალი დონის ნაკრები ჰყავს. ბურთთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ისე კარგად არ ეხერხებათ, როგორც ჩვენ, მაგრამ სამაგიეროდ, ისლანდიელები ფიზიკურად ფანტასტიკურად არიან მომზადებულები. ეს გუნდი სწორ ფეხბურთს თამაშობს, ანუ ისლანდიელები თავისუფალ სივრცეებს არ ტოვებენ. მერწმუნეთ, უკიდურესად რთულია იმ გუნდის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც თითქმის მთელ დროს დაცვაში 10 კაცით ატარებენ. 90 წუთი ისე ჩაივლის, ფაქტობრივად, არ იღლებიან. ერთი სიტყვით, მართლაც უხერხული ნაკრები გველის. თუნდაც ჩვენი პირველი შეხვედრა გაიხსენეთ. სამი ქულის მოპოვება მეტის-მეტად გაგვიჭირდა.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებს ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გასვლას?

- ეს ჩვენი მთავარი და ერთადერთი ამოცანაა. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს. გუნდი იმისთვისაა შეკრებილი და იმისთვის მუშაობს, რომ ყოველგვარი უსიამოვნო სიურპრიზი გამოირიცხოს. ჩემი აზრით, ყველაფერი მომდევნო ორ პაექრობაზეა დამოკიდებული. დარწმუნებული გახლავართ, ორივეს მოვიგებთ და ევრო-2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გავალთ. შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ ჯერაც რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ ესპანეთის ნაკრებისთვის შეუძლებელი არაფერია.

- ანდრეს ინიესტამ მოგვახსენა, რომ ლუის არაგონესს მისი რწმენა დაუბრუნდა. საინტერესოა, თქვენ რამდენად გენდობათ მთავარი მწვრთნელი?

- ვგრძნობ, რომ როცა კარგ ფორმაში ვარ, არაგონესი ყოველთვის მენდობა. თავად ფაქტები მეტყველებს ამ გარემოებაზე. მოგეხსენებათ, გარკვეული მიზეზების გამო, დიდი ხნის განმავლობაში ფორმაში არ ვიყავი. მიუხედავად ამისა, მთავარმა მწვრთნელმა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი უკვე მეორედ მომცა. თავს არ დავზოგავ. ვფიქრობ, ეროვნულ გუნდში ფეხის მოკიდება არ უნდა გამოჭირდეს. თუ მაშინ მიხმეს, როცა ვერაფერს ვაკეთებდი, ახლა რაღა შემიშლის ხელს? მიმაჩნია, რომ შესანიშნავ ფორმაში ვარ. ლუისის მიმართ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. არაფერია უფრო საამაყო, ვიდრე ეროვნული გუნდის მაისურის მორგება. ჩემთვის ყველაფერი გააკეთეს. დროა, სიკეთეს სიკეთითვე ვუპასუხო. ფეხბურთელის სიკეთე კი სხვა არაფერია, თუ არა კარგი თამაში.

- როგორ გგონიათ, არაგონესის მიერ გამოთქმული რწმენა ძირითადი შემადგენლობის კარს გაგიღებთ?

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ნაკრების ბოლო შეხვედრაში ძირითადში ვიყავი. ეს გარემოება ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. დაზუსტებით, რა თქმა უნდა, ვერაფერს გეტყვით. საამისო ინფორმაციას მხოლოდ არაგონესი ფლობს. სავარაუდოდ, პარასკევს, საღამოს გვეტყვის, რომელი ფეხბურთელები ითამაშებენ. ღმერთმა ქნას, 11 კაცში ერთერთი მე ვიყო (იცინის).

- გასული სეზონისგან განსხვავებით, წლეულს ჩემპიონატი შესანიშნავად დაიწყეთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ კარიერის პიკზე იმყოფებით?

- გეთანხმებით, ახლა გაცილებით კარგად ვთამაშობ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას ვაპირებ. მომავალში კიდევ უფრო სასარგებლო როლი უნდა შევასრულო. საამისო რესურსი ნამდვილად მაქვს. მთავარია, ტრავმებმა ხელი არ შემიშალოს და მშვიდად მუშაობის საშუალება მომეცეს.

- ანტონიო პუერტას ხსოვნისადმი მიძღვნილ რაიმე ღონისძიებას ხომ არ აპირებთ?

- რაიმე ლამაზსა და დასამახსოვრებელს აუცილებლად გავაკეთებთ.

- "ვალენსიაზე" რას გვეტყვით? თქვენმა გუნდმა სეზონი მძიმედ დაიწყო.

- გასული სეზონის ბოლოს ძალიან რთული მატჩები გვქონდა. მორალურად და ფიზიკურად სასტიკად გადავიღალეთ. თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ამჯერად ყველაფერს უფრო იოლად უნდა მივაღწიოთ. არ ვამბობ, რომ ჩემპიონები იოლად გავხდებით. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ახლა უფრო გამოცდილები ვართ და ფეხბურთელებიც ჯანმრთელები არიან. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. სამწუხაროდ, სეზონის პირველ შეხვედრაში სამარცხვინოდ წავაგეთ, მაგრამ ამის გამო დეპრესიამ არ უნდა მოგვიცვას. სასიხარულოა, რომ მეორე ტურში "ვალენსიამ" სტუმრად გაიმარჯვა. ჩვენ სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას ვაპირებთ.

- ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს ჯანსაღი ურთიერთობის პრობლემა ხომ არ აქვთ?

- ვცდილობთ, ფლორესს პრობლემები არ შევუქმნათ (იცინის). პრობლემები არ შეგვექმნება. ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის. ასე რომ, ჩვენს გულშემატკივრებს სანერვიულო არაფერი აქვთ.

- ზოგს ჰგონია, რომ გუნდიდან ამადეო კარბონის გაშვების შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა და ახლა სრულ სიმშვიდეში მუშაობთ.

- გეთანხმებით, ჩვენს გარშემო სრული სიმშვიდეა გამეფებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კარბონის მუშაობის დროს ვალენსიელები ერთმანეთს ვჭამდით. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდზე ძალიან ბევრს საუბრობენ. ჟურნალისტებმა ნაკლებად რომ შეგვაწუხონ, გაცილებით უკეთ ვიგრძნობთ თავს. თქვენ ნუ გეწყინებათ ის, რაც ვთქვი (იცინის).

- მადრიდის "რეალის" პრემერა დივიზიონურ სტარტზე რას გვეტყვით? მოხიბლული დარჩით?

- მადრიდის "რეალი" ყოველთვის მადრიდის "რეალია"! ჩემი აზრით, ამით ყველაფერია ნათქვამი. რა თქმა უნდა, მომეწონა მათი თამაში. ბერნდ შუსტერის ბიჭებს დიდი შანსი აქვთ იმისთვის, რომ ტიტული შეინარჩუნონ. ბუნებრივია, ყველაფერს ვიღონებთ, რათა ხელი შევუშალოთ და ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩეს.

- ვესლი სნაიდერს კარგად იცნობდით?

- საკმაოდ. "აიაქსში" მისი თამაში არაერთხელ მქონდა ნანახი. უძლიერესი მოთამაშეა. მას ნებისმიერი მცველის მოტყუება შეუძლია. სამეფო კლუბს ამ ბიჭის იმედი უნდა ჰქონდეს.

- სხვათა შორის, სნაიდერის ხელში ჩაგდება "ვალენსიასაც" სურდა...

- სამწუხაროა, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელი სხვას დარჩა. რა გაეწყობა, წარსულს ვერ შეცვლით. სნაიდერი "რეალის" მოთამაშე გახდა და ის სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ.

- რამდენიმე სიტყვით "ბარსელონაზეც" ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, კატალონიელები შარშანდელ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ?

- ვნახოთ. "ბარსას" გამაოგნებელი შემადგენლობა ჰყავს. თუ მწვრთნელი მათ შესაძლებლობებს სწორად გამოიყენებს, ძალიან სახიფათონი იქნებიან.

ილია ნიკოლაიშვილი



ხოაკინ სანჩესი

რონალდინიო და ეტოო

ბარსელონა

რონალდინიოს ეტოოს უპირისპირებენ

წამოეგება თუ არა, კამერუნელი ფორვარდი პრესის პროვოკაციას?

ესპანელი ჟურნალისტების გამო, შესაძლოა, **რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს** ურთიერთობა კიდევ ერთხელ გაუფუჭდეთ. გემახსოვრებათ, გასული სეზონის მიწურულს კამერუნელმა ფორვარდმა საკუთარი თანაგუნდელის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბოლოს საქმეში კატალონიური გიგანტის ხელმძღვანელები ჩაერივნენ და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები შეარიგეს. ყველას გვახსოვს ის კადრები, როცა სამუ და გაუჩო ერთმანეთს გადაეხვივნენ. როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ესპანელი ჟურნალისტების გამო შესაძლოა, რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს შორის შავმა კატამ ხელახლა გაირბინოს. საქმე ის არის, რომ ინგლისურ ჟურნალ Four Four Two-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა მისთვის ყველაზე ძლიერ ფეხბურთელთა ხუთეული ჩამოთვალა. გაუჩოს გემოვნებით, პლანეტის საუკეთესო მოთამაშეთა ხუთეული ასე გამოიყურება: **კაკა, კრისტიანო რონალდო, ტიერი ანრი, დეკუ და ლიონელ მესი.**

პირნეელი ჟურნალისტები საგანგებოდ, დიდი შრიფტით ნერენ, რომ რონალდინიოს ხუთეულში სამუელ ეტოოსთვის ადგილი არ მოინახა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით თავად კამერუნელს, ჯერჯერობით, ხმაც არ დაუძრავს, ჩვენი კოლეგები უკვე დარწმუნებით ამბობენ, რომ აფრიკელსა და სამხრეთამერიკელს ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. მათი თქმით, ეტოო თანაგუნდელს ამას არ აპატიებს და დიდ სკანდალს მოაწყობს. კატალონიური გიგანტის ხელმძღვანელთა აზრით, ეს აჟიოტაჟი ერთადერთ მიზანს ემსახურება. ისინი ფიქრობენ, რომ "რეალზე" შეყვარებული მასმედიელები "ბარსელონაში" წყლის ამღვრევას ცდილობენ. კაცმა რომ თქვას, ეს მოსაზრება საღ აზრს აშკარად არ არის მოკლებული. აბა, ვისი რა საქმეა, რონალდინიო უპირატესობას რომელ მოთამაშეს მიანიჭებს. ჟურნალისტური ეთიკა ხომ ფაქტების მიუკერძოებლად აღნიშვნას მოითხოვს. მართალია, ვარაუდების გამოთქმას ვერავის აუკრძალავ, მაგრამ ვარაუდიცაა და ვარაუდიც. როცა პირდაპირ ამბობ, რონალდინიოსა და ეტოოს ერთმანეთში ჩხუბი არ ასცდებათო, რა თქმა უნდა, აშკარა მიკერძოებასთან გვაქვს საქმე. მით უმეტეს, მართლაც ფაქტია, რომ მადრიდული გაზეთები სამეფო კლუბს დაუფარავად სიმპათიზირებენ.

ვალენსია

ვისენტეს მკაცრად დასჯიან

როგორც გუშინ გაუწყეთ, ვისენტეს "ვალენსიის" ექიმებთან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. "ღამურების" ახალგაზრდა ნახევარმცველი მთავარ ექიმს არაპროფესიონალიზმსა და უმეცრებაში ადანაშაულებს. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საქმეში კლუბის ხელმძღვანელობა ჩაერია. როგორც მოსალოდნელი იყო, დირექტორატმა სამედიცინო შტაბის მხარე დაიჭირა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საგანგებო კომისია შეიქმნება, რომელიც ვისენტესთვის სანქციის სიმკაცრეს განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი აუცილებლად დაისჯება, გასარკვევი მხოლოდ ისაა, რამდენად მკაცრი იქნება "ვალენსია" საკუთარი წევრის მიმართ.

ვისენტე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლობალური პრობლემები და იდუმალი შიდა სამზარეულო

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

ახლა, როცა ურემი უკვე გადაბრუნებულია, შეიძლება დასკვნების გამოტანა, თუ რაში მდგომარეობს საქართველოს ნაკრების პრობლემა. თავის სათქმელს, ალბათ, კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც იტყვიან, კალათბურთელებიც და მწვრთნელებიც. დღეისათვის კი ჩვენი ცნობილი სპეციალისტებისა და მწვრთნელების კომენტარებს გთავაზობთ.

ნუგზარ კანდელაკი,
ნაკრების ყოფილი მწვრთნელი:

- შარშანწინ, ნაკრებში ვმუშაობდი გორდონ ჰერბერტსა და კენ შილდსთან ერთად. ამდენად, ახლა ჩემი მხრიდან უხერხულია, რომ კოლეგიალობის პრინციპი დავარღვიო და კრიტიკა დავიწყო. ზოგადად იმას ვიტყვი, რომ ნაკრების პრობლემა ბევრ რამეში მდგომარეობს. გვაქვს სუსტი ეროვნული ჩემპიონატი, ჩვენს კალათბურთს არ ჰყავს ბევრი სპონსორი, მისაღებია ახალი კანონი სპორტის შესახებ, ასამაღლებელი მწვრთნელთა კვალიფიკაცია და ასე შემდეგ. აგერ, ისლანდიას, ჩვენზე გაცილებით სუსტი ნაკრები ჰყავს, მაგრამ აქვს ჩვენზე კარგი ჩემპიონატი. გუნდი ძირითადად, სწორედ იქაურ ჩემპიონატში მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც დაბალი კლასის მიუხედავად, სწორ კალათბურთს თამაშობენ და ამის ხარჯზე მოგვიგეს.

ჯამლეთ ხუხაშვილი,
„მაკაბის" მთავარი მწვრთნელი:

- მარცხის მიზეზებზე ობიექტურად საუბარი მხოლოდ იმ სპეციალისტს შეუძლია, ვინც ამ სამზარეულოში კარგადაა ჩახედული. გარედან ბჭობა სწორად არ მიმაჩნია. მაგალითად, სხვა გუნდის მწვრთნელმა ჩემი კლუბის მარცხის მიზეზებზე რომ დამიწყოს ლაპარაკი, ამას მთლად სერიოზულად ვერ მივიღებ. გამარჯვების რეცეპტი მხოლოდ მან იცის, ვინც რეალურად უწყის წაგების არსი.

მე მხოლოდ ზოგადად შემიძლია ლაპარაკი. მარცხის მიზეზი უფრო გლობალურად უნდა ვეძებოთ, ვიდრე უმნიშვნელო დეტალებში. ხშირად, როცა ეროვნული ნაკრები მარცხდება, იწყება წუწუნი, რომ სუსტი თაობა მოდის. ჩვენ გვყავს ფაჩულია, მარკოიშვილი, ცინცაძე თუ სანიკიძე, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სუსტი თაობა გვეზრდება და ნაკრების პრობლემა ამაშია. ავიღოთ სერბეთი, რომელმაც უმცროს ასაკებში წლეულს ფაქტობრივად, ყველა შეჯიბრება მოიგო. თუმცა, უფროსთა ნაკრებმა ამჟამად მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე კრახი განიცადა.

საერთო ჯამში, კალათბურთის ფედერაციამ ნაკრების კარგად მოსამზადებლად ყველაფერი გააკეთა. შესაძლოა, იყო მცირე ხარვეზები, მაგრამ ამისაგან გრანდებიც კი არ არიან დაზღვეულები.მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვრჩები ოპტიმისტად და მჯერა, საქართველოს ნაკრები უახლოეს წლებში გაიბრწყინებს.

გურამ მინაშვილი,
ვეტერანი კალათბურთელი:

- როდესაც გუნდი მარცხდება, ამაში მთავარი დამნაშავე მწვრთნელია. მე კალათბურთის ფედერაციიდან მაშინ წამოვედი, როდესაც საქართველოს მთავარ მწვრთნელად დანიშნეს დრაჟენ ბრაიკოვიჩი. მაშინ ბრაიკოვიჩს პირდაპირ ვუთხარი, რომ პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ პრინციპულად წინააღმდეგი ვარ, საქართველოს ნაკრები უცხოელმა გაწვრთნას მეთქი. იგივე აზრზე ვარ ახლაც.

დავიწყოთ იმით, რომ არ გვაქვს მაღალი დონის უცხოელი მწვრთნელის გადმობირების ფუფუნება, რის გამოც ჩამოგვყავს სუსტი სპეციალისტები. ბრაიკოვიჩი, საერთოდ, ქალთა ნაკრებში მუშაობდა და საქართველოს ნაკრები მისთვის ჩაბარება, უბრალოდ, სასაცილოდ გამოიყურებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაამართლეს გორდონ ჰერბერტმა და კენ შილდსმაც. მწვრთნელებს მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვა უჭირთ. ამას წინათ, ერთ კაცს ველაპარაკებოდი ამაზე და მითხრა: ახლა ყველა მოთამაშემ იცის ინგლისური და უცხოელ მწვრთნელებთან ლაპარაკის პრობლემა არა აქვთო. შემირცხვენია ისეთი ქართული გუნდი, რომელიც ვარჯიშისას და თამაშისას ინგლისურად ილაპარაკებს!

სიტყვამ მოიტანა და ძალიან მაღიზიანებს კალათბურთში შემოტანილი სლენგები. რატომ უნდა იხმარო „სლემ დანქი" და „ბლოკშოტი", როცა გაქვს მშვენიერი ქართული შესატყვისები - ჩატენვა და დაფარება?

არ მომწონს ისიც, რომ აქ ჩამოსული უცხოელი სპეციალისტები ცხვირაწევით გვიყურებენ. არ მომეწონა ისიც, რომ ამას წინათ, ერთ-ერთ ქართულ ტელეკომპანიაში სტუმრად მიწვეული კენ შილდსი შორტებით გამოგვეცხადა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო აქედან ჩანს, რა თვალით გვიყურებს. ნუთუ არავინ უთხრა, რომ საქართველოში ასე მოქცევა არ შეიძლება? პიროვნულად არავის საწინააღმდეგო არ მაქვს, მაგრამ, როცა ჩამოგყავს უცხოელი და ამხელა თანხას უხდი, კატეგორიულად უნდა მოთხოვო შედეგიც. აგერ, ბრაიკოვიჩის, ჰერბერტისა და შილდსის ბედოვლათობით, ზედიზედ ორი საკვალიფიკაციო ციკლი ჩაგვივარდა, რითაც ბევრი დავკარგეთ. ამ ხნის განმავლობაში თავისუფლად შეიძლებოდა ქართველი მწვრთნელებისთვის შანსის მიცემა და მათი გაზრდა, რაც უახლოეს წლებში იქნებ ველარც მოვახერხოთ.

რა თქმა უნდა, თავისი წილი პასუხისმგებლობა კალათბურთელებსაც მოეთხოვებათ. აშკარად არ მომეწონა ჩვენი გუნდის გარჯა. ნაკრები თამაშობდა ეგრეთ წოდებულ „დამდგარ" კალათბურთს, რაც სულაც არაა ჩვენი სტილი. ქართული კალათბურთი მუდამ სისწრაფით გამოირჩეოდა. აგერ, ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს და გუნდები ბრძლვნიან ყველაფერს, ძვლების ჭახაჭუხი ისმის. ამჟამად, მათგან ძალიან შორს ვართ. ამას წინათ, ერთ-ერთმა თქვენმა კოლეგამ მითხრა, რომ კალათბურთის ფედერაციაში უთქვამთ, ნაკრებმა სწრაფად რომ ითამაშოს, უფრო ხშირად დაკარგავს ბურთსო. აბა, ამის თქმა შეიძლება? კალათბურთელი მანქანასავით უნდა იყოს - საჭირო დროს საჭირო სიჩქარე უნდა ჩართოს. თუ სულ ერთ ტემპში ირბინა, ძალიან ადვილი დასაჭერი იქნება მეტოქისთვის.

ამ „დამდგარი" თამაშის გამო ვერ გამოიყურებოდა სათანადოდ ფაჩულია. იაკუშინი ამბობდა - კლასიკური მოთამაშე ის არის, რომელიც ათიდან 8 შემთხვევაში ხუთიანზე ითამაშებს და ორ მატჩს კი შედარებით სუსტადო. ჩემი აზრით, ზაზას ორი თამაშიც დროებითი იყო. თუმცა, ამაში რაღაც დოზით თვითონაცაა დამნაშავე, რადგან ჯერ არ აქვს შემუშავებული, როცა თამაში არ მისდის, რა უნდა გააკეთოს. შესაძლოა, კალათბურთში გუნდის ლიდერმა 15 ქულაზე მეტი ვერ გააკეთოს, მაგრამ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულოს - თანაგუნდელებს გაუადვილოს თამაში.

დავით თორთლაძე,
ვეტერანი კალათბურთელი:

- ზედიზედ მეორედ ელიტაში ვერგადასვლაში დამნაშავე ერთი და ორი კაცი არაა. პრობლემა კომპლექსურადაა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ჩვენი ჩემპიონატის დონის აშკარად დაცემა. აქ მოთამაშე კალათბურთელები კენ შილდსს, ფაქტობრივად, არ გამოუყენებია. თუ გადავხედავთ წინა წლების ისტორიას, როცა გვქონდა კარგი ჩემპიონატი, იყო წარმატებებიც, ხოლო ჩემპიონატის დონის დაცემამ ავტომატურად გააუარესა ნაკრების შედეგები. მხოლოდ უცხოელი მწვრთნელი, ლეგიონერები და მათი ავტორიტეტი რომ წარმატებისთვის საკმარისი არაა, ეს ნათლად გამოჩნდა.

კალათბურთში მხოლოდ გვარ-სახელები არაფერს წყვეტს - შენი სიძლიერე მოედანზეც უნდა დაამტკიცო. ნაკრებს წლეულს დაახლოებით თვენახევარი ჰქონდა მოსამზადებლად. არ ვიცი, რა ხდებოდა შეკრებაზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნაკრები ფორმაში არ იყო.

მე ყოველთვის წინაარმდეგი ვარ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი მხოლოდ ეთნიკური ნიშნით მოგწონდეს ან არ მოგწონდეს. რა ეროვნებისაც უნდა იყოს ჩვენი ნაკრების მწვრთნელი, მას უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება პროფესიონალიზმი და ქართულ კალათბურთში საფუძვლიანად წვდომა. არ შეიძლება, რომ საჭირო მოთამაშე ერთ კვირაში შეარჩიო. არიან კალათბურთელები, რომლებიც ერთი შეხედვით, არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებიან, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებს დიდებულად თამაშობენ.

გორდონ ჰერბერტი ერთი თვით ჩამოდიოდა საქართველოში, ხვდებოდნენ ნაკრების კანდიდატები, სახელდახელოდ აკომპლექტებდა გუნდს და ასე აპირებდა ფონს გასვლას, რაც დიდი შეცდომა იყო. აგერ, ამერიკის ნაკრებში აკეთებენ ასე ბოლო წლებში, შეკრებენ ხოლმე უცბად ნბა-ს ვარსკვლავებს და შედეგიც ვიცით - მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე ჩემპიონობა სანატრელი გაუხდათ.

რაც შეეხება მომავალს, დაუშვებელია, რომ წარუმატებლობა დააბრალო ვთქვათ, იმას, რომ ვილაცამ კარგად ვერ ითამაშა და ვილაცამ რაღაცა დააკლო გუნდს. ვისაც ნაკრების ბედ-იღბალი აბარია, უნდა დასხდნენ და გაცილებით საფუძვლიანი, ღრმა ანალიზი გააკეთონ შექმნილი ვითარების ირგვლივ. ეროვნული ნაკრები მხოლოდ დღევანდელი დღე არაა, მომავალზეც საფიქრალია. მაგალითად, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა კალათბურთს. რატომ ხდება, რომ ჩვენი სპორტსმენები უმცროს ასაკში ძალიან ძლიერები არიან, მერე კი ფერმკრთალდებიან?

ზაზა ცაგარეიშვილი,
„დინამოს" მთავარი მწვრთნელი:

- უპირველეს ყოვლისა, ძალიან დასანანია, რომ ასეთი კარგი შანსი გავუშვით ხელიდან და ისევ B დივიზიონში ჩავრჩით. ჩემი აზრით, ამით ქართულმა კალათბურთმა ორი წლით უკან დაიხია. ძალიან გაკვირვებული ვარ. კალათბურთის ფედერაციამ მშვენიერი პირობები შეუქმნა გუნდს, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ რა მოხდა მერე, რატომ ვერ მივიღეთ შედეგი, ეს ჩემთვის სავსებით გაუგებარია.

წაგებაში ალბათ თანაბრად უნდა დავადანაშაულოთ მწვრთნელიც და კალათბურთელებიც. ეროვნული ნაკრები ისეთი მცნებაა, რომ მისთვის ყველამ მაქსიმუმი უნდა გაიღოს. შილდსი პროფესიონალია, არა მგონია თავი დაეზოგა რამეში, მაგრამ მაინც უცხოელია და ვერ დავიჯერებ, რომ საქართველო ნაკრების წევრებზე მეტად უყვარს. ასე რომ, კალათბურთელებს უფრო მეტი მოეთხოვებოდათ.

ზურაბ სამხარაძე,
მწვრთნელი:

- ვთქვათ, დაითხოვე ნაკრებიდან შილდსი ან ფაჩულია - ამით საერთო ჯამში ბევრი არაფერი შეიცვლება - ეს მხოლოდ დეტალები იქნება.გუნდის რეგრესში თითქმის ყველა და ყველაფერია დამნაშავე, ვისაც გუნდთან შეხება აქვს.

უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელზე ვისაუბროთ. ჯერ კიდევ დრაჟენ ბრაიკოვიჩს ვეკითხებოდი, როცა ახალი ჩამოსული იყო - იცნობ თუ არა ქართულ მენტალიტეტს მეთქი. ქართველებისაგან განსხვავებით, უცხოელმა მწვრთნელებმა კარგად არ იციან, როგორ უნდა მიუდგნენ ჩვენს მოთამაშეებს. ნებისმიერ ქვეყანაში სპეციალისტების მთელი ჯგუფები მუშაობენ იმაზე, რომ პრობლემები მოაგვარონ და მათმა ნაკრებმა კარგად ითამაშოს, საქართველოში კი ორიოდე კაცი წყვეტს ყველაფერს და სხვა სპეციალისტებს არაფერს ეკითხება. უცხოელი მწვრთნელები ზემოდან არ უნდა დაგვყურებდნენ.

ჩვენ არაფრად გვარგია ამერიკული თუ ლიტვური სტილი, რადგან მათნაირად ვერ ვითამაშებთ. გვაქვს ქართული სტილი და სწორედ ამაზე უნდა იმუშავონ უცხოელმა მწვრთნელებმა. დავესწარი ნაკრების რამდენიმე ვარჯიშს და გაოგნებული დავრჩი - მწვრთნელები ყოვლად გაუგებარ კომბინაციებს ამუშავებინებდნენ კალათბურთელებს. ჩვენი კოზირი მუდამ იყო სწრაფი პირველი შეტევა, უცხოელები კი სულ სხვა კომბინაციებზე აკეთებენ აქცენტს.

ჩემს ხელში არიან გაზრდილები ფაჩულია, სანიკიძე და მარკოიშვილი. ახლა ყველა აკრიტიკებს ფაჩულიას - სუსტად ითამაშაო. მაინტერესებს, მწვრთნელებმა თუ გამოიკვლიეს მისი ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობა? კაცმა ნბა-ში მთელი წელი 90-მდე მატჩი ითამაშა, ჩამოვიდა ამხელა გზაზე და ატარეს წინ და უკან - ბულგარეთის ტურნირზე თუ ფრანგულ შეკრებაზე. მერე ამას მოჰყვა საკმაოდ მჭიდრო გრაფიკით გამართული საკვალიფიკაციო ეტაპი და ზაზა აშკარად გამოიფიტა. კალათბურთელი რკინა არ არის, რომ ამხელა დატვირთვას გაუძლოს - ცოტა დასვენებაც სჭირდება. სულაც არ იყო საჭირო, რომ ფაჩულია ასე დაექანცათ - მიეცათ ძალების აღდგენის საშუალება და დარწმუნებული ვარ, რაც ითამაშა, იმაზე გაცილებით კარგად გაირჯებოდა. ახლა ზაზა ისეა გამოფიტული, რომ ვშიშობ, ნბა-შიც გაუჭირდება.

ასევე აღსანიშნავია გუნდში არსებული ატმოსფერო. ისლანდიაში წაიყვანეს უთამაშებელი ბოისა და იგნორირება გაუკეთეს ასევე უთამაშებელ ცქიტიშვილს, რაც არასწორად მიმაჩნია - ყველა თანაბარ პირობებში უნდა ჩააყენო.ბოისას თავისი მეგობრები ეყოლება ნაკრებში, ნაცვლიშვილი ცქიტიშვილის სიძეა და ამას, ალბათ, არაჯანსაღი ატმოსფერო მოჰყვებოდა. ჰოდა, მთავარი მწვრთნელი იმიტომ ხარ, რომ იცნობდე ქართულ მენტალიტეტს და უწამლო კალათბურთელთა ბუტიაობას თუ ახირებებს. კარგი გაგებით, მწვრთნელი ცოტა „შებერტყილიც" უნდა იყოს, რომ ნაკრებში სიტუაცია დაარეგულირო. ამას გარდა, მთავარი მწვრთნელს კარგი ფსიქოლოგობაც მოეთხოვება.

კალათბურთი ჩვენთვის არ არის ვთქვათ, ფრისტაილი თუ კუნგ-ფუ, კალათბურთი ქართველი ხალხის გენში დევს და მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვხედავ.

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთებური

ინტერვიუ ვახტანგ ნაცვლიშვილთან

ყოფილი კაპიტანი ყოფილ მწვრთნელს აბრალებს

საქართველოს ნაკრებმა ვერც მეორე ცდით მოახერხა B დივიზიონისთვის თავის დაღწევა. არადა, წინა ციკლთან შედარებით, იოლ ჯგუფში ვიყავით. თავად განსაჯეთ, ქვედა ლიგაში ისლანდიასთან მარცხმა დაგვტოვა. წაგების მიზეზებზე ზოგი გაკვრით საუბრობს, ზოგი თავს იკავებს, ნაკრების კაპიტანი ვატო ნაცვლიშვილი კი ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა, ამიტომ შევიცარიარუმინეთის მატჩის წინ მასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. თავდაპირველად ქართველთა გამოსვლის შესახებ ზოგადი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

- დასანანია ასეთი ჯგუფიდან რომ ვერ გავედით. ფლეი ოფში მოხვედრის შანსი უფრო მეტი იყო, ვიდრე ვერმოხვედრის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისლანდიაში დავმარცხდით. ყველა ფინეთის მატჩის მოგებაზე საუბრობდა. მე ვამბობდი - ჯერ ავსტრიასთან გველის რთული შეხვედრა, შემდეგ - ისლანდიაში-მეთქი. მესმის, ისევე როგორც ჩვენ, გულშემატკივარსაც დავწყვიტეთ გული, რის გამოც ქომაგს მინდა ბოდიში მოვუხადო. როგორც კაპიტნებს სჩვევიათ, მეც ბოლოს ვტოვებ გემს და ვაცნობიერებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას. ამიტომაც არ მეთაკილება ბოდიშის თქმა...

- როგორ ფიქრობ, ამ გუნდით ვიმსახურებდით A დივიზიონში გადასვლას?

- როცა გუნდში ზაზა ფაჩულიას, ვიქტორ სანიკიძის, მანუჩარ მარკოშვილის (აღარ გავაგრძელებ) დონის კალათბურთელები გყავს, B დივიზიონისთვის ცოდო ხარ. მაგრამ როგორც ყოველთვის, სუბიექტურმა, ობიექტურმა თუ აბსტრაქტულმა მიზეზებმა, მიზნის მიღწევაში ხელი შეგვიშალეს. ამ მიზეზებმა საბოლოოდ ერთად მოიყარა თავი და დავისაჯეთ კიდეც.

- წაგების მთავარ მიზეზად რა მიგაჩნია?

- ყველაზე მეტად მწვრთნელი დაისაჯა, რადგან ის იყო წაგების ერთ-ერთი განმაპირობებელი - თამაში ხომ უსახურად წაიყვანა, არ გამოიყენა რეზერვი, რის გამოც დაუსვენებელ ძირითად ხუთეულს საქმის ბოლომდე მიყვანა გაუძნელდა. რომელმა კალათბურთელმა რომელ წუთზე სამქულიანი ვერ ჩააგდო, ეს ზედაპირული მსჯელობაა. რეალურად მწვრთნელი შეცდა, როცა ნიკა ცქიტიშვილი არ აიყვანა და უვარჯიშებელი ვლადიმერ ბოისა 35 წუთი ათამაშა. ისლანდიაში ასევე ვერ ენდო ლაშა გამყრელიძესა და კოტე ტუღუშს, რომლებიც წინა მატჩებსა და არაოფიციალურ შეხვედრებში გუნდის მექანიზმში კარგად იყვნენ ჩაწერილნი. მოკლედ, კენ შილდსმა ისლანდიაში სრულიად სხვაგვარად გვათამაშა. ისლანდიური შეხვედრის შემდეგ მწვრთნელს ვესაუბრე და რასაც ვფიქრობდი, ღიად ვუთხარი. ასე რომ, არავის ეგონოს, თითქოს ზურგსუკან ვლაპარაკობ. კუნძულიდან დაბრუნების შემდეგ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. ახლა, ცივი გონებით ვსაუბრობთ. ლაპარაკი მიადვილდება იმიტომაც, რომ ნაკრების ყოფილი წევრი, ყოფილი კაპიტანი ვარ და ვფიქრობ, უკვე ყოფილ მწვრთნელზე ვსაუბრობ. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კალათბურთის ფედერაცია, მაგრამ მიმაჩნია, გულშემატკივარი ასეთი დონის მწვრთნელს აღარ ისურვებს.

- კენ შილდსმა ხომ კანადის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე მე-7 ადგილი დაიკავა, სამშობლოში კი საუკეთესო მწვრთნელად ითვლება...

- მწვრთნელს, რომელსაც არ შეუძლია კალათბურთელი შეცდომის დაშვების შემთხვევაში გამოცვალოს, გუნდში დისციპლინა დაამყაროს, როგორც საწვრთნელ პროცესში, ასევე თამაშებისას, არ მიმაჩნია მაღალი დონის სპეციალისტად. როცა კენ შილდსი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, ჩემს კანადელ თანაგუნდელ როუან ბარეტს მის შესახებ ვკითხე. ჩემდა გასაკვირად, შილდსის უარყოფითი დახასიათება მივიღე... იგი ვიღაცისთვის შეიძლება მაღალი დონის იყოს, მაგრამ ჩემთვის საშუალოზე დაბალი დონისაა. კონკრეტულ მაგალითსაც მოვიყვან: კენ შილდსმა კომბინაციების დასახელებები სიტყვიერად დაგვაზეპირებინა. შემდეგ მიხვდა, რომ შეცდა. 10 ათასი ქომაგის ყვირილში როგორ უნდა გაგვეგო გამთამაშებელი რას იძახდა. ამიტომ სიტყვიერი დასახელებები ჟესტიკულაციით ავსტრიასთან მატჩის წინ შეცვალა - 16 იეროგლიფი ჩამოგვიწერა და ერთ დღეში უნდა მოგვესწრო მათი დაზეპირება.

- კომბინაციებს მხოლოდ სახელები რატომ დაარქვა?

- იმიტომ, რომ ფინელებს არ გავეშიფრეთ. ან რა გაშიფვრა გვჭირდებოდა - სუომის მწვრთნელმაც კარგად იცოდა, რომ ჩვენი თამაში ზაზა ფაჩულიაზე იყო აწყობილი.

- როგორ ფიქრობ, ზაზამ ჩვეულ დონეზე რატომ ვერ ითამაშა?

- იმიტომ, რომ ისლანდიაში ერთბაშად 3 კაცი მეურვეობდა. ასეთი რამ NBA-ში არ ხდება, უბრალოდ არც შეიძლება მოხდეს. ზაზა ერთი-ერთზე ძალიან ძლიერია და ნებისმიერ მეტოქეს შეიძლება დაუსხლტეს, მაგრამ სამ კაცთან ჭიდაობა იოლი არ არის.

- მაშინ დანარჩენებს უნდა გამოთავისუფლებოდათ სივრცე...

- იყო სხვა კომბინაციებიც, მაგრამ თამაშისას სტრატეგიული ცვლილებები იშვიათი იყო. სხვათა შორის, მწვრთნელი, რომელიც კომბინაციას დაფაზე ვერ ხატავს, პირველად ვნახე.

- ზემოთ დისციპლინა... უფრო სწორად უდისციპლინობა ახსენე...

- გუნდში დისციპლინა ნულზე იყო, როგორც ვარჯიშებზე, ასევე თამაშებზე. რაც ჩემს ფუნქციებში შედიოდა, ყველაფერს ვაკეთებდი. ერთ ეპიზოდში თანაგუნდელთან კონფლიქტიც მომივიდა, მაგრამ მწვრთნელის ფუნქციებში ვერ შევიჭრებოდი. ხოლო, როცა დისციპლინა დაბალ დონეზეა, მაღალი შედეგი ციდან არ ჩამოფრინდება.

- ფინეთთან მატჩის მერე ზაზა ფაჩულიამ თქვა, როგორ პირობებშიც მოგვამზადეს, ისე ვითამაშეთო...

- პირობები უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ფრაზა ბევრმა საკუთარი თვალთახედვით გაშიფრა. მეც ასე მოვიქცევი - ზაზას ნათქვამში მე მწვრთნელს ვიგულისხმებდი. მაგრამ აქ მთავარი არ არის ვინ რა აზრი დააფიქსირა, მთავარია, რომ B ლიგაში ჩავრჩით და ახლა უნდა გავერთიანდეთ, დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ, რათა მომდევნო ციკლში მაინც მივაღწიოთ იმ წარმატებას, რასაც ვიმსახურებთ.

მინდოდა ნაკრებიდან გამარჯვებული წავსულიყავი, მაგრამ ასე არ მოხდა. თუმცა, ბოლო მატჩში, ფინეთთან მაინც მოვიგეთ და ტაშიც თამამად დავუკარი. ეს გახლდთ ჩემი მეორმოცე და ბოლო თამაში ეროვნულის მაისურით.

- მინდა ნიკა ცქიტიშვილსა და ნაკრების ურთიერთობაზე გკითხო.

- ნიკამ შეკრებაზე დაიგვიანა და რომ არ ეთამაშა, პრობლემა არ იყო. მაგრამ პრობლემა მას მერე წარმოიშვა, რაც ანალოგიურ სიტუაციაში ვლადიმერ ბოისა გუნდში მიიღეს და ისლანდიაში ბოლომდე ენდნენ. ვოვასადმი არანაირი პრეტენზია არ მაქვს, უბრალოდ მოთამაშეებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომაა არასწორი.

- ბოლოს საკლუბო ამბავსაც გკითხავ. გაზაფხულზე თქვი, კარიერის საქართველოში გაგრძელებას არ გამოვრიცხავო.

- საქართველოდან წინადადება არ მიმიღია. ამიტომ დარჩენაზე ჯერ არ მიფიქრია. სანაკრებო შეკრებისას სამჯერ შემეხმიანნენ ესპანეთის მეორე ლიგის ერთ-ერთი გუნდიდან. უარს ვამბობდი, რადგან არ მეცალა. გუშინ შევიტყვე, რომ ის ესპანური გუნდი ისევ მელის. პირნეებზე წასვლის საკითხს უახლოეს დღეებში გადავწყვეტ.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

მეოთხედ/ნახევარ-ფინალში

ოქსანა კალაშნიკოვა

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდული ტურნირის მეოთხედფინალშია. განუთესავმა ქართველმა რუმინელი **სიმონა ჰალეპი** დაამარცხა ორ სეტში - 7:5, 6:4. მეოთხედფინალში მსოფლიოს მე-17 ჩოგანი შეხვდება ზელანდიელ **საშა ჯოუნსს**, რომელიც დიდების კლასიფიკაციაში 409-ე ნომერია.

ოქსანამ წყვილთა თანრიგშიც წინ წაინია. მანრუს **ქსენია ლიკინასთან** ერთად ჯერ ავსტრალიელ **ჯესიკა მურს** და მექსიკელ **ვალერია ველასკოს** მოუგო - 7:5, 6:1, წუხელ კი წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილი ქართულ-რუსული დუეტი მე-7 ნომრად განთესილების, ავსტრალიელი **ტაირა კოლდერვუდის** და ებრაელი **იულია გლუშკოს** დუეტს შეხვდა.

პირველი სეტი ფავორიტებს დარჩათ - 6:2. მეორეში 5:6-ზე ავსტრალიელმა და ებრაელმა ლიკინას მოწოდების მოგება შეძლეს და მესამე სეტშიც 3:0 დაწინაურდნენ. თითქოს მატჩიც მათ სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ კალაშნიკოვამ და ლიკინა იშვიათი შემართება გამოავლინეს მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს - 6:2, 5:7, 7:5. მაშ ასე, 17 წლის კალაშნიკოვა ამერიკის ღია პირველობის წყვილთა თანრიგის ნახევარფინალშია. მათ ნაცნობი მეტოქეები ჰყავთ - იაპონელები **მასაკი დაო** და **კურუმი ნარა**, რომელთაც კალაშნიკოვამ და ლიკინამ კანადის ღია პირველობაზე მოუგეს.

ლესია და სამი ქართველი

ბაქოში, ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) დასკვნით ფაზაშია. გუშინ, აზერბაიჯანის დედაქალაქის თიხნარის კორტებზე სენსაცია დაფიქსირდა - განუთესავმა **თინათინ ყავლაშვილმა** დიდი ძალისხმევის გარეშე დაამარცხა ტურნირის პირველი ჩოგანი და მსოფლიოს კლასიფიკაციის 579-ე ნომერი **სოფიო შაფათავა** - 6:3, 6:4. ნახევარფინალში 20 წლის ყავლაშვილი კიდევ ერთი მოულოდნელობის ავტორს შეხვდება, მე-7 ნომრად განთესილ **სოფიო ქვაცაბაიას**. ქვაცაბაიამ მე-4 ნომრად განთესილ თანამემამულე **მანანა შაფაქიძეს** მოუგო - 6:2, 7:5. **თათია მიქაძემ** რუსი **მარინა მელნიკოვა** დაამარცხა - 7:5, 6:3. ნახევარფინალში თათია უკრაინელ **ლესია ცურენკოს** შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

ჯავახიშვილმა ჩემპიონობა დაამარცხა

ლელა ჯავახიშვილმა ბაქოს სუპერტურნირის მეორე ტურშიც გაიმარჯვა, თუმცა პირველთან შედარებით ბევრად ძლიერი მეტოქე ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** დაამარცხა, მესამეში კი მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონთან, ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვასთან** დაზავდა. სამი ტურის შემდეგ ლელა ტურნირს კიდევ სამ მოჭადრაკესთან ერთად ლიდერობს და მეოთხეში **კატერინა ლაჰნოს** ეთამაშება.

სამ ტურს შემდეგ: ლელა ჯავახიშვილი, მონიკა სოცკო, ანტუანეტა სტეფანოვა, კატარინა ლაჰნო - 2.5; პია კრამლინგი 2; ვიქტორია ჩმილიტე - 1.5; ფირუზა ველიხანლი -1; ნარგიზ უმუდოვა - 0.5; ილაჰა კადიმოვა, სოფი მიიე - 0,

ზვიად შათირიშვილი

უნივერსიადა ქართველებისაა

სტამბოლში საჭადრაკო ფესტივალი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ პარალელურად მიმდინარე საუნივერსიტეტო გუნდური ტურნირი კი დასრულდა. როგორც ვაუებში, ისე ქალებში ჩემპიონები ქართული გუნდები გახდნენ: შესაბამისად - თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი და თბილისის საერო უნივერსიტეტი "გაენათი".

ვაუებში ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გუნდმა 9 შეხვედრიდან რვაში იმარჯვა და მხოლოდ ერთში დაზავდა. მეორეზე ხარკოვის აკადემია გავიდა, მესამეზე თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ **თორნიკე სანიკიძე, დავით ზარქუა, გიგა ყუფარაძე, შოთა აზალაძე** და **არჩილ ბერუაშვილი**. საოცარია შოთა აზალაძის შედეგი - რვიდან რვა მოგება!

ქალებში "გაენათმა" სამჯერ გაიმარჯვა და ორჯერ ყაიმით დაასრულა მატჩი. მეორე ადგილზე სოფიის ვასილი ლევსკის სახელობის სპორტის აკადემიის გუნდია, მესამეზე - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი. ჩემპიონ გუნდში **ნინო ბაციაშვილი, ნონა დათუაშვილი** და **ანა ბუცხრიკიძე** თამაშობდნენ.

ძირითადი ტურნირის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. მეხუთე ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით **ლევან ფანცულაია** ლიდერობდა, თუმცა ამდენივე კიდევ ხუთს ჰქონდა, მათ შორის **დავით მაღალაშვილს**. მეექვსე ტურში ლევან თეთრებით დამარცხდა აზერბაიჯანელ **ელდარ გასანოვთან**, რომელიც ახლა 7-დან 7 ქულით ლიდერობს.

სტამბოლში 28 ქართველი თამაშობს, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში იმათ მონაგარს გაგაცნობთ, ვისაც, ჩვენი აზრით, მაღალი ადგილის დაკავების შანსი შერჩა.

1. ელდარ გასანოვი-7, 2. მიხეილ გურევიჩი-6,5; 3. ლევან ფანცულაია-6; 7. დავით ჯოჯუა-6; 9. გიორგი მარგველაშვილი-6; 11. ლევან აროშიძე-6; 12. კონსტანტინე შანავა-6; 16. დავით მაღალაშვილი-5,5; 18. დავით არუთინიანი-5,5; 20. გიგა ყუფარაძე-5,5; 21. ბაჩანა მორჩიაშვილი-5,5; 22. სალომე მელია-5,5; 23. შოთა აბალაძე-5,5; 25. დავით ლომსაძე-5,5; 28. ნინო ხურციძე-5,5; 32. ივერი ჭილაძე-5,5; 40. ბეჟა ხოტენაშვილი-5,5.

ზვიად შათირიშვილი

აგრძელებენ

ჰანაგურთი. პოლონეთის ქალაქ სტარი იაბლონკიში მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე მხოლოდ ვაუები ასპარეზობენ. ქართულმა წყვილმა **გეორგიამ** სტარტზე ორი თამაშიდან ერთი მოიგო და ასპარეზობას აგრძელებს. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში 22-ე ნომრად განთესილ ჰოლანდიელებს **დე ხრუიტერს** და **რონესს** სძლიეს სამ სეტში 20:22, 21:18, 15:12. თუმცა მერე გაცილებით ძლიერ წყვილთან, მე-6 ნომრად განთესილ ავსტრიელებთან, **დოპლერთან** და **გარტმაიერთან** დამარცხდნენ 0:2 (17:21, 18:21). დღეს გეორგია 28-ე ნომრად განთესილ გერმანელებს **ჰუტსა** და **შნიდერს** დაუპირისპირდება.

რაგბი. საქართველოს თასი
დღეს. ჯგუფური ტურნირი
15.00 დინამო-უნივერსიტეტი ვაკე 17.00 ლელო-ყოჩები ვაკე

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია, კოლეგები და მეგობრები სამძიმარს უცხადებენ ფედერაციის მთავარ სპეციალისტს, ბაგრატ მექვაბიშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში, 9 სექტემბერს.

მწვრთნელი
მალხაზ ჭეიშვილი

გიორგი შკინინი

მატჩი N 1. D ჯგუფი

საფრანგეთი–ირლანდია

სენ დენი. სტად დე ფრანსი. 7 სექტემბერი, 23:00

საფ: 15. სედრიკ ემონსი 14. ორელიან რუჟრი 13. იანიკ ჟოზიონი 12. დამიენ ტრაი 11. ქრისტოფ დომინისი 10. დავიდ სკრელა 9. პიერ მინიონი; 1. ოლივიე მილუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. ფაბიენ პელუ 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ პეტსენი 7. რემი მარტენი 8. იმანოლ არინორდოკი / 16. დიმიტრი შარუევსკი 17. ჟან-ბატისტ პუ 18. სებასტიან შაბალი 19. ჟულიენ ბონერი 20. ტიერი დუზოტუარი; 21. ჟან-ბატისტ ელისალდი 22, ფრედერიკ მიშალაკი

არგ: 15. იგნასიო კორლეტო 14. ლუკას ბორხესი 13. მანუელ კონტეპომი 12. ფელიპე კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ხუან მარტინ ერნანდესი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. მარიო ლედესმა 3. მარტინ სკელსო 4. იგნასიო ფერნანდეს-ლობე 5. პატრისიო ალბასეტე 6. ლუკას ოსტილია 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. ხუან მანუელ ლეგისამონი / 16. ალბერტო ვერნეტი 17. სანტიაგო გონსალესი 18. რიმას ალვარესი 19. მარტინ დიურანი; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ერნან სენილიოსა

მსაჯი: ტონი სპრიდბერი (ინგ)

აქვსენტი გიორგაძე
4 ივნისი, 1976, ქუთაისი
I ხაზი. კასტრი (საფ)
180 სმ, 105 კგ
47 კეპი, 50 ქულა (10 ლელო)
4 თამაში მსოფლიო თასზე



ბესიკ ხამაშურიძე
14 მარტი, 1979, თბილისი
III ხაზი. ვილფრანში (საფ)
184 სმ, 104 კგ
26 კეპი, 40 ქულა (8 ლელო)



რატი ურუშაძე
22 სექტემბერი, 1975, თბილისი
III ხაზი. ნიცა (საფ)
194 სმ, 106 კგ
22 კეპი, 15 ქულა (3 ლელო)



გიორგი ჩხაიძე
19 აგვისტო, 1981, თბილისი
III ხაზი. მასი (საფ)
194 სმ, 107 კგ
20 კეპი, 20 ქულა (4 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



დავით ხინჩაგიშვილი
24 ივლისი, 1982, თბილისი
I ხაზი. ბრივი (საფ)
181 სმ, 115 კგ
15 კეპი, 5 ქულა (1 ლელო)

აქვსენტი გიორგაძე, ილია ზედგინიძე



ბესიკ ხამაშურიძე

გია ლაბაძე
21 სექტემბერი, 1973, თბილისი
III ხაზი. ტულონი (საფ)
195 სმ, 96 კგ
45 კეპი, 50 ქულა (10 ლელო)
2 თამაში მსოფლიო თასზე

ავთანდილ კოკალიანი
13 ივნისი, 1982, ქუთაისი
I ხაზი. ბაიონი (საფ)
182 სმ, 117 კგ
19 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)
2 თამაში მსოფლიო თასზე

საფრანგეთი

	პოზ	დაბ	სიმ	წონ	კეპი	ქულა	(ლ)
სებასტიან ბრუნო	I	26.08.74	174	106	22	15	(3)
რაფაელ იბანეს	I	17.12.73	180	96	93	35	(7)
დიმიტრი შარუევსკი	I	26.01.83	180	100	16	15	(3)
პიერ დევილიე	I	03.07.72	184	106	64	10	(2)
ნიკოლა მას	I	25.05.80	180	110	16	11	(-)
ოლივიე მილუ	I	09.12.75	185	104	45	5	(1)
ჟან-ბატისტ პუ	I	26.05.79	180	105	14	15	(3)
ლიონელ ნალე	II	14.09.76	195	115	28	5	(1)
ფაბიენ პელუზ	II	07.12.73	198	110	113	35	(7)
ჟერომ თიონ	II	02.12.77	199	115	36	5	(1)
სერჟ პეტსენ	III	25.03.74	182	96	58	45	(9)
ჟულიენ ბონერ	III	20.09.78	192	100	31	20	(4)
სებასტიან შაბალ	III	08.12.77	192	106	31	15	(3)
ტიერი დუზოტუარ	III	18.11.81	188	95	6	5	(1)
იმანოლ არინორდოკი	III	20.02.80	192	105	41	50	(10)
რემი მარტენ	III	10.08.79	196	103	18	10	(2)
იანიკ ნიონგა	III	19.12.83	187	94	21	15	(3)
ჟან-ბატისტ ელისალდ	9	23.11.77	172	73	24	148	(3)
პიერ მინიონი	9	28.02.77	170	75	25	30	(5)
ფრედერიკ მიშალაკ	10	16.10.82	172	78	44	245	(9)
დავიდ სკრელა	10	02.03.79	191	95	8	68	(-)
ლიონელ ბოსი	10	24.10.85	180	86	6	36	(-)
დამიენ ტრაი	შ	12.06.79	192	98	53	107	(12)
იანიკ ჟოზიონ	შ	28.07.78	193	95	44	78	(15)
დავიდ მარტი	შ	20.10.82	180	86	13	35	(7)
ვენსან კლერ	გ	07.05.81	178	85	22	50	(10)
ქრისტოფ დომინისი	გ	20.05.72	172	84	62	118	(23)
სედრიკ ემონს	გ	20.07.78	180	85	33	45	(9)
ორელიან რუჟრი	გ	26.09.80	193	93	47	100	(20)
კლემან პუატრენო	15	20.05.82	188	86	28	20	(4)

მწვრთნელი ბერნარ ლაპორტ

არგენტინა

	პოზ	დაბ	სიმ	წონ	კეპი	ქულა	(ლ)
მარიო ლედესმა	I	17.05.75	183	106	60	15	(3)
ალბერტო ვერნეტ-ბასუალდო	I	08.06.82	180	109	4	-	(-)
მარკოს აიერსა	I	12.01.83	186	112	13	5	(1)
სანტიაგო გონსალეს-გონორინო	I	05.05.75	190	116	11	-	(-)
ომარ ჯასან	I	21.01.72	183	115	58	15	(3)
როდრიგო რონსერო	I	16.01.77	177	110	21	15	(3)
მარტინ სკელსო	I	05.02.76	190	125	39	45	(9)
პატრისიო ალბასეტე	II	09.02.81	200	115	19	-	(-)
რიმას ალვარეს	II	22.08.74	197	106	106	3215	(3)
ესტებან ლოსადა	II	08.01.82	194	106	4	-	(-)
მარტინ დიურან	III	30.05.76	182	96	49	45	(9)
იგნასიო ფერნანდეს-ლობე	III	20.11.74	194	114	58	25	(5)
ხუან ფერნანდეს-ლობე	III	19.11.81	191	105	15	15	(3)
ხუან მანუელ ლეგისამონ	III	06.06.83	190	105	17	10	(2)
გონსალო ლონგო	III	14.03.74	193	105	47	20	(4)
ლუკას ოსტილია	III	03.05.76	191	99	27	15	(3)
მარტინ შუსტერმან	III	13.09.75	189	101	16	5	(1)
აგუსტინ პიშოტ	9	22.08.74	175	78	65	60	(12)
ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა	9	25.11.72	179	90	42	30	(6)
ხუან მარტინ ერნანდეს	10	07.08.82	187	90	21	34	(6)
ფედერიკო ტოდესკინი	10	08.08.75	185	85	16	232	(3)
ფედერიკო სერა-მირას	შ	03.10.79	188	83	8	26	(2)
ფელიპე კონტეპომი	შ	20.08.77	180	91	52	356	(8)
მანუელ კონტეპომი	შ	20.08.77	189	96	32	35	(7)
ერნან სენილიოსა	გ	01.10.77	179	90	28	128	(17)
გონსალო ჰიესი	გ	25.04.85	184	92	10	15	(3)
ხოსე მარია ნუნიეს-პიოსკი	გ	06.12.76	184	90	26	145	(29)
ორასიო აგულა	გ	22.10.84	181	88	5	5	(1)
ლუკას ბორხეს	გ	17.02.80	177	80	19	50	(10)
იგნასიო კორლეტო	15	21.06.78	185	90	30	58	(11)

მწვრთნელი მარსელო ლოზრედა

ავთანდილ კოკალიანი
13 ივნისი, 1982, ქუთაისი
I ხაზი. ბაიონი (საფ)
182 სმ, 117 კგ
19 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)
2 თამაში მსოფლიო თასზე



ილია მაისურაძე
31 ივლისი, 1977, თბილისი
III ხაზი. ნანტი (საფ)
180 სმ, 198 კგ
19 კეპი, 5 ქულა (1 ლელო)



მამუკა მაგრაქველიძე
12 აგვისტო, 1977, თბილისი
I ხაზი. მეტრო რასინგი (საფ)
190 სმ, 120 კგ
18 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)



ზვიად მაისურაძე
28 ოქტომბერი, 1980, თბილისი
III ხაზი. ლოკომოტივი
185 სმ, 110 კგ
19 კეპი, 20 ქულა (4 ლელო)



გოდერძი შველიძე
17 აპრილი, 1978, რუსთავი
I ხაზი. კლერმონი (საფ)
178 სმ, 105 კგ
37 კეპი, 35 ქულა (7 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



დავით ზირაქაშვილი
20 სექტემბერი, 1983, რუსთავი
I ხაზი. კლერმონი (საფ)
178 სმ, 114 კგ
13 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)

ლევან დათუნაშვილი
18 იანვარი, 1983, თბილისი
II ხაზი. მონლუსონი (საფ)
194 სმ, 114 კგ
19 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)



ვიქტორ დიდებულიძე
4 ნოემბერი, 1970, თბილისი
II ხაზი. მასი (საფ)
191 სმ, 112 კგ
42 კეპი, 25 ქულა (5 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



მამუკა გორგოძე
14 ივლისი, 1984, თბილისი
II ხაზი. მონპელიე (საფ)
196 სმ, 120 კგ
23 კეპი, 45 ქულა (9 ლელო)



ილია ზედგინიძე
20 იანვარი, 1976, თბილისი
II ხაზი. ოში (საფ)
195 სმ, 112 კგ
46 კეპი, 70 ქულა (14 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე

D ჯგუფი



შუაში - მალხაზ ჭეიშვილი

ლევან დათუნაშვილი



დავით ხინჩაგიშვილი

ირლანდია

	პოზ	დაბ	სიმ	წონ	ქეპი	ქულა (ლ)
რორი გეტს	I	15.08.82	178	104	14	10 (2)
ჯერი ფლინერი	I	17.10.78	180	102	17	10 (2)
ფრენკი ვენეს	I	27.08.76	180	105	28	25 (5)
საიმონ გეტს	I	11.02.78	185	114	20	5 (1)
ჯონ ჰეინს	I	02.11.73	193	127	75	10 (2)
მარკუს ჰორან	I	07.09.77	188	108	47	25 (5)
ბრაიან იანგ	I	11.06.81	184	114	8	- (-)
დონჩა ოკალაჰან	II	24.03.79	198	115	36	5 (1)
პოლ ოკონელ	II	20.10.79	198	111	45	30 (6)
მალკოლმ ოკელი	II	19.07.74	204	119	87	40 (8)
ნილ გეტს	III	03.04.79	189	105	14	10 (2)
საიმონ ისტერგი	III	21.07.75	193	100	58	35 (7)
სტივენ ფერის	III	02.08.85	192	110	4	- (-)
დენის ლიჰი	III	27.11.81	187	106	23	5 (1)
ალან ქვინლან	III	13.07.74	191	106	25	25 (5)
დევიდ ვოლის	III	08.07.76	188	107	37	35 (7)
პიტერ სტრინგერ	9	13.12.72	170	73	77	30 (6)
პიზეკ ზმუ	9	09.04.80	177	86	10	10 (2)
ეუან რედან	9	20.10.80	178	81	3	- (-)
რონან ოგარა	10	07.03.77	180	85	73	760 (14)
ჯეფი ვოლის	10	27.08.79	175	86	5	43 (1)
გორდონ დარსი	შ	10.02.80	178	88	32	20 (4)
ბრაიან ოდრისკოლ	შ	21.01.79	180	94	75	157 (29)
ენდრიუ თრიგგლ	შ	20.10.84	186	96	17	35 (7)
ბრაიან ქერნი	გ	23.07.76	180	90	4	5 (1)
დენის ჰიჰი	გ	13.02.76	189	96	59	147 (29)
შეინ ჰორგან	გ	18.07.78	196	104	55	100 (20)
ჯერდან მერფი	გ	19.04.78	183	90	50	93 (17)
გირვან დემპსი	15	02.10.75	188	92	75	85 (17)
გევინ დაფი	15	18.09.81	186	92	7	18 (3)

მწვრთნელი ედი ოსალივანი

ნამიბია

	პოზ	დაბ	სიმ	წონ	ქეპი	ქულა (ლ)
სქიპერ ბადენჰორსტ	I	01.12.78	181	98	2	- (-)
ჯუგო ჰორნ	I	09.05.77	182	104	20	10 (2)
იოვანეს მაიერ	I	19.02.81	190	125	12	- (-)
იანე დიუტუა	I	08.02.68	187	112	5	5 (-)
კეეს ლენსინკ	I	01.06.78	191	122	8	5 (1)
იონი რედელინხაიის	I	07.02.84	178	115	8	- (-)
მარიუს ფისერ	I	24.04.82	190	140	5	5 (1)
ნიკო ესტერჰიზე	II	05.03.84	204	108	8	- (-)
დომინგო კამონგა	II	03.03.74	187	102	6	- (-)
უაკაზუვაკა კაზომგიაზე	II	25.01.79	199	102	7	- (-)
ჰანონ სენეკალ	II	10.10.75	200	118	24	10 (2)
ჭაკ ბურგერ	III	29.07.83	188	100	12	15 (3)
თინუს დიუპლესი	III	20.05.85	189	102	8	10 (2)
ჰერმან ლინკფელტ	III	06.09.76	193	104	30	45 (9)
მაიკლ მაკკენზი	III	13.09.83	183	95	4	22 (4)
ჭაკ ნიუვენჰაის	III	33.03.80	178	99	5	10 (2)
იუჯინ იანჩის	9	10.08.86	180	85	-	- (-)
იური ფანტონდერ	9	09.04.80	184	80	-	- (-)
მორნე შრიოდერ	10	05.09.79	183	84	17	143 (4)
ედილ ვესელს	10	27.06.79	180	85	11	49 (-)
ლიუ-ვეინ ბოუთს	შ	14.07.83	189	89	7	10 (2)
დუვრაუნ ხროგლერ	შ	08.06.77	182	93	23	50 (10)
ბრედლი ლანგენჰოვენ	შ	03.12.83	191	89	1	5 (1)
პიტ ფანზილ	შ	14.03.79	191	95	1	- (-)
რინა ვიტბუი	შ	07.09.85	191	88	10	5 (1)
მელრიკ აფრიკა	გ	18.01.78	182	89	19	62 (12)
ჰანრიხ ბოშ	გ	28.12.81	180	77	11	15 (3)
იონ დროცკი	გ	06.06.84	178	83	1	- (-)
დიონ მოუტონ	გ	20.11.74	184	96	23	30 (6)
ტერტიუს-კლოდ ლოსპერ	15	22.11.85	185	90	5	19 (-)

მწვრთნელი ჰაის ჰუსელმან

მსოფლიო თასის VI გათამაშება
7 სექტემბერი-20 ოქტომბერი, 2007
საფრანგეთი (უელსი, შოტლანდია)

07 სექ, პარ	**23:00**	**საფრანგეთი-არგენტინა**	**D**	**სენ დენი**	**01**
08 სექ, შაბ	**15:45**	**ზელანდია-იტალია**	**C**	**მარსელი**	**02**
08 სექ, შაბ	17:45	ავსტრალია-იაპონია	B	ლიონი	03
08 სექ, შაბ	20:00	ინგლისი-აშშ	A	ლანსი	04
09 სექ, კვი	16:00	უელსი-კანადა	B	ნანტი	05
09 სექ, კვი	**18:00**	**სამხ. აფრიკა-სამოა**	**A**	**პარიზი**	**06**
09 სექ, კვი	20:00	შოტლანდია-პორტუგალია	C	სენტ ეტიენი	07
09 სექ, კვი	22:00	ირლანდია-ნამიბია	D	გორდო	08
11 სექ, სამ	**22:00**	**არგენტინა-საქართველო**	**D**	**ლიონი**	**09**
12 სექ, ოთხ	16:00	აშშ-ტონგა	A	მონპელიე	10
12 სექ, ოთხ	20:00	იაპონია-ფიჯი	B	ტულუზი	11
12 სექ, ოთხ	**22:00**	**იტალია-რუმინეთი**	**C**	**მარსელი**	**12**
14 სექ, პარ	**23:00**	**ინგლისი-სამხ. აფრიკა**	**A**	**სენ დენი**	**13**
15 სექ, შაბ	15:00	ზელანდია-პორტუგალია	C	ლიონი	14
15 სექ, შაბ	**17:00**	**უელსი-ავსტრალია**	**B**	**კარდიფი**	**15**
15 სექ, შაბ	**23:00**	**ირლანდია-საქართველო**	**D**	**გორდო**	**16**
16 სექ, კვი	16:00	ფიჯი-კანადა	B	კარდიფი	17
16 სექ, კვი	18:00	სამოა-ტონგა	A	მონპელიე	18
16 სექ, კვი	**23:00**	**საფრანგეთი-ნამიბია**	**D**	**ტულუზი**	**19**
18 სექ, სამ	**23:00**	**შოტლანდია-რუმინეთი**	**C**	**ედინბურგი**	**20**
19 სექ, ოთხ	22:00	იტალია-პორტუგალია	C	პარიზი	21
20 სექ, ხუთ	23:00	უელსი-იაპონია	B	კარდიფი	22
21 სექ, პარ	**23:00**	**საფრანგეთი-ირლანდია**	**D**	**სენ დენი**	**23**
22 სექ, შაბ	16:00	სამხ. აფრიკა-ტონგა	A	ლანსი	24
22 სექ, შაბ	**18:00**	**ინგლისი-სამოა**	**A**	**ნანტი**	**25**
22 სექ, შაბ	23:00	არგენტინა-ნამიბია	D	მარსელი	26
23 სექ, კვი	16:30	ავსტრალია-ფიჯი	B	მონპელიე	27
23 სექ, კვი	**19:00**	**შოტლანდია-ზელანდია**	**C**	**ედინბურგი**	**28**
25 სექ, სამ	20:00	კანადა-იაპონია	B	გორდო	29
25 სექ, სამ	22:00	რუმინეთი-პორტუგალია	C	ტულუზი	30
26 სექ, ოთხ	**20:00**	**საქართველო-ნამიბია**	**D**	**ლანსი**	**31**
26 სექ, ოთხ	22:00	სამოა-აშშ	A	სენტ ეტიენი	32
28 სექ, პარ	23:00	ინგლისი-ტონგა	A	პარიზი	33
29 სექ, შაბ	**15:00**	**ზელანდია-რუმინეთი**	**C**	**ტულუზი**	**34**
29 სექ, შაბ	17:00	ავსტრალია-კანადა	B	გორდო	35
29 სექ, შაბ	19:00	უელსი-ფიჯი	B	ნანტი	36
29 სექ, შაბ	**23:00**	**შოტლანდია-იტალია**	**C**	**სენტ ეტიენი**	**37**
30 სექ, კვი	**17:00**	**საფრანგეთი-საქართველო**	**D**	**მარსელი**	**38**
30 სექ, კვი	19:00	ირლანდია-არგენტინა	D	პარიზი	39
30 სექ, კვი	22:00	სამხ. აფრიკა-აშშ	A	მონპელიე	40
06 ოქტ, შაბ	**17:00**	**B1 - A2**	**1/4**	**1**	**მარსელი**	**41**
06 ოქტ, შაბ	**23:00**	**C1 - D2**	**1/4**	**2**	**კარდიფი**	**42**
07 ოქტ, კვი	**17:00**	**A1 - B2**	**1/4**	**3**	**მარსელი**	**43**
07 ოქტ, კვი	**23:00**	**D1 - C2**	**1/4**	**4**	**სენ დენი**	**44**
13 ოქტ, შაბ	**23:00**	**1/4 1 - 1/4 2**		**1/2**	**სენ დენი**	**45**
14 ოქტ, კვი	**23:00**	**1/4 3 - 1/4 4**		**1/2**	**სენ დენი**	**46**
19 ოქტ, პარ	**23:00**	**მესამე ადგილისთვის**			**პარიზი**	**47**
20 ოქტ, შაბ	**23:00**	**ფინალი**			**სენ დენი**	**48**

საქართველოს დროით. მუქად - ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე



ირაკლი აბუსერიძე
25 ნოემბერი, 1977, თბილისი
9 ნომერი. ორლეანი (საფ)
175 სმ, 81 კგ
44 კეპი, 20 ქულა (4 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



ბიძინა სამხარაძე
2 ოქტომბერი, 1983, თბილისი
9 ნომერი. კონსტანცა (რუმ)
170 სმ, 80 კგ
25 კეპი, 10 ქულა (1 ლელო)



მერაბ კვირიკაშვილი
27 დეკემბერი, 1983, თბილისი
10 ნომერი. პო (საფ)
177 სმ, 80 კგ
20 კეპი, 72 ქულა (2 ლელო)
4 თამაში მსოფლიო თასზე



პაველ ჯიმშელაძე
8 ივლისი, 1975, რუსთავი
10, 15 ნომერი. არასი (საფ)
181 სმ, 88 კგ
56 კეპი, 320 ქულა (9 ლელო)
4 თამაში მსოფლიო თასზე



ირაკლი გიორგაძე
1 ივლისი, 1982, ქუთაისი
შუამარბ. დაქსი (საფ)
188 სმ, 105 კგ
27 კეპი, 16 ქულა (2 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



რევაზ გიგაური
9 მაისი, 1984, სტეფანწმინდა
შუამარბ. მონლუსონი (საფ)
190 სმ, 88 კგ
11 კეპი



დავით კაჭარავა
16 იანვარი, 1985, თბილისი
შუამარბ. ბასტია (საფ)
184 სმ, 88 კგ
12 კეპი, 5 ქულა (1 ლელო)



მალხაზ ურჯუკაშვილი
24 სექტემბერი, 1980, თბილისი
შუამ./გარემ. ორიაკი (საფ)
178 სმ, 80 კგ
51 კეპი, 272 ქულა (15 ლელო)
3 თამაში მსოფლიო თასზე



ირაკლი მაჩხანელი
18 ივლისი, 1981, თბილისი
გარემარბ. მონ დე მარსანი (საფ)
187 სმ, 97 კგ
24 კეპი, 45 ქულა (9 ლელო)
4 თამაში მსოფლიო თასზე



ოთარ ბარკალაია
17 თებერვალი, 1984, თბილისი
15 ნომერი. ფიჟაკი (საფ)
175 სმ, 75 კგ
23 კეპი, 14 ქულა



გიორგი შკინინი
7 მარტი, 1983, თბილისი
გარემარბი. ბლუა (საფ)
180 სმ, 87 კგ
19 კეპი, 20 ქულა (4 ლელო)



გიორგი ელიზბარაშვილი
24 იანვარი, 1984, თბილისი
გარემარბი. კრასნოიარსკი (რუს)
185 სმ, 85 კგ
14 კეპი, 2 ქულა

ოთარ ელოშვილი
15 ნოემბერი, 1978, სტეფანწმინდა
გარემარბი. არასი (საფ)
187 სმ, 103 კგ
9 კეპი, 10 ქულა (2 ლელო)
1 თამაში მსოფლიო თასზე



გესიკ ხამაშურიძე
14 აპრილი, 1977, ქუთაისი
გარემარბი. კანი (საფ)
196 სმ, 100 კგ
49 კეპი, 55 ქულა (11 ლელო)
4 თამაში მსოფლიო თასზე

ევროგასკეტი 2007

ვინ არის ფავორიტი?

მიილია ევროფორუმის პირველი ჯგუფური ეტაპი და როგორც არ უნდა მოვინდომოთ, დასკვნების გამოტანა მაინც ჭირს. მართალია, ყველა გუნდის სუსტსა და ძლიერ მხარეებზეა შესაძლებელი საუბარი, მაგრამ მაინც ასე გვგონია, რომ ტურნირის მონაწილეები თავიანთ რეალურ ძალას მეორე ჯგუფური ეტაპიდან გამოავლენენ.

ბოლო დღეს რუსეთმა მესამე მატჩიც მოიგო, თანაც სუსტი ისრაელის მერე, მოქმედი ჩემპიონი საბერძნეთი დაამარცხა, ლიტვამ კი ძალიან ლამაზ და ფეერულ შეხვედრაში მაინც დასცა გერმანია, რომელსაც მარტო **დირკ ნოვიცკი** აღარ ეყო. მთავარი სენსაცია სევილიაში დაფიქსირდა, სადაც ხორვატიამ ჩემპიონატის მასპინძელსა და უმთავრეს ფავორიტ ესპანეთს ბოლოსწინა წამზე **მარკო ტომასის** სამიანით აჯობა. ჰო, საფრანგეთი რომ სლოვენიასთან დამარცხდა, ეს მეტწილად ერთი სერიოზული უკანახაზელის მცირე უზუსტობამაც გამოიწვია.

მოკლედ, დავიწყოთ. თავდაპირველად სლოვენიისა და საფრანგეთის შეხვედრის შესახებ. ამ გუნდებს ჯგუფში პირველ ადგილზე გამსვლელის ვინაობა უნდა გაერკვიათ.

სლოვენია კარგი, შეკრული გუნდია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, **რაშო ნესტეროვიჩსა** და კომპანიას ისეთივე ფავორიტად არ მიიჩნევენ, როგორც ესპანეთს, საბერძნეთსა და საფრანგეთს.

ამ მატჩში ფრანგებს არ გაუმართლათ, რადგან ბოლო წუთზე გუნდს გამარჯვების მოპოვების ყველანაირი შანსი ჰქონდა, ხოლო მეორე მეოთხედში კი, "მამლებს" მარჯვენა მხარის ტრავმის გამო იმ მომენტისთვის შეხვედრის საუკეთესო მეკუთე, "ლეიკერსის" **რონი ტურიაფი** გამოაკლდათ.

სლოვენიელებს კი გმირად **ლორბეკი**, ოღონდ არა გამოცდილი **ერაზმი**, არამედ მისი უმცროსი ძმა, **დომენი** მოევლინათ. 22 წლის მსროლელმა თამაშიდან ხუთივე სროლა გამოიყენა და ამდენივე საჯარიმოდან მხოლოდ ერთი ვერ შეასრულა ზუსტად.

თამაშის დასრულებამდე 54 წამით ადრე, საფრანგეთი 65:64 იგებდა, როდესაც **ტონი პარკერმა** სამიანი გააფუჭა, ხოლო **ტარიკ კირკსეი** კი დომენ ლორბეკზე დაჯარიმდა. სლოვენიელმა ორიდან ერთი ჯარიმა გამოიყენა, რასაც ფრანგების წუთშესვენება მოჰყვა.

მორიგი არაზუსტი სროლა, ამჯერად კირკსეის შესრულებით და **ფლორან პიეტრუსი** კვლავ დომენზე იღებს ჯარიმას. ძირითადის ჩამთავრებას 11 წამი უკლია და უმცროსი ლორბეკი ორივე სროლას უშეცდომოდ ასრულებს. ფრანგების ბოლო შეტევა პარკერზე ჯარიმით მთავრდება.

"სპურსის" ვარსკვლავი პირველ ჯერზე ზუსტია, მეორე სროლის მერე კი, ბურთი კალათს რამდენიმე წრეს უვლის და... სლოვენია მატჩს თავის სასარგებლოდ ასრულებს. ფრანგების მთავარი დამრტყმელი ძალა მატჩის ანტიგმირად იქცა, თუმცა 25 ქულით მაინც გახდა შეხვედრის საუკეთესო სნაიპერი. ტონიმ 14 საჯარიმოდან 10 შეასრულა ზუსტად.

"მძიმე მატჩი იყო და სიმართლე გითხრათ, როდესაც ბოლო წამზე ჯარიმა ტონიზე ავიკიდეთ, უკვე ოვერტაიმისთვის მზადება დავიწყე. საბედნიეროდ, პარკერმა მეორე სროლა გააფუჭა და მძიმე მეორე ეტაპის წინ, მცირე ენერგია მაინც დავზოგეთ", - ამბობდა ნამატჩევს სლოვენიელთა კაპიტანი ნესტეროვიჩი, რომელმაც 9 სროლიდან 3 გამოიყენა. ფრანგებმა კი 10 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ 3 ჩააგდეს.

• • •

ხორვატიის მოგებით, მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება პორტუგალიამ მოიპოვა, ისე კი, საუკეთესო 12 გუნდში, პირველ ტურში ხორვატთა მძლეველი ლატვია გავიდოდა.

ძირითადის ამოწურვას სულ რაღაც 3.1 წამი რომ უკლდა, მარკო ტომასმა სამიანით სევილიის დარბაზში შეკრებილი მასპინძელთა ფანები დაადუმა და **ჯასმინ რეპეშას** გუნდიც ტურნირის მთავარი მოულოდნელობის შემოქმედი გახადა.

ხორვატებმა ნაწილობრივ მაინც აიღეს რევანში ესპანეთთან 2005 წლის ევროპის პირველობის მეოთხედფინალში მარცხისთვის (**პაუ გასოლისა** და **ხორხე გარბახოსას** არაჩვეულებრივი თამაშით, ესპანეთმა ბელგრადული შეხვედრა ჯერ დამატებით დროში გადაიყვანა, მერე კი მეტოქე 101:85 დაამარცხა), თუმცა თუნდაც ეს შედეგი ამ გუნდების საამტურნირო სტატუსს არ ცვლის - გასოლის გუნდი ოქროს მთავარი ფავორიტია, ხორვატიას კი ალბათ, მეოთხედფინალში გასვლაც წარმატებად უნდა ჩაეთვალოს.

რეპეშას გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ 40:50 ჩამორჩა ესპანეთს, თუმცა 10:2 გაქცევა გააკეთა და ანგარიში მალე 60:60 გახდა. ხორვატები უპირატესობას დაეუფლნენ და ჯერ **მარკო ბანიჩმა** გაისროლა შორიდან ზუსტად, მერე კი, მანვე ორიანიც დაამატა და ხორვატები წინ გაიდლნენ - 76:70.

ამან უკვე ესპანეთი გამოაფხიზლა და გასოლმა **ფელიპე რეიესთან** ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი სროლა გამოიყენა, ხოლო ფავორიტი კი საფინალო სირენამდე 33 წამით ადრე წინ გავიდა - 84:79.

ხორვატებმა წუთშესვენება აიღეს. თამაში განახლდა და **დავორ კუსმა** სამიანით დაიქუხა. შეგირდებისთვის აუცილებელი რჩევა-დარიგების მიცემას, ახლა უკვე ესპანელთა სამწვრთნელო შტაბი იწყებს.

ესპანეთი შეტევისთვის განკუთვნილ დროს ბოლომდე იყენებს, მაგრად **რუდი ფერნანდესის** ფორსირებული სროლა არაზუსტი აღმოჩნდა. ხორვატები თამაშს აღარ აჩერებენ და როგორც ზემოთ გიამბეთ, ტომასმა სამიანით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 85:84 ხორვატიის სასარგებლოდ.

"მეგონა, რომ პირველ ორ მატჩში ნაჩვენები დამაჯერებელი თამაშის მერე, ხორვატიასთან ნაკლები პრობლემა შეგვექმნებოდა, თუმცა ერთი წაგება ბევრს არაფერს ნიშნავს. ერთადერთი, ვინც წაგებული დარჩა, ეს ჩვენი გულშემატკივარია, რომელსაც შემდეგ მატჩებში ამაზე გაცილებით აგრესიულ გამოსვლას ვპირდებით", - ასე შეაფასა შეხვედრა გასოლმა. "მემფის გრიზლისის" მძიმე ფორვარდმა მატჩი 14-დან 9 ზუსტი სროლით დაასრულა.

ზურაბ თალაკვაძე

A ჯგუფი

რუსეთი–საბერძნეთი 61:53

15:8, 10:14, 19:16, 17:15

რუსეთი: ჰოლდენი (17 ქ. 2 პ), ხრიაპა (13 ქ. 5 მ. 3 ჩ), კირილენკო (12 ქ. 17 მ).

საბერძნეთი: სპანულისი (12 ქ), ზისისი (9 ქ. 3 ჩ), პაპალუკასი (8 ქ. 5 მ), დიამანტიდისი (8 ქ. 3 მ. 2 ჩ).

ისრაელი–სერბეთი 87:83

16:23, 20:22, 25:15, 26:23

ისრაელი: ი. გრინი (26 ქ. 12 მ), ჰალპერინი (17 ქ. 2 პ), ტაპირო (11 ქ. 4 ჩ. 3 მ), ჰნინი (11 ქ), რობერტსი (9 ქ).

სერბეთი: გუროვიჩი (19 ქ. 3 მ. 3 ჩ), მილიჩიჩი (18 ქ. 13 მ. 4 დ), იარიჩი (11 ქ. 6 პ. 3 ჩ. 2 მ).

	მ/წ	ქ
1. რუსეთი	3-0	6
2. საბერძნეთი	2-1	5
3. ისრაელი	1-2	4
4. სერბეთი	0-3	3

B ჯგუფი

პორტუგალია–ლატვია 77:67

17:9, 11:15, 27:20, 22:23

პორტუგალია: სანტოში (14 ქ. 8 მ), ფერნანდესი (14 ქ), კოელიო (12 ქ), ჟორდაო (11 ქ. 7 მ. 3 ჩ), ევორა (9 ქ. 5 მ).

ლატვია: იანიცენკსი (21 ქ), ბიედრინში (14 ქ. 18 მ. 3 დ), სკელე (7 ქ. 4 პ. 3 ჩ).

ხორვატია–ესპანეთი 85:84

21:28, 19:22, 27:15, 18:19

ხორვატია: მ. პოპოვიჩი (18 ქ. 2 ჩ), ტომასი (13 ქ. 4 მ. 2 ჩ), ბანიჩი (12 ქ. 9 მ), პლანინჩიჩი (10 ქ. 5 მ. 3 პ), კუსი (10 ქ), კასუნი (8 ქ. 8 მ).

ესპანეთი: პ. გასოლი (26 ქ. 4 მ), რ. ფერნანდესი (14 ქ. 3 პ), რეიესი (10 ქ.10 მ. 2 დ), კალდერონი (10 ქ).

	მ/წ	ქ
1. ხორვატია	2-1	5
2. ესპანეთი	2-1	5
3. პორტუგალია	1-2	4
4. ლატვია	1-2	4

C ჯგუფი

ლიტვა–გერმანია 84:80

30:17, 19:15, 19:25, 16:23

ლიტვა: დ. ლავრინოვიჩი (18 ქ. 5 მ. 2 ჩ), იასიკევიჩუსი (15 ქ. 10 პ. 4 მ), შიშკაუსკასი (13 ქ. 6 მ), სონგაილა (11 ქ. 3 მ), კლეიზა (10 ქ), კაუკენასი (9 ქ. 9 მ).

გერმანია: ნოვიცკი (28 ქ. 9 მ. 2 დ), 12 ქ. 7 მ), გარეტი (10 ქ. 3 მ), როლერი (8 ქ).

თურქეთი–ჩეხეთი 80:72

28:15, 18:16, 13:18, 21:23

თურქეთი: თურქოღლუ (22 ქ. 5 მ. 3 პ), ქუთლუაი (17 ქ. 3 ჩ), ოქური (16 ქ. 10 მ), ფექერი (7 ქ).

ჩეხეთი: ბარტონი (22 ქ. 4 მ. 4 პ), ბენდა (14 ქ. 4 მ), ვრუბლი (9 ქ. 4 მ), ველში (5 ქ. 5 მ).

	მ/წ	ქ
1. ლიტვა	3-0	6
2. გერმანია	2-1	5
3. თურქეთი	1-2	4
4. ჩეხეთი	0-3	3

D ჯგუფი

სლოვენია–საფრანგეთი 67:66

16:18, 15:21, 21:17, 15:10

სლოვენია: სმოდიში (15 ქ. 6 მ), დ. ლორბეკი (15 ქ. 4 მ. 3 პ), ნესტეროვიჩი (12 ქ. 4 მ. 2 დ), იაგოდნიკი (12 ქ. 5 მ).

საფრანგეთი: პარკერი (25 ქ. 2 პ), ტურიაფი (13 ქ. 5 მ. 3 დ), დიაო (6 ქ. 4 მ).

პოლონეთი–იტალია 70:79

16:14, 19:27, 22:23, 13:15

პოლონეთი: პლუტა (15 ქ), ვოიჩიკი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), კოზარეკი (10 ქ. 11 პ. 4 მ. 2 ჩ), ვიტკა (9 ქ).

იტალია: ბელინელი (20 ქ. 3 მ), ბარნიანი (19 ქ. 7 მ), ბაზილე (12 ქ. 3 მ), ბულერი (10 ქ. 8 პ. 6 მ).

	მ/წ	ქ
1. სლოვენია	3-0	6
2. ესპანეთი	2-1	5
3. იტალია	1-2	4
4. პოლონეთი	0-3	3

II ეტაპი

E ჯგუფი

7 სექტემბერი

პორტუგალია–რუსეთი
ესპანეთი–საბერძნეთი
ისრაელი–ხორვატია

9 სექტემბერი

რუსეთი–ესპანეთი
პორტუგალია–ისრაელი
საბერძნეთი–ხორვატია

11 სექტემბერი

ხორვატია–რუსეთი
საბერძნეთი–პორტუგალია
ესპანეთი–ისრაელი

	მ/წ	ქ
1. რუსეთი	2-0	4
2. ხორვატია	2-0	4
3. ესპანეთი	1-1	3
4. საბერძნეთი	1-1	3
5. ისრაელი	0-2	2
6. პორტუგალია	0-2	2

F ჯგუფი

8 სექტემბერი

იტალია–ლიტვა
საფრანგეთი–გერმანია
თურქეთი–სლოვენია

10 სექტემბერი

ლიტვა–საფრანგეთი
იტალია–თურქეთი
გერმანია–სლოვენია

12 სექტემბერი

სლოვენია–ლიტვა
გერმანია–იტალია
საფრანგეთი–თურქეთი

	მ/წ	ქ
1. ლიტვა	2-0	4
2. სლოვენია	2-0	4
3. გერმანია	1-1	3
4. საფრანგეთი	1-1	3
5. იტალია	0-2	2
6. თურქეთი	0-2	2

ხორვატიამ სევილიაში მასპინძელს მოუგო

შარუნას იასიკევიჩუსი

ტრანსფერი

შარასმა ელადა პირჩია

ერთბაშად ორი წყარო ადასტურებს, რომ ლიტვის ნაკრების ლიდერი **შარუნას იასიკევიჩუსი** "ოლიმპიაკოსში" გადავიდა. ამ ინფორმაციას ესპანური გაზეთი "მარკა" და ისრაელის ინტერნეტ-პორტალი Y-net ავრცელებენ.

31 წლის იასიკევიჩუსმა ბერძნულ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში დაახლოებით 30 მილიონ დოლარს მიიღებს.

როგორც "მარკა" წერს, ამ დღეებში იასიკევიჩუსმა და მისმა აგენტმა კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკებები NBA-ის კლუბ "გოლდენ სტეიტთან". ცნობილია, რომ შარასს არ აეწყო "უორიორზში" კარიერა. ამ კლუბში ის საშუალოდ 15 წუთს თამაშობდა და 6.1 ქულას აგროვებდა.

"მარკა" იმასაც იტყობინება, რომ იასიკევიჩუსს "ბარსელონაც" ეპატიჟებოდა, მაგრამ ლიტველმა საბერძნეთში არჩია კარიერის გაგრძელება, მით უმეტეს, რომ ესპანელების წინადადება ფინანსურად უფრო წამგებიანი იყო.

შეგახსენებთ, რომ "ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი **პინი გერშონი** გახლავთ. 2003-05 წლებში ეს სპეციალისტი და იასიკევიჩუსი წარმატებით თანამშრომლობდნენ თელ-ავივის "მაკაბიში". მაშინ ისრაელის გუნდმა ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროლიგა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

კობი ნასვლაზე ფიქრობს

ბოლო პერიოდში, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი აღარ საუბრობს სხვა კლუბში გადასვლაზე. მიუხედავად ამისა, გაზეთი Chicago Tribune იუწყება, რომ პირად საუბრებში კობი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ "ლეიკერსის" დატოვება აქვს განზრახული.

მიუხედავად ბრაიანტის სურვილისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრეიდი უახლოეს დროში ან საერთოდაც, ახალი სეზონის მსვლელობისას განხორციელდეს. საყოველთაო პროგნოზების მიხედვით, "ლეიკერსი" ბრაიანტს მხოლოდ მომავალ ზაფხულში გაუშვებს, როცა კლუბის მთავარ მწვრთნელს **ფილ ჯექსონს** კონტრაქტის ვადა ამოეწურება.

ამერიკული პრესა თვლის, რომ კობიზე პრეტენზიას პირველ რიგში, "ნიუ იორკ ნიქსი" და "ჩიკაგო ბულზი" გამოთქვამენ, თავად კალათბურთელს კი, "ჩიკაგოში" ურჩევნია კარიერის გაგრძელება.

ავტოსპორტი

კარტინგი

შუმახერი ჩემპიონობას აპირებს

წითელი ბარონი კარტინგის მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს

დაახლოებით ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც **მიხაელ შუმახერმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. და აი, მას შემდეგ პირველად, ლეგენდარულმა პილოტმა ტრასაზე დაბრუნება გადაწყვიტა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ბელგიაში, ფანიეს ავტოდრომზე კარტინგის მსოფლიო ჩემპიონატში პირველობისთვის იბრძოლებს. ეს რბოლა 20-23 სექტემბერს, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) ეგიდით გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ "ფერარის" პილოტმა **ფელიპე მასამ** უფრო ადრე განაცხადა, რომ შუმახერი კარტინგის რბოლაში ბრაზილიაშიც იასპარეზებს. ეს 24-25 ნოემბერს მოხდება. ასე რომ, გერმანელი ამ სეზონის ბოლოს, საკმაოდ აქტიურად აპირებს რბოლებში მონაწილეობას.

ამასობაში, მიხაელ შუმახერმა თავისი პრიზების კოლექცია კიდევ ერთით შეავსო. მან ასტურიის პრინცის პრიზი მიიღო, რომელიც ესპანეთში უმაღლეს სპორტულ ჯილდოდ ითვლება. 38 წლის შუმი არა მარტო თავისი სპორტული წარმატებებისთვის, არამედ სხვადასხვა ჰუმანიტარული თუ საქველმოქმედო აქციებისთვის და ინვალიდთა შორის სპორტის განვითარებისთვის გახდა ლაურეატი.

მიხაელ შუმახერი

სკანდალი

სტეპნი საბოტაჟში ამხილეს

ყოფილი ინჟინერი ფერარის ავზებში გაურკვეველ ფხვნილს ჰყრიდა


ნაიჯელ სტეპნი

"მაკლარენისა" და "ფერარის" შორის ატეხილმა ჯაშუშურმა სკანდალმა ახალი გაგრძელება ჰპოვა. კერძოდ, იტალიის მთავრობამ "ფერარის" ყოფილი ინჟინრის, **ნაიჯელ სტეპნის** მხრიდან ჯაშუშობის და საბოტაჟის დამამტკიცებელი საბუთები მიიღო და ქალაქ მოდენას პროკურორი **ჯუზეპე ტიბისი** ბრიტანელს ოფიციალურად წაუყენებს ბრალს.

შეგახსენებთ, რომ ინჟინერი ეჭვმიტანილია "ფერარის" საიდუმლო დოკუმენტების "მაკლარენისთვის" გადაცემაში. გარდა ამისა, გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ სტეპნი "ფერარის" ბოლიდების ავზებში შეგნებულად ყრიდა რაღაც ფხვნილს, რათა ბენზინის ხარისხი გაეფუჭებინა. ეს ფხვნილი "ფერარის" წარმომადგენლებმა ავზების სახურავებზე მიმობნეული აღმოაჩინეს და სწორედ ეს ნივთიერება უპოვნეს სტეპნის ჯიბეში.

"ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სწორედ სტეპნიმ ჩაყარა ავზებში ფხვნილი, რათა საწვავი გაეფუჭებინა", - აცხადებს ჯუზეპე ტიბისი.

ველოსპორტი

ვუელტა

ფრეირემ ჰეთ-თრიკი შეასრულა

მიმდინარე ვუელტას სპრინტერულ ეტაპებზე ბადალი არ ჰყავს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ესპანელ **ოსკარ ფრეირეს**. ხუთიდან სამი სპრინტი სწორედ მან მოიგო, ორში კი მეორე ადგილი დაიკავა. მესამე გამარჯვება მან გუშინ, მეექვსე ეტაპზე მოიპოვა.

თუ წინა ეტაპზე პელოტონს სერიოზული სამთო მონაკვეთის შემდეგ მოუწია ფინიშმა, ამჯერად გზა მეტწილად სწორი იყო. ეგაა, მოასპარეზეებს საქმეს ძლიერი სიცხე და შიგადაშიგ ქარიც უშლიდა ხელს.

ეტაპი ახალი დაწყებული იყო, რომ პელოტონი ესპანელმა **ხოსე ანტონიო ლოპეს ხილმა** ჩამოიტოვა. მალე მას გვერდში გიგანტური შვედი **მაგნუს ბაქსტედტი** ამოუდგა. კიდევ ცოტა ხანში დაწინაურებულებს ორი ველომრბოლი - უკრაინელი **იური კრისტოვი** და ფრანგი **სტეფან ოჟიც** დაეწია. პელოტონთან ამ ოთხი ველომრბოლის უპირატესობამ მალე რვა წუთს მიაღწია.

სამი გუნდის - "ქვიკსტეპის", "კაისე დ'ეპარნისა" და "მილრამის" წევრთა მცდელობით, ფინიშამდე რვა კილომეტრით ადრე, პელოტონმა ერთიანობა აღიდგინა. მერე საქმეში ძლიერი შემხვედრი ქარი ჩაერთო, რამაც პელოტონი სამ ძირითად ჯგუფად დაშალა. ამ მომენტში "ტე-მობილის" ველომრბოლები აქტიურობდნენ, რომლებსაც ხელსაყრელ პოზიციაზე თავიანთი სპრინტერის, გერმანელი **ანდრე კორფის** გაყვანა სურდათ, მაგრამ საქმეში "მილრამის მატარებელი" ჩაერთო, რომელმაც მოწინავეებში თავისი ორი ძლიერი სპრინტერი - იტალიელი **ალესანდრო პეტაკი** და გერმანელი **ერიკ ცაბელი** გაიყვანა.

პელოტონი რომ ბოლო კილომეტრს შეუყვა, წინ ბელგიელი **ტომ ბოონენი** გაიჭრა, ვისაც კორფი და ესპანელი **კოლდო ფერნანდესი** გაჰყვა. მაგრამ შემდეგ აჩქარება ფრეირემაც ინება, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ ეტაპზე ბადალი არ მოეპოვება. მან ჯერ შეტევისთვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა, შემდეგ კი სპურტი წამოიწყო და ფინიშამდე წინ აღარავინ გაუშვია.

"ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მოგება არავის სურდა, მეც კი. ვიცოდი, რომ თუ საქმე სპრინტზე მიდგებოდა, გამარჯვება ძალიან გაჭირდებოდა, რადგან პელოტონში ძალიან ძლიერი სპრინტერები არიან. როცა ქარია, სპურტი ყველაზე უკეთ პეტაკის და ბოონენს გამოსდით, მაგრამ ამჯერად, ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე მივხვდი, რომ მოგება შემეძლო და ეს შანსიც გამოვიყენე", - განაცხადა ფრეირემ.

მორიგ, მერვე ეტაპზე, კვლავ სპრინტერებს შეუძლიათ თავის გამოჩენა, შემდეგ კი დროზე ინდივიდუალური რბოლის ჯერი დადგება, რომლის შემდეგაც, ალბათ ახალ ლიდერს ვიხილავთ.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-6 ეტაპი. რეინოსადან ლოგრონომდე (182 კმ)

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 4:24.10 (44.29 კმ/სთ); 2. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) იგივე დროში); 3. ანჯელო ფურლანი (იტალია, კრედიტ აგრიკოლი); 4. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 5. ანდრე კორფი (გერმანია, ტე-მობილი); 6. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი); 7. ორლენ კლერი (შვეიცარია, ბუჟე ტელეკომი); 8. ანდრე გრაიპელი (გერმანია, ტე-მობილი); 9. ფრანჩესკო კიკი (იტალია, ლიკიგაზი); 10. რონი მარტიასი (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 6 ეტაპის შემდეგ

1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 24:34.51; 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.06; 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.06; 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) 1.06; 5. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 1.06; 6. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 1.06; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1.28; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 1.33; 9. ეზეკილ მოსკრა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 1.36; 10. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 1.49...



ფრეირე მორიგ გამარჯვებას ზეიმობს

TV სპორტი

7 სექტემბერი. პარასკევი

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:12 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:40 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-ლანუსი (არგენტინა).
11:32 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
11:59 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
13:30 მინი-მოედანი.
13:46 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რასინგი.
15:31 ფეხბურთი. Barca TV.
15:40 სპორტკლუბი.
16:16 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
18:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მრავალჭიდი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:00 სპორტის ისტორია.
19:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მრავალჭიდი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
23:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:45 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დი სი იუნაიტედი-ჩივასი.
01:45 კრივი. რინგ-საიდი.
02:45 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-ლანუსი (არგენტინა).
04:30 სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
05:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
05:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რასინგი.
06:45 ფეხბურთი. Barca TV.

EUROSPORT

10:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. იტალია-გერმანია. თურქეთი.
12:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი.
14:00 ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები. ტიპიაა. ესტონეთი (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი.
16:30 ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. მამაკაცები. ოტეპიაა. ესტონეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. ვუელტა. VI ეტაპი.
17:45 ველოსპორტი. ვუელტა. VII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი.
22:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ს. კორეა.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
14:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-აზერბაიჯანი. თურქეთი (LIVE).
18:30 მულტისპორტი.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ბულგარეთი. თურქეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. იტალია-თურქეთი. თურქეთი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უნგრეთი-იტალია.
00:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-პოლონეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პრო-რესტლინგი.
03:45 ახალი ამბები.

სხვები ხაზი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

UNDER 17. 1/2 ფინალი

ნიგერია-გერმანია 3:1

ამხანაგური მატჩები

ვენეი-არაუ 0:1
ლინამო (ა)-მილანი 2:2

ინგლისი

კონფერენსი

სტეუორტი-პაისლიაქი 2:3

შველეთი

II დივიზიონი

სირიუსი-პაკენი 2:3

თურქეთის თასი

ბოლუსფორი-სამსუნი 3:2

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

ბულგარეთი-ხორვატია 3:2
ესპანეთი-სლოვენია 3:1
რუსეთი-ბელგია 3:0
სერბეთი-პოლანდია 3:0
საფრანგეთი-სლოვაკეთი 3:1
იტალია-ფინეთი 3:2

პოკერი

რუსეთი

ვეგასურგი (ნ)-ლოკომოტივი 1:1, დ.დ. 2:1
ავანგარდი-შვდ 3:3, დ.დ. 4:3
სიბირი-სევერსტალი 2:3
ბრაქმორი-ხიმკი 3:1
ვეგასურგი (მ)-სკა 3:4
ს. იულიაევი-ბორაველო 5:3
ლადა-ცსკა 3:5
ვიბიაზი-აკ ბარსი 1:3
სპარტაკი-დინამო 1:1, პენ. 2:3

გერმანია

კიოლნი-ჰამბურგი 6:3

ჩოგბურთი

ATP. აშშ-ის ღია

ფერერი-ჩელა 6:2, 6:3, 7:5

ჩოგბურთი

გარბინი პენეტამ შეცვალა

ორი დღის წინათ, ჩვენ გაგაცანით ფედერაციის თასის ფინალში რუსეთის ნაკრების შემადგენლობა. მოქმედი ჩემპიონი 15-16 სექტემბერს, ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს.

როგორც "როიტერი" იტყობინება, იტალიელთა რიგებში ერთი ცვლილება მოხდა. **ტატიანა გარბინის** ადგილი მსოფლიო კლასიფიკაციის 83-ე ნომერმა, **ფლავია პენეტამ** დაიკავა. გარბინი ნაკრებიდან იმის გამო გაუშვეს, რომ მოცემულ მომენტში ის არ არის ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში.

ასე რომ, იტალიელები მოსკოვში ასეთი შემადგენლობით ჩავლენ: **ფრანჩესკა სკიავონე, მარა სანტანჯელო, რობერტა ვინჩი** და ფლავია პენეტა.

პოკერი

ფრიზენმა ბელფურს მიბაძა

ლეგენდარული მეკარის, **ედ ბელფურის** შემდეგ, შვედეთის ლიგაში კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა NHL-ის და კანადის ნაკრების ან უკვე ყოფილმა ფორვარდმა **ჯეფ ფრიზენმა**.

შვედური გაზეთის Expressen-ის ცნობით, "კალგარის" თავდამსხმელი სწორედ იმ გუნდში გააგრძელებს კარიერას, სადაც ცოტა ხნის წინ ბელფური ჩაირიცხა. ეს კლუბი არის "ლეკსანდი".

კალათბურთი

რიდს მარიხუანა უპოვნეს

ოთხშაბათს, ღამით, ამერიკის პოლიციამ "მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი **ჯასტინ რიდი** დააკავა. კალათბურთელს მარიხუანას შენახვა ედება ბრალად.

რიდმა პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე საათი დაჰყო და შემდეგ ის გაანთავისუფლეს. სავარაუდოდ, ფორვარდს 100-დან 250 ათასამდე დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრება, რადგან მას ძალიან მცირე რაოდენობის ნარკოტიკი აღმოუჩინეს.

ვირტუსის ამერიკელი დისკვალიფიკაციით დასაჯეს

თითქმის ანალოგიური საქციელისთვის, გაცილებით მძიმე სასჯელი გამოუწერეს იტალიის "ვირტუსის" ამერიკელ მცველს **დევიდ ჰოუკინსს**.

ეს კალათბურთელი 5 ივლისს, ჯერ კიდევ გასული ფლეი ოფის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ დოპინგზე შეამოწმეს და მას ორგანიზმში მარიხუანის კვალი აღმოუჩინეს.

იტალიის საკალათბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ ჰოუკინსი სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ქალთა ლიგის MVP ავსტრალიელი გახდა

ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (WNBA) ხელმძღვანელობამ გასული რეგულარული სეზონი შეაჯამა და საუკეთესო მოთამაშედ "სიეტლის" ავსტრალიელი კალათბურთელი **ლორენ ჯექსონი** დაასახელა.

სხვათა შორის, ჯექსონმა MVP-ის ტიტული კარიერაში მეორედ მოიპოვა. პირველად ის 2003 წლის სეზონის შედეგების მიხედვით გამოარჩიეს. წლეულს, ლორენის სტატისტიკური მაჩვენებლები 23.9 ქულასა და 9.7 მოხსნას შეადგენდა. ამ კომპონენტებში ის სეზონის ლიდერი იყო.

გარდა ამისა, ჯექსონმა ლიგის ერთი რეკორდი დაამყარა. მან ყველაზე მეტ, ცხრა მატჩში შეძლო 30 ან მეტი ქულის დაგროვება.

NBA-ს მსაჯებს ვიდეოგამეორებები დაეხმარებათ

მომავალი სეზონიდან, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთი სიახლე დაინერგება. ლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2007-08 წლების რეგულარულ ჩემპიონატში მსაჯებს ვიდეოგამეორებების გამოყენება შეეძლებათ.

არბიტრები ვიდეორეფერის იმ შემთხვევებში მიმართავენ, თუ მოედანზე განსაკუთრებულ უხეშობას ან მოთამაშეებს შორის კონფლიქტს ექნება ადგილი. ახალი წესების თანახმად, მეორე უხეში დარღვევისთვის კალათბურთელი მატჩის ბოლომდე იქნება მოედნიდან გაგდებული.

პატერსონი კლიპერსში წავიდა

ოფიციალურად დადასტურდა ფორვარდ **რუბენ პატერსონის** "მილუოკიდან" "ლოს ანჯელეს კლიპერსში" ტრანსფერი. ეს კალათბურთელი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. "კლიპერსთან" ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, პატერსონმა კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - საშუალოდ მატჩში 14.7 ქულას აგროვებდა.

"მოხარულები ვართ, რომ რუბენმა ჩვენი გუნდი აირჩია. ეს კალათბურთელი ყოველ შეხვედრაში 100 პროცენტით იხარჯება, კარგად იცის დაცვაში თამაში და თავისი აგრესიულობით საბრძოლველად განაწყობს პარტნიორებს", - აცხადებს "კლიპერსის" ვიცე-პრეზიდენტი, ლეგენდარული **ელჯინ ბეილორი**.

ლოსანჯელესელთა სასტარტო ხუთეულის წევრმა, მძიმე ფორვარდმა **ელტონ ბრენდმა** 3 აგვისტოს აქილევსის მყესის ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვის გამოტოვება მოუწევს. 32 წლის პატერსონი სწორედ მის შემცვლელად მოიაზრება.

მილიჩიჩმა სერბეთი შეარცხვინა

ესპანეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, FIBA-ს სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი ევროთი დააჯარიმა სერბეთის ნაკრების ცენტრი **დარკო მილიჩიჩი**. ამის მიზეზი გახდა საბერძნეთთან ოვერტაიმში წაგებული მატჩის დროს კალათბურთელის უპრეცედენტო თავდასხმა არბიტრებზე.

მსაჯების მოქმედების კრიტიკისას, სერბი თავის გამონათქვამებს ვერ აკონტროლებდა. თავიდან, მილიჩიჩი "მხოლოდ" მსაჯების მოკვლით დაიმუქრა, მაგრამ შემდეგ ჩათვალა, ასეთი სასჯელი არასაკმარისი იქნებოდა და გამოაცხადა, რომ იპოვნიდა მსაჯების დედებსა და დებს და მათ სათითაოდ გაუსწორდებოდა. თუ როგორ, ამის მიხვედრა რთული არ იქნება.

სერბმა ჟურნალისტებმა აღიარეს, რომ მათ რცხვენიათ მილიჩიჩის საქციელის გამო. *"მან ჩვენი ქვეყანა და მთელი ჩვენი სპორტი შეარცხვინა"*, -განაცხადა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

ავტოსპორტი

ტოიოტა საგაისო შემადგენლობაზე ფიქრობს

თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში "ტოიოტას" პირველი პილოტი იტალიელი **იარნო ტრული** იქნება, ხოლო იაპონურ საჯინიბოში მეორე საპრიზო პილოტის ადგილზე რამდენიმე ავტომრბოლი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან: **ნიკო როსბერგი** ("უილიამსი"), **ტიმო გლოკი** ("BMW-ზაუბერის" ტეს-პილოტი), **კაზუკი ნაკაიამა** ("უილიამსის" ტესტ-პილოტი) და "ტოიოტას" ამჟამინდელი წევრი **რალფ შუმახერი**.

"გუნდის ახალი წევრის არჩევისთვის საკმაოდ კომფორტული სიტუაციაა შექმნილი. ჩვენ ვაანალიზებთ პილოტთა ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, ველოდებით ტრანსფერებს, რათა ვიცოდეთ, ვისზე შეგვიძლია აქცენტის გაკეთება. როსბერგის, გლოკის, ნაკაიამასა და შუმახერის გარდა, კიდევ არიან კანდიდატები, მაგრამ ახლა მათი გვარების დასახელება არ მსურს. რალფის მიმართ დიდი სიმპატიები მაქვს და ვიცი, როგორ უჭირს მას ამ სიტუაციაში, მაგრამ გუნდი საბოლოო არჩევანს სეზონის ბოლოსთვის გააკეთებს", - აცხადებს "ტოიოტა მოტოსპორტის" პრეზიდენტი **ჯონ ჰაუეტი**.

სპაიკერი სუტილისთვის იბრძოლებს

"სპაიკერის" დირექტორმა **კოლინ კოლესმა** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი გუნდი მომავალი სეზონისთვის გერმანელი პილოტის, **ადრიან სუტილის** შენარჩუნებას აპირებს.

"გუნდის მფლობელებს ადრიანის შესახებ ვესაუბრე და არ დავმალე, რომ ამ პილოტით სხვა გუნდები არიან დაინტერესებულნი. ჩვენთან ყველანი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ სუტილი მომავალი ვარსკვლავია და ვალდებულები ვართ ის შევინარჩუნოთ", - ამბობს კოლესი, რომელმაც ამავდროულად, უარჰყო გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს "სპაიკერი" **რალფ შუმახერის** გადაბირებას აპირებს.



ფედერერი აშშ-ის ღიას მეოთხე ტიტულისკენ მიიწევს

აშშ-ის ღია პირველობა

როჯერმა ენდიც გაასამტვერა

აშშ-ის ღია პირველობაზე ამ ეტაპზე ყველა შეხვედრა საინტერესოა, მაგრამ მათ შორისაც შეიძლება ზოგიერთის გამორჩევა, რომლებშიც გამოკვეთილი ფავორიტები თამაშობენ. ტურნირის მეათე დღეს ორი ასეთი შეხვედრა ჩატარდა. ერთში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა და აშშ-ის ღიას სამგზის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ამავე ტურნირის ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **ენდი როდიკს** მოუგო, აშშ-ისვე ღიას ორგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** კი სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო გამოდგა ფედერერისა და როდიკის დაპირისპირება. პირველ ორ სეტში მეტოქეებმა აქცენტი საკუთარი მოწოდების უბადლოდ შესრულებაზე გააკეთეს და შედეგად, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ბრეიკის მოპოვება. ორივე შემთხვევაში, სეტის გამარჯვებული ტაიბრეიკზე გაირკვა და ორივეჯერ უფრო სტაბილური შვეიცარიელი მაესტრო იყო.

ფედერერმა, ვინც შარშანდელ ფინალში სწორედ როდიკი დაამარცხა, პირველი ბრეიკი მესამე სეტის მეექვსე გეიმში მოიპოვა, როცა როდიკმა უზუსტოდ შეასრულა ბექჰენდი და ბურთი კორტის პერიმეტრს გადააცილა. ამ ბრეიკის შემდეგ როდიკის თამაში აირია. ყოველ შემთხვევაში, მან მეტოქეს მერვე გეიმშიც მისცა ბრეიკის საშუალება (ამჯერადაც ბექჰენდმა უმტყუნა და ბურთი ბადეს მოახვედრა) და შეხვედრაც ამით, სულ ორ საათში დასრულდა.

ამ გამარჯვებით, ფედერერი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას მეტოქეობას რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** გაუწევს. ამან სამ სეტში მოუგო გერმანელ **ტომი ჰაასს**. სხვათა შორის, რუსი ჩოგბურთელი ნახევარფინალში ისე გავიდა, ჯერ ერთი სეტიც არ წაუგია.

"ჩემი აზრით, ეს უმაღლესი სტანდარტის შეხვედრა იყო. ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ენდიმაც კარგად ითამაშა. დიდი შანსი იყო იმისა, რომ პირველი ორი სეტი მას მოეგო. მაგრამ ტაიბრეიკზე ხშირად იღბალსაც აქვს მნიშვნელობა. ჰოდა, ამ მხრივ, უფრო გამიმართლა. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ გადამწყვეტ მომენტებში მობილიზებას ვახერხებ და მთელს ჩემს შესაძლებლობებს მაქსიმალურად ვიყენებ. ალბათ ამიტომაა, რომ იღბალი ხშირად ჩემსკენაა ხოლმე", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც აქამდე დიდი სლემის 11 ტურნირი აქვს მოგებული.

მათი დუელი რომ თანაბარი იყო, ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს: ფედერერმა თამაშიდან 48 ქულა მოაგროვა და მხოლოდ 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა. როდიკის შესაბამისი მაჩვენებლები კი 42 მოპოვებული ქულა და მხოლოდ 10 შეცდომა იყო. ამასთან, ამერიკელმა 14 ეისი მოაწოდა, ერთით ნაკლები, ვიდრე შვეიცარიელმა.

"ისე ვითამაშე, როგორც უნდა მეთამაშა. რაც შემეძლო, ყველაფერი ვილონე. ვერც იმას ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშე, მაგრამ კვლავ წაგებული ვარ. მაგრამ კორტს თავაწეული ვტოვებ, რადგან ამჯერად ჩემი თამაშით მაინც კმაყოფილი დავრჩი", - განაცხადა როდიკმა, ვინც ფედერერს სულ 14-ჯერ შეხვედრია და აქედან მხოლოდ ერთხელ მოუგია.

კიდევ უფრო დაძაბული იყო ვენუსისა და იანკოვიჩის დაპირისპირება. სერბმა ჩოგბურთელმა პირველი ორი სეტი ბრეიკით დაიწყო, მაგრამ თუ პირველში კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა, მეორეში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა - ვენუსმა იქვე ბრეიკით უპასუხა, მერე კი თამაშის სადავეებიც ხელთ იგდო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტ სეტში ვერცერთმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო ბრეიკის აღება. ბუნებრივია, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ამერიკელმა მცირე უპირატესობის მოპოვება შეძლო და შეხვედრაც სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.

"ელენა ბრწყინვალე მეტოქეა. ნებისმიერ ჩოგბურთელს, მის დასამარცხებლად ბევრი ოფლის დაღვრა სჭირდება. ყოველი ქულისთვის დაუზოგავად იბრძვის და ხანდახან იღბალიც თუ არ მოგეშველა, კორტს წაგებული დატოვებ. მეც სწორედ ასე ვითამაშე. რა თქმა უნდა, ხანდახან არ მიმართლებდა, მაგრამ საბოლოოდ მიზანს მაინც მივაღწიე და ამით ბედნიერი ვარ", - განაცხადა ვენუსმა, ვისაც იანკოვიჩთან წინა სამი შეხვედრა (მათ შორის ორი დიდი სლემის ტურნირებზე) წაგებული აქვს.

ვენუსი იმედოვნებს, რომ ნახევარფინალში შეძლებს ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** დამარცხებას, რომელმაც მისი და, **სერენა უილიამსი** დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალში კი ერთმანეთს რუსეთის ორი ჩოგბურთელი - **ანა ჩაკვეტაძე** და **სვეტლანა კუზნეცოვა** დაუპირისპირდება. ორივემ იოლად დაამარცხა თავისი მეტოქე: ჩაკვეტაძემ მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო ისრაელის **შაჰარ პეერს**, კუზნეცოვამ კი ასევე მხოლოდ ხუთი გეიმი დათმო უნგრელ **აგნეშ სავაისთან**.

"თამაშის დაწყებამდე ენერგიის უჩვეულო მოზღვავებას ვგრძნობდი და ძალიან ვნერვიულობდი. მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და მიზანსაც იოლად მივაღწიე. თან, საერთოდ არ დავღლილვარ. მზად ვარ, ნახევარფინალური შეხვედრა ახლავე ვითამაშო", - განაცხადა კუზნეცოვამ.

შესაძლოა, ის ახლა ასე ფიქრობს, მაგრამ ჩაკვეტაძესთან იოლი გასეირნება რომ არ ექნება, ამის თქმა ახლავე შეიძლება. ეს დიდი სლემის ნახევარფინალში პირველად კი ითამაშებს, მაგრამ კორტზე მეტად თავდაჯერებულად მოქმედებს და არაა გამორიცხული, რომ მომდევნო მეტოქესაც აავრევინოს გუდა-ნაბადი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ნიუ იორკი (აშშ). პარდი

საპრიზო ფონდი: 19 653 000 დოლარი

მამაკაცები

1/4 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ენდი როდიკი (აშშ, 5) 7:6(5), 7:6(4), 6:2

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)-ტომი ჰაასი (გერ, 10) 6:3, 6:3, 6:4

ქალები

1/4 ფინალი

ვენუს უილიამსი (აშშ, 12)-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3) 4:6, 6:1, 7:6(4)

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)-აგნეშ სავაი (უნგრ) 6:1, 6:4

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა